

ლიტერატურული გაზეთი

შოთა იათაშვილი

ლექსის წერის დღე გამითენდა.
ჟინჯულავდა და მზე ანათებდა.
დავდექი წვიმის წვეთების
და მზის სხივების ქვეშ.

ვიდექი და ვიცვლებოდი.

რომ შევიცვალე, სახლში ავედი,
გავიხადე ტანზე, ჩავნექი.

ვინექი და კვლავ ვიცვლებოდი.

მერე წამთვლიმა.
ვთვლემდი და ცვლას განვაგრძობდი.

რომ გავიღვიძე,
ცოტა ხანი წიგნი ვიკითხე.
ერთი, მეორე...
წიგნებიც მცვლიდნენ.

მერე გადავდე წიგნები გვერდზე
და გავისუსე,
საკუთარ თავს მივაყურადე.
უკვე აღარ ვიცვლებოდი.

ფურცელი და კალმისტარი მოვიტხოვე.
მომიტანეს.

ლექსის წერის დღე გამითენდა.

II

ჯუანშერ ტიკარაძე

ელეგია

გარეუბანი. მწუხრი. ყვავები
ყრანტალით წყვეტენ ბინდის ბენეფისს.
შიშს მძევალივით ჰყავს აყვანილი
ხსნა და მირაჟი ბედნიერების.
ბნელდება ცაში. სულშიც. სრულიად.
და ღამე უშვებს დამწყვდეულ ავდარს...
თვით სუნთქვაც კი რა მტკივნეულია,
როცა მტყუვნდები საკუთარ თავთან.

IV-V

გაგა ნახუცრიშვილი

ნარილი

ძველებურად წერილს მოგწერ Miss,
გავიხსენებ იმ უდარდელ დროს,
დამიჯერეთ, მონატრებად ღირს,
უფრო ლაღად ვიარსებოთ რომ.

ვერ გაჩვენებ მე ცხოვრების გზას,
ვერ მოვიყვან მე ბედნიერ დღეს,
გთხოვ, უბრალოდ, რომ ახედო ცას,
აყვავებულ აკაციის ხეს.

ვუფრთხილდები უკვე ყოველ წუთს,
და ბავშვივით მივსდევ ყოველ წამს.

სოსო მეშველიანი

ლიბერთა

*Buscas en Roma a Roma, ¡oh peregrino!
ფრანსისკო დე კეველო (1580-1645)*

მეც ძლევამოსილ რომს დავეძებ დღევანდელ რომში,
სად გაქრა მისი სიდიადე, სად დასამარდა.
აქა-იქ მისი ნარჩენები ბზინავს ამარტად,
ნარჩენებს ვეძებ იმ დიადი რომისას, რომ შინ

ხელმოცარული არ დავბრუნდე, ურარტუს გავლით,
ასევე ერთ დროს, უძლეველი შვილი იბერთა.
სამშობლო ისე დაჩიავდა და დამიბერდა,
მალე ხელებში ჩამაკვდება. და მინც სუნთქავს,
მხეცის ხახაში გაჩხერილი, მისი ლიბერთა.

VIII

არავიზე აღარ ვფიქრობ ცუდს,
ყველა თავის კომედიას დგამს.

ძველებურად ვზივარ, წერილს გწერ,
ავისრულე რაც მინდოდა სულ,
არ ინათა, სიბნელეა ჯერ,
კარგი არის, უფრო ღამე მსურს.

მერე უნდა გავყვე დილის გზას,
დაიწყება მოსაწყენი დღეც,
გთხოვ, ახედე, გთხოვ, ახედე ცას,
აყვავებულ აკაციის ხეს.

X-XI

აკა მორჩილაძე

ქვეყნის ლიბონები

1.

ჯერ მუეძინს არ დაეძახა მდინარისპირა
მეჩეთიდან და მის ხმას არ მოდევნებოდა ჩქარი
და ღონიერი ზარები სიონისა და იმას აყოლილი
მრავალი სხვა ზარიც სხვადასხვა წკრიალებისა,
როდესაც უნტერ-ოფიცერი ოთხი პოლიციის
დრაგუნის თანხლებით მივიდა ომანოვის ქარვას-
ლის მარჯვენა ფრთაში და საწოლშივე დაატუსა-
ლა ამერიკის ქვეშევრდომი პორაციო ჰანვი,

საბუთით საათების გამყიდველი, სპარსეთისკენ
მიმავალი, მეოთხე თვე რომ ელოდა ბეჭდიან
ქალაქს გენერალ ციციანოვისაგან, რომელიც
მაშინ მართავდა საქმეებს თბილისსა და სხვა მი-
ნებზე ყოფილი ქართული სამეფოსი.


უნტერ-ოფიცერმა კვახმა აქციზის მოხე-
ლესთან ერთად დალუქა ჰანვის კუთვნილი
საქონელი საწყობში და მისი ოთახები, ომანოვის
ნოქრის თანდასწრებით დააბეჭდა ჰანვის
ქალაქლების ყუთი, უბეში ჩაიდო მისი სამეღნე
და ფრთები და გაიგდო წინ ჰანვი ჯერაც ბნელი
ქუჩებით საპოლიციო მმართველობის შენობისკენ,
რომელიც აღმართებში მდებარეობდა.

ამინდი კარგი იყო მაშინ, უკვე ზაფხული 1804
წლისა ქალაქ თბილისში, წვიმებს უკვე გადაე-
ლო და ტალახის ადგილს მტვერი იჭერდა, ოღონდ

მდუმარება ცისკრისწინა გარემოსი მტვერს
უსუნთქავს და უხილავს ხდიდა, უფრო წინ
მოდიოდა მდინარისპირა, სიამის მომცემი ჰა-
ერის ძალა.

როდესაც საპოლიციო მმართველობის შე-
ნობაში მიიყვანეს, ჰანვი შეაგდეს ერთ უფან-
ჯრო ოთახში, სადაც ენთო ზეთის ლამპარი და
იატაკზე კი იჯდა სამი კაცი.

XII-XIII



ოდა ზღვის კომპოსტოს კონსერვს

აღენ გინსბერგს კალიფორნიის სუპერმარკეტში
უიტმენი ეცხადებოდა.
კაჭარავას კი პურის რიგში ნინოშვილი.
ბროდსკის უნდოდა გასტრონომში წიგნი ენახა,

თავიდან გვძულდა. გვაზიდებდა, როცა ვჭამდით.
მერე ნელ-ნელა მივეჩვიეთ: შიმშილის გრძობას
რაკი გვიკლავდა,

— ასე მგონია, სადღაც წყნარი ოკეანის ფსკერზე კრეფენ
— და მერე როგორ? სკაფანდრებით ჩადიან დაბლა და
— შეიძლება, რატომაც არა
— მეექვსეა, ასე რთულად დასაკრეფი რომ იყოს,

გვამათობდით. ახალ-ახალ კონსერვს ვხსნიდით,
ვაზავებდით აფთიაქში ნაყიდ სპირტს წყალში,

ვინ დაგვიკრიფა, სად დაგვიკრიფა ოცი წლის წინ
ზღვის კომპოსტო?
და მერე ვინ დაგვიკონსერვა?
და მერე ვინ შეისყიდა დიდი პარტია ამ კონსერვისა

აღენ გინსბერგს კალიფორნიის სუპერმარკეტში
უიტმენი ეცხადებოდა.
კაჭარავას კი პურის რიგში ნინოშვილი.
ბროდსკის უნდოდა გასტრონომში წიგნი ენახა

გადავრჩით კიდევ.
და მერე მივხვდით:
ზღვის კომპოსტოს კონსერვის რწმენა თუ არა გაქვს,

ჟანგბადის ბალიშები

სათქმელები, ენერგიები
უიმედოდ გაბნეულა დედამიწაზე.
ის, რაც ადრე თავმოყრილი ოციოდე პოეტში იყო,

აღარ არსებობს.
მუსიკოსი მილიონია,
და მხოლოდ 1 ჯოულია ენერგია თითოეულში...
და მეც უკვე ვეღარ მაძლევენ

შოთა იათაშვილი

ცოცხლების სუნთქვა მინდა ვიგრძნო...
მინდა ყველამ ერთდროულად, მძლავრად ჩამბეროს
ამ სუსტ ფილტვებში,

თითქოს ცოტათი მოვლონიერდი.
გამთლიანდა თითქოს რაღაც...

მაგრამ ვერა.
გაფანტულია სათქმელები,
გაპნეულია ენერგიები...
ცოცხალმკვდარი ვწევარ, ირგვლივ
ჟანგბადისბალიშებშემოწყობილი
და მძიმედ ვსუნთქავ.

აბარაკაჟი

სახლში ვიჯექი
და ფანჯრებიდან ეზოს ხმები:
ბავშვების კისკისი
და ქალების მასლაათი
პროდუქტების ფასებსა და ცხოვრების არსზე
მეჭრებოდა ფიქრებში და
მარტოობის ძლივს დაჭერილ ნათელ განცდას
ხშირად მიმღვრევდა.

და ავაშენე:
ბავშვების კისკისით
და ქალების მასლაათით
პროდუქტების ფასებსა და ცხოვრების არსზე —
ციხე-კოშკი,
და შიგ ჩავჯექი.

კედელი იყო ყრუ და გამძლე.
მიცავდა კარგად.

აღამიანები

აღამიანები —
საჭიროები, უფარგისები, უფრო ხშირად უფარგისები,
აღამიანები —
შესაყვარებლები, დასამეგობრებლები, მოსახმარელნი,

აღამიანები —
მემარცხენეები, მემარჯვენეები, ანდა უბრალოდ
ცენტრისტები, უფრო ხშირად კი დაცენტრისტები,
აღამიანები —
გუშინდლები, დღევანდლები, ხვალინდლები, უფრო
ხშირად — გუშინდინდლები, ზეგინდლები,

აღამიანები —
მშვირები, მაძღრები, უფრო ხშირად — ხან მშვირები და
ხან მაძღრები,

და რა ჩამოთვლის,
აღამიანები, მილიარდობით,
ტელევიზორში საჩვენებელნი, უფრო ხშირად კი
ტელევიზორში უჩვენებელნი,

აღამიანები —
აღამიანების უფლებების დამცველები და დამრღვევები,
უფრო ხშირად კი ისეთები, თავიანთთვის რომ
სხედან ხოლმე საღამოობით ოჯახებში
დადღილები და ჩაის ხვრეპენ დარღვევების
და დაცვის გარეშე,

აღამიანები —
ეგზისტენციალურები, მეტაფიზიკურები,
უფრო ხშირად კი რეალისტები,

აღამიანები —
ცოდვილები, ცოდვილები, ცოდვილები და ცოდვილები,
და რა ჩამოთვლის —


აღამიანები —
სახლში კარზე რომ გიკაკუნებენ, ტელეფონზე რომ
გირეკავენ, ქუჩაში რომ გაჩერებენ,
რომ გილიმიან, გიბრაზდებიან,
გპატიუებენ, არ გპატიუებენ...

აღამიანები —
ვინ ჩამოთვლის და მგონი მაინც ჩამოვთვალეთ —
მალეები და და დაბლები და მსუქნები და
გაჩხინკულები,

აღამიანები —
ასობით და ათასობით, მილიონობით, მილიარდობით,
აღამიანები —
სიყვარულს რომ ითხოვს ყველა, ან თუ არ ითხოვს, გულის
სიღრმეში მაინც ეს სურს ყველაზე მეტად,

აღამიანები —
რომ ამბობენ „ეჰ“-ს და „ვაი“-ს, „ვამა“-ს და „დაე“-ს,
აღამიანები —
ანგარიშზე თანხები რომ ერიცხებათ, უფრო ხშირად კი
არ ერიცხებათ,

უფრო ხშირად კი არ ერიცხებათ,
უფრო ხშირად არ ერიცხებათ,
არ ერიცხებათ...
აღამიანები —
ბანკომატებთან,



მართლები და მტყუანები, ცბიერები და გულწრფელები,
ადამიანები —
ბანკომატებთან,
ყველანაირნი, მაგრამ მაინც ბანკომატებთან,
პირჯვრის წერით, გინებით, ლოცვით...
ადამიანები —
ბანკომატებთან,
გონებაში ჩაჭედილი ოთხი ციფრით — სახელად „კოდი“...

ვერის „მირზაანის“ ოფიცინატაჟს

მაგდას და მიშას

ვიღაცები მხოლოდ სხედან და მიირთმევენ,
ჩვენ კი სულ ვშრომობთ.
აქეთ-იქით დავექრივართ და ვცდილობთ,
ყველა ვასიამოვნოთ.
ხან მწვადიო, ხან ყავაო, ხან არაყო...
სხედან და სხედან,
ჯიბში ფული არასოდეს უთავდებათ,
იძლევიან ახალ-ახალ შეკვეთებს და
ჩვენც დავრბივართ დაუსრულებლივ...

ლამაზები ვართ, ჭკვიანები, თავაზიანნი,
მაგრამ მაინც თითქმის მთელი დღე
სხვის საჭმელში ვიქექებით,
სხვისი მუცლის ამოყორვაზე ვფიქრობთ და ვზრუნავთ.
მგონი შეგვძულდა უკვე საკვები —
არაფერია მასზე უფრო საშინელი დედამიწაზე.
10 ხინკალი ატომური 10 ბომბია,
ჩვენს ფეხებქვეშ აფეთქებული.
ყოველდღე ვომობთ და ვიჭრებით,
სისხლი გვდის, როგორც პომიდვრის წვენი,
მაგრამ მტერს მაინც არ ვეპუებით...
თავგანწირული პარტიზანები,
მომხიბვლელები, ახალგაზრდები, უშიშარნი,
დავექრივართ ხოლმე მაგიდებს შორის —
გადავყოლოთ ლამისაა
სხვების ღიპებს ჩვენი ცხოვრება.

დაქანცულებს და სახლში გვიან დაბრუნებულებს
კარტოფილსაც კი არავინ რომ არ შეგვიწვავს,
ისევ საჭმელზე უნდა ვიფიქროთ —
საკუთარ თავს მოვემსახუროთ.
გარდავისახოთ უნდა უმალ
მზარეულებად და მიმტანებად
ჩვენივე თავის...

ო, ეს პირის მოძრაობები,
ლუკმის ლეჭვა,
გადაყლურნებები,
თეფშის კარგად (ანდა ცუდად) მოსუფთავება,
საფერფლები, სიგარეტის ნაწნვეებით სავსე...
მთელი დღე მხოლოდ ამას ვხედავთ —
რა დავამავეთ?
კარგები ვართ, ხალისიანნი, თვინიერები...

ასე გვგონია,
დედამიწის მოსახლეობა ორად გაიყო —
ვინც სულმუდამ ზის და მიირთმევს
და ჯიბში ფული არასდროს უთავდება
და ვინც ზრუნავს მათ გვარიანად დანაყრებაზე...

100 ხინკალი ატომური 100 ბომბია,
ჩვენს ფეხებქვეშ აფეთქებული.
ყოველდღე ვომობთ და ვიჭრებით,
სისხლი გვდის, როგორც პომიდვრის წვენი,
მაგრამ მტერს მაინც არ ვეპუებით!

დაიუჭი

I

საპაქი ბაშმაჩინი მსახურობდა კანცელარიაში ლაბორატორიის ქუჩაზე, გახლდათ კალექსკი რეგისტრატორი და ხანდახან იმშვენებდა სერთუქს წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით. ის ახლახან გადმოყვანდა ტამბოვიდან, მიეცათ ბინა კუკიაში სახელმწიფო ხარჯით და ისაც შესდგომოდა ფურცელა შრიალს ათასი ქალაქისა და ფურცლისა. გარდა გადაწერისა, მათი ტარებაც ვეღვლებოდა და თავისი სამყოფიდან ფრეილინას ქუჩაზეც უხდებოდა გავლა. ამ ორ ქუჩაზე იყო განლაგებული მთავარ-მართებლისა და ქალაქის გუბერნატორის კანცელარიები და სწედებოდა ბედი ათასი საქმისა და კანცესიისა. მისნაირი ფურცლის დამტარებელი ბლომად დაიარებოდა აქეთ იქით. მასთან ერთად მსახურობდნენ გამოყვანილი ადვოკატი და ორენბურგიდანაც. ბაშმაჩინის იერი იყო შესაბამისი მისი ჩინისა და მასში ვერაფერს გამორჩეულს ვერ შენიშნავდი. მის წელში გასწორებულს ჩინის მომატება თუ მოახერხებდა და რაკი კავკასიაში მსახური შემდეგი ჩინის მიღებას აჩქარებდა და ამის გამო ბევრიც მოიქაროდა აქეთ, მას რამდენჯერმე უკვე ტიტულარნი სავეტნიკადაც კი დაენახა თავი და ამ წარმოდგენაში ქილვაშებიც უფრო მოზრდილი და თვალში საცემი გახდომოდა. სამათლიანობა მოითხოვს იტქვას, რომ ამის იქით მის გონებას აღარ ჩაუხედა და მეტი არ გაუბედა. ერთხელ იყო მხოლოდ, რომ იმპერატორის ანგელოზის დღეს ღვინო მოსმულზედ სამხედრო ჩინებსაც გადასწვდა და თავი გენერლის ეპოლეტებში დაინახა, თუმცა ეს ფიქრი სრულიად უწყინარი იყო და აბა, რომელ კანცელარისტს არ მოსვლია ერთხელ მაინც ამნაირი ფიქრი. ასე რომ, ამის ხსენება არც ღირს რამედ.

ქალაქი კი მეტად უჩვეულო იყო და ბევრი რამ სრულებით გაუგონარი და მეტიც, ველური სჩანდა მისთვის. იქ ქვევით, ნამდვილი აზია იყო, აქლემთა გამრეკებით, გველთა დოქიდან ამომყვანებით, ინდოელებითა და სპარსი მეძველმანებით. თუმცა მას იქით არც არაფერი ესაქმებოდა და მისთვის ჩვეულ ყოფას არ არღვევდა. სამსახურის შემდეგ ალექსანდრეს ბაღში ჩადიოდა, საცა სამხედრო მუსიკა უკრავდა და აქედან გადავიდა მიხეილის ხიდს და სახლში, ავჭალის ქუჩაზე გასწვდა, თუ ფეხით არა, მაშინ ცხენის რკინის გზით.

ერთხელ დიდუბეშიც იყო, რათა ეხილა, როგორ ავიდოდა ცაში საჰაერო ბუშტი ოკიუსტ გოდრონი, მაგრამ ძლიერმა ქარმა ამაში ხელი შეუშალა. სხვა მხრივ დიდად არ ცვლიდა თავის ყოველდღიურ ყოფას და მისი დღეები მშვიდად და აუღელვებლად მიდიოდა.

II

ერთი კვირა საღამოს ის თავის ოთახში მაგიდას მისჯდომოდა და ფურცელზე რამდენიმე ასოს ხელის მეტი გაკვრით გამოწერაში ვარჯიშობდა, როცა ხმაბალად სიცილსა და საუბარს მოჰკრა ყური. ის გამოშორდა მაგიდას, ფანჯრიდან გაიხედა და აქეთ-იქით მოარული მხიარული ხალხი დაინახა. ყველიერი იყო და მართალია არც თოვლი სჩანდა ქალაქში და არც ბლინებით ირთობდნენ აქაურნი თავს, მანაც გაიფიქრა გავსვა გავლა ქალაქში. ასეც მოიქცა. კარი გამოიკეტა და გამოვიდა. რამდენიმე მოსახვევი გაიარა და თავი ჯერ მიხეილის ქუჩაზე ამოყო, შემდეგ კი ვასილევის ბაღის შესასვლელთან, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, საცა უკვე ოცდართი წელია შეგეძლოთ მშვიდად მომკვდარიყავით.

ბაღში სხვადასხვა ჩინის და წოდების მოქალაქენი შედიოდნენ და გამოდიოდნენ, ბარიშნებიც ახლდათ და ზოგი მათ გარეშე იყო. ბაშმაჩინმა ორიოდ წუთით ერთ ადგილას სტეკუნა ტროტუარი და ბოლოს მოიკრიფა სამამაცე, შევიდა ბაღში, ერთ ცარიელ მაგიდასაც მიაგნო და მორიდებით მოთავსდა. მერე თვალი ფრთხილად იქაურობას მოატარა და ასევე მორიდებით გუტბრტის ლუდიც დაუკვთა. ბაღში კი სხვადასხვა ხმაზე გაისმოდა მღერა და ხმაური. ეს ბაქოდან ახლახან ჩამოსული მარგარიტა მროს

ვენგრული ხორი იყო და რეპერტუარიც მათი ამორჩეული.

ბაშმაჩინმა ერთი კათხა გამოსცალა, მეორეც მიატანა და გვარიანად გამხიარულდა. არაფერი სჯობდა ასე საღამოს ბაღში ყოფნას და სხვათა ცქერას. ახლა ინატრა, რომ რომელიმე მისი თანამეკაულმე გამოჩენილიყო და რამდენ რასმეს მოყვებოდნენ. აი, ამასწინად ყვებოდა კარაულოვი, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობა ისე მიდის, რომ აკრძალული მარსელიოზას დაკვრა სულ მალე შესაძლებელი გახდება და თავშეყრის ადგილებში და ბაღებშიც გაიგონებ იმის ხმას. და კმაყოფილმა ბაშმაჩინმა ახლა მეტი სითამამით გადახედა გარშემომყოფთ. ბლინებისა რა მოგახსენოთ და ღვინო ბლომად იდგა მაგიდებზე და ბოთლები მალიმალ იცლებოდა. იყო პრინც ოლდენბურგის შამპანური ქარხნის ღვინოები და ზემელის ღვინოებიც, „რუსთაველი“, „კარტ-ბლანში“, „თამარა“. ბაშმაჩინს გული დაწყდა, აქამდე რად აკლდებოდა ამნაირ საღამოებს და აქაურობას

აბო იაშლაშვილი

კალექსკი რეგისტრატორის უჩვეულო ამბავი



უფრო გაუშინაურდა, სერთუქის ერთი ლილიც შეიხსნა და თითქოს იმის იდილიის დარღვევას არაფერი მოასწავებდა. ერთი სიმღერაც გასრულდა და ვიდრე მეორე დაიწყებოდა, უეცრად ორიოდ მაგიდას მოშორებით ისეთი ყვირილი და ხმაური ატყდა, რომ ყველამ უმაღლესი გაიხედა და ამას დედაკაცების კივილი მოყვა და დატრიალდა ნამდვილი მუშტი კრივი და „იმპერიალი“, ორ მანეთად ღირებული, ვიღაცის თავზე გადაიმსხვრა და ეს გაგრძელდა დღესანებელი ქნევით მსხვილი მაჯებისა.

საღამოს ასეთმა უცნაურმა გაგრძელებამ გამოაფხიზლა კალექსკი რეგისტრატორი და მთელი ორთქლი ალკოჰოლისა და მარსელიოზას ხმა გაუქრო თავიდან. ჩხუბი კი მოსწყდა იმ ადგილს და ორიოდ სხვა მაგიდასაც გადაედო და ახლა ეს ქარბორბალა პირდაპირ მისკენ მოემართებოდა დიდი მუშტისა და ხანჯლის ქნევით. ბაშმაჩინი წამოდგა და გაუბედავად უცქერდა მომხდარსა და არ კი იცოდა, რა ემოქმედა. ჩხუბის გრიგალადან კი მალიმალ რომელსაზე მოჩხუბრის ბრაზიანსა და სისხლიან სახესაც დაინახავდა და ველური ყვირილი კი გაუჩერებლად ისმოდა და ვიდრე მოიფიქრებდა, რა ელონა, მთელი ეს ავარა ხალხი იმის მაგიდასთან გაჩნდა და მასზე მომდგმულ კათხინად ამოყირავდა და ამ აღრეულობაში მასაც უთაქეს და ალბათ ორიოდეს კიდევ გაიმეტებდნენ, რომ არა უეცარი სასტვენის პოლიციისა და ბაღში აღსახოცელად თარეშისა შემოვარდნენ პოლიციის მოხელენი და მოჩხუბართა უმეტესობა მოსწყდა ადგილს და თავის დაღწევას ეცადა. და ვიდრე ყველა ეგენი გაიფანტებოდნენ, ბაშმაჩინთან ერთი სახე გაჩნდა ძლიერ ველური იერისა და უთუოდ აღმოსავლური ტიპისა და აღრეული თვალებითა და კბილების ღრჭიალით მუქარით დასძახა მას გაუგებარ ენაზე მთელი რიგი გამოუთქმელი ბგერებისა. ხანჯალიც

მოუღერა და რომ არა სირბილი პოლიციისა და სირბილი ჩხუბის მონაწილეთა, რომელთაც გაიტაცეს ეს ველური პირი, იქნებ ბაშმაჩინის თავი თავდაღმართში გაგორებულყო. მთელი ეს ფიზიოგნომიოგობა გაგრძელდა სულ ერთი მისხალი წამისა და შესცვალა მოვარდნამ პოლიციისა და იმათი ბაშმაჩინის ბრაგა ბრუგმა, ოღონცა ეგ სახე კალექსკი რეგისტრატორს მეტად ჩარჩა გონებაში და როცა სახლში ბრუნდებოდა, კი სტიკოდა ყური, მაგრამ უფრო მეტად ეს ველური იერი უფუჭებდა გუნებას. ვერა და ვერ ამოიგდო თავიდან ეს კბილთ ღრჭიალი. მეტად არეული გონებით მივიდა სახლში და დიდ ხანს აღარ აცალა, ჩააქრო ლამპა და დაიძინა.

III

ღამამ ის გამოავლიძეს. იმის თავთან სწორედ ის ველური იერის კაცი იდგა და უღრენდა, მერე ტახტიდან წამოადგო და ხანჯლის ქნევით ჩაცმას აჩქარებდა. შემდეგ თავის გარეულ ენაზე ის წინ გაიგდო

ქუჩაში გამოვიდნენ. ალბათ მექაში თუ მიჰყავდათ, ფიქრობდა ბაშმაჩინი და ახლა აქლემის სიარულისას დაეხვა თავბრუ და ოდენ ქვაფენილზე დაცემის შიში აჩერებდა მას ორ კუზს შუა. ნელ-ნელა ქუჩაზე ხალხიც სჩნდებოდა და თანხიანი კინტოებიც და რანაირი გინდა ქუდიანი გამველელი, ოღონცა მას შიშისაგან ვერაფერი დაეძახა და დახმარება ვერ ეთხოვა. ისინი კი იღრჭებოდნენ და გაჰკიოდნენ თავიანთ ველურ ენაზე. მისი ამაღლა ამასთან ყოველ გამველელს მივარდებოდა და სჩანს ფულს სძალავდა, რაკი ის გამველენი და დუქნის გამველენი ქისიდან წვრილ ფულს იღებდნენ.

ქუჩები ივსებოდა, ის ხედავდა ქუჩის ორივე მხარეს დუქნების გაყოლებას, საცა ნაირგვარი ხილი გამოეფინათ და იმათ გამყიდველთა იერი იყო ხილზე არა ნაკლებ უჩვეულო და თითქოს და კონტრანდით შემოტანილი.

ნაირგვარი შესახვევებითა და გზებით მიდიოდნენ და გამველენი ან იცინოდნენ ან გაურბოდნენ მათ და ზოგი ფულს აძლევდა. ბაშმაჩინი მიხვდა, რომ ფულს მასში იხდიდნენ, ის გამოეყვანათ თითქოს ველური ცხოველი რომელიმე ქალაქის მოედანზე და ფულის სანაცვლოდ აჩვენებდნენ. მას, კალექსკი რეგისტრატორს, წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენის კავალერს!

უეცრად მან ერივანსკი მოედანი იცნო, გრაფ პასკევიჩის სასახლეოდ დარქმეული და მათ აქ პოლიციელი გადაუდგა და გოლოვინსკისაკენ გასვლა აღუკრძალა. გოლოვინსკისაკენ, საცა უკვე ყოველივე ნაცნობი და ჩვეული იყო და საცა უთუოდ ხსნაც იყო და აგე შტაბის შენობა და აგე საათი იმის თავზე, რომელიც შუა დღის დადგომას აჩვენებდა. და როცა ბაშმაჩინმა ნახა, რომ ის უკან იმ ჯურღმულისაკენ, იმ აღრეული და დაკლავილი ქუჩებისაკენ მიჰყავდათ მან მთელი ღონით დასძახა უღვამიანი პოლიციელის გასაგონად, „კარაული!“. ყური არავინ ათხოვა და წესრიგის დამცველმა ერთი გაიციხა და ის ისევ ატარეს ბლომად და უკვე მოღლილზე და გონარეულზედ მათ წინ ასეთივე პროცესია გამოსჩნდა. ოღონდ კაცი იქ ვირზე შეესვათ, თანაც უკუღმა და ხელში მას ვაშლწამოცმული შამფური ეკავა და ბაშმაჩინი მიხვდა, რომ ის მისნაირი ბედის ვინმე უნდა ყოფილიყო და უეცრად მისმა ამაღამ, მისმა სულთამხუთავებმა ამათთან ჩხუბი და წიხლის კვრა ატეხეს და იმ ვირის ჯარს უკან დაახვეიეს.

იმ დღეს რამდენიმე უჩვეულო პროცესიას კიდევ გადაეყარნენ. ერთგან ფეტონი მოდიოდა, საცა სულ თორებში ჩაცმული კინტო იჯდა და თავზეც ცილინდრი ეხურა! და იმისი ამაღლა მივარდებოდა გამველელებს და ფულს სძალავდა.

და ისევ ატყდა ჩხუბი, ნამდვილი კრივი და არც ერთი უთმობდა მეორეს და ამაში გამველენიც გაერივნენ და ახლა ბაშმაჩინის ამაღამ დაიხია. სხვისი სამფლობელოს საზღვარი თუ გადაეკვეთათ და ჩხუბიც ამის გამო თუ იყო და ერთხელაც ისევ ვირიან პროცესიას კრა თვალის და აქ დროგით ვიღაც მოყვებოდა მათ, ფრაქი ეცვა ლუდოვიკ მეთოთხემეტის დროინდელი და ხელში ბატის ფრთით და წიგნით იყო და თითქოს ხოტბის ჩამწერი ყოფილიყო და მისი მბრძანებლის სვლის ჩამწინავე!

ბაშმაჩინის სვლა კი დაუსრულებელი სჩანდა და როცა იფიქრა, რომ აი ახლა მოკვდებოდა, მდინარეს მიადგნენ. ოდენობა ამაღლისა ამ დროისთვის მეტად გაზრდილიყო. ის აქლემიდან ჩამოიყვანეს, მერე ხელი მოავლეს, მდინარის ნაპირას მიიყვანეს და მთელი ღონით მოისროლეს.

ცივმა წყალმა უეცრად გააქრო აპათია რეგისტრატორი ბაშმაჩინისა, ოღონდ დინებასთან დაჭიდების ღონე აღარ ჰქონდა და მდინარემ ის კარგა მანძილზე ათრია. ბედი იყო, რომ წყალი ღრმა არ გამოდგა და დახრჩობა სრულებით შეუძლებელი იყო. და როცა ახლა უკვე ცივი წყლისაგან წართმეოდა ღონე, ვიღაცის ხელემა ღონიერად მოსჭიდა, გამოათრია და იგივე ხალხი დაეხვია და ერთი სახეს უწმენდა, მეორე სველ ქოშს აძრობდა, ერთი ხალხის და ბოლოს გააშვილებს და როცა იფიქრა, რომ ახლა ალბათ

ფრაგმენტები
დაუნერეული ლექსებიდან

ფრაგმენტი №1

...შვილიშვილიც გადააგორებს შენს საფლავზე
ნიტლად შეღებულ სააღდგომო კვერცხს...
ეგებ – შვილთაშვილიც.
მერე?...

ფრაგმენტი №2

...მზით მონუსხული მომთენთავი სივრცე
(მე ვარ 19 წლის)
ნიტელ სახურავებს ოდნავ ლილისფერი დაკრავთ
ზეცისგან
(დღეს აქ პირველად ამოვედი შენთან ერთად)
შორს მოჩანს ერთადერთი მანანნალა ღრუბელი
(მე მიყვარხარ)
ვერცხლისფრად აბრწყვიალებული მტკვარი
ისე აგდია მიწაზე
(და როცა დაბინდდება)
როგორც ანაკონდას გამოცვლილი ტყავი
(პირველად გაკოცებ)...

ფრაგმენტი №3

...ჭრაქის კვამლისა
და პერგამენტების ობისგან დაჭმული თვალებით
ხედავდა იგი
ცეცხლნაკიდებულ დაუსაბამო ოკეანეს
და წარღვნის მოლოდინში ჭიანჭველების ბუდესავით
აფუთფუთებულ ვეებერთელა ქალაქებს,
ხედავდა მინისძვრით აზანზარებულ უზარმაზარ
უცხო ნაგებობებს,
ერთმანეთში აზელილ უცნაურ უცხენო საზიდრებსა
და ქვაფენილს ღრიალით დანარცხებულ მომაკვდავ
რკინის გველეშაპებს.
იგი ხედავდა ცისარტყელებით ნაძერწ
ზეციურ დარბაზებს,
ანგელოზთა ცრემლში არეკილ დასალუჰად
განწირულ დედამიწას
და უფალს ჩვენსას,
რომელიც ამ ენაზე განიკითხავდა ცოდვილთ
და მართალთ.
იგი ხედავდა
ღვთაებრივი განგების ნებით
ამ ენაში დამარხული ნიშნებისა და საიდუმლოებების
ულმობელ გარდუვალობას
და მას მორჩილი ბერი იოანე-ზოსიმე ერქვა სახელად...

ფრაგმენტი №4

...ზღვის ტახტიკარდიული პულსი ბნელში გაისმის.
ოთახში კოლო ნუის გულის გამანგრეობლად.
უკვე მერამდენე საათია
ანვიმს კაეშანში ჩალტობილ ქალაქს
და თუნუქის სახურავზე წვიმის წვეთების
თავგამეტებულ რაკარუქში
გახსენდება სულ სხვა წვიმა,
როდესაც...
მაგრამ რაც მოკვდა,
იმას მოგონება ველარ გააცოცხლებს.
მარტო კოლოს ნაკბენივით თუ აგიქავეებს სულს
უძილო ლამეში...

ფრაგმენტი №5

...ქვის ბაგაზე მიბმული ქალაქი
ზანტად ცოხნის ჩავლილი დღის ერთფეროვნებას
და მორჩილად ელოდება ახალი დღის გათენებას,
როცა გაუღებენ საჩხის კარს
და საძოვარზე გადენიან
ან წამოაქცევენ მიწაზე
და ყასბის აღესილ დანას ქედზე დაუსვამენ
და სასიკვდილო არტერიას გადაუხსნიან...

ფრაგმენტი №6

...მე ვარ,
ვისაც ელოდები კერტების პირველი დაბერვის წამიდან
და შენს
უნვიმობით დამსკდარ სიზმრებში დავბორიალობ...

ფრაგმენტი №7

...სიცოცხლე საფლავზე ამოსული სარეველა ბალახია,
მარადისობა — უთვალავი და უთვალავი
წარმავალი წამის აგონია.



ჯუანშერ ტიკარაძე

ჩვენგანაც მარტო ის სიზმრები რჩება სულ ბოლოს,
რომლებიც გაღვიძებისთანავე გვაგინწყდება...

მეტამორფოზა

ის მასწავლებლად მუშაობდა
ქალაქის ერთ არაფრით გამორჩეულ სკოლაში
და წლიდან წლამდე ხდებოდა თანამონაწილე
ერთი და იმავე გაცვეთილი სასწაულის:
ფაიფურის ფაქიზი ანგელოზები
მის თვალწინ კარგავდნენ ფრთებს
და ტლანქი ხისგან გამოჩორკნილ
მოსამართ თოჯინებს ემსგავსებოდნენ.

სხვაბან

იქ, სადაც ლოცვა ცას უერთდება,
მთვარე მიტოპავს ღამის მარჩხობებს.
შინ უშფოთველად თვლემენ კედლები,
ასე ჰგონიათ, — შენ გდარაჯობენ.
აპყვება თვალი სიზმრის უსურვავს,
მოგონებების ავდარს მიმოშლის.
საკუთარ სხეულს ხარ მილურსმწული
დროის და სივრცის საპატიმროში.
ლამეში წვანან გზები, უფალო,
უფალო, სძინავს გეენის ალსაც.
გზა ყველგან არის, არ ჩანს უბრალოდ,
გზა ყველგან არის და ხსნა კი — არსად.
დრო, უდროობა, ცხადი, ლანდები!
მოსაწყენი და დამლელი საგა...
ჩამოისვენებ, ნუ გეშინია,
შორ სამყაროში,
სადღაც იქ,
სხვაგან.

თიპარვალი. თოვლი დნება

1.
დნება თოვლი
და ისევე უღიმღამო ხდება ყველაფერი:
ბათქაშდამსკდარი კორპუსები,
გაქუცული ხეები,
ფერწასული სურვილები...

ნეტავ, ყვავი მაინც ვყოფილიყავი,
გადავუფრენდი ამ მახინჯ ქალაქს ყრანტალით
და ზემოდან დავასკინტლავდი.

2.
წკაპ!
ფანჯრის რაფას ეცემა ლოლოდან წამოსული წვეთი
და შიგ ტვინში მირტყამს —
თითქოს ფანჯრის რაფას კი არა,
ატკივებული კბილის გაშიშვლებულ ნერვს ეცემოდეს...
დილიდან უმიზეზოდ ვარ აღრენილი.

3.
სიტყვების აბლაბუდაში შეფუთულ
უსიცოცხლო აჩრდილებად გადაიქცნენ
მოგონებები...

თებერვალია სულშიც,
დნება გუშინ მოსული თოვლი
და ძვლებში ატანს მოუაშული სიზმრების ნესტი.

4.
მერე, უბრალოდ, შავად იღებება
პლანეტის ამ ნაგლეჯზე ჩამოწოლილი ჯანლი
და ლამდება —
სხვა არ იცვლება არაფერი:
ქალაქიც ისევ მოკუნტული აგდია ძველ ქვეშაგებზე
და სიმარტოვეც ისევ ცდილობს,
თავი მყუდროებად შემომასალოს...

ისე ველოდები ზამთრის გასვლას,
ვითომ ეს დღეები ჩემს სიცოცხლეს კი არა,
მარტო თებერვალს აკლდებოდეს.

კორპუსებს შორის,
ჩიხში,
ზედ შენს სარკმელზე,
მგლებმა მიიმწყვდიეს დაღლილი მთვარე...
გაიღვიძე, — გეხვეწები, —
ჩქარა გაიღვიძე.

შენც

შენც შეეხლები უხილავ ზღუდეს,
რომელიც მოლანდებულ ბედნიერებასა
და საფეთქელში დასახლელ ტყვიას შორის მოყოლილ
ულიმდამო სივრცეს მონიშნავს.
შენს სიზმრებსაც დასცვივდება ბავშვობის ფრთები —
დამყოლი ცვილით დამაგრებული ბეჭებშუა —
და ეჭვებისგან გამოჩორკნილ ყავარჯნებს
ნააშველებს წლები შენს მოგონებებს.
შენც აგტკივდება გაცუდებული იმედები —
კიდევ და კიდევ,
კიდევ და კიდევ,
კიდევ...

ერთხელ იბადება
და მერე ბევრჯერ კვდება ადამიანი,
ვიდრე გაქრება.

სიზმრის ამხსნელი

მისი ჰო ხან ჰოა და ხანაც — არა.
ორლესული სატევარის ბასრი ცბიერებით მიკაფავს ის
ტორესიას მტკივნეულ გზას სიზმრის დაბურდულ
და დაძინილ ძაფებში.
მილიარდი, მილიარდი და მილიარდი მარიონეტი
კიღია მთელ პლანეტაზე გადაგორგლილ
ამ მთვარეულ აბლაბუდაში:
ნასულიც, მოსულიც, მოსასვლელიც, მოუსვლელიც.

სურათები და განწყობილებები

* ეჭვიან კაცს ჰგავს ეს ქუჩა. ყოველ გაზაფხულზე ჩხუბობს, როცა მისი ხეები გამომწვევად იცვამენ.

* შემეშველები? დამძიმდა ჯვარი.

* მართო გულის ბაგაბუგი გაისმის სიბნელეში... ასე გგონია, სამყარო ჯერ არც კი შექმნილა.

*** „მე არაერთხელ მქონია ფრთები თავბრუდამხვევი სიმაღლით მქროლი, ლურჯი ტრიალით ბრუნავდნენ მთები და ირყეოდა ლაჟვარდი ბროლი.“
გალაკტიონი

მას მართლა ჰქონდა ფრთები, პტეროდაქტილის მძლავრი და ვეება ფრთები (იმდენად ვეება და თვალშისაცემი, რომ ადამიანები უხერხულად იშმუშნებოდნენ, როცა ქუჩაში აჭრილი ნაბიჯებით მიმავალს გვერდით ჩაუვლიდნენ), მაგრამ მისი მძიმე და მოუქნელი სხეული მას გამუდმებით მიწისკენ ეწეოდა, ვიდრე ერთხელაც (17 მარტის სუსხიან საღამოს) საბედისწეროდ გადაწონდა...

*** მე მოვკვდი, მოვკვდი...

ვიღაც სხვა ჯუანშერი დაათრევს ახლა ჩემს ცარიელ მძორს.

*** დღეო, მორჩა, აღარაფერი მმართებს შენი, ვინაიდან დაღამდა უკვე და მე კი სულ დავიცარიელე ჯიბეები და ყველაფერი ამოვყარე, თუ რამ მეზადა: მოგონებები – სინდისის მისაძინებლად; სიზმრები – სხეულიდან გასაქცევად; ოცნებები – თავის მოსატყუებლად; სიტყვები – ღამის სიჩუმის დასანარჩუნებლად.

ლექსად ვერბამხდარი ნაგლეჯები

ნაგლეჯი №1

ზის ინვალიდის ეტლში თორმეტი წლის ბიჭი ხელში ახალნაჩუქარ ჯიბის საათს ათამაშებს ქვეყნიერებისგან განწირული თვალები კი მაინც თავგამეტებით მობურთალი ბავშვებისკენ გაურბის



ნაგლეჯი №2

მე ვარ სანერი მაგიდის კაცი – მელნით გადაღბნილი ქალაქები ფუთფუთებენ ტორშერის ნისლში

ნაგლეჯი №3

დასკდა მთვლემარე ვნებებს მილიპული უამური დღეების ლიბრი და დუნე და მდორე ზამთრის შემდეგ მოვიდა უტიფარი გაზაფხული მერე – ზაფხულიც

ნაგლეჯი №4

ყველა (სხვა) ადამიანი მოკვდავია



ნაგლეჯი №5

მამები ნავიდნენ – რიგში კიდევ ერთი ნაბიჯით ზედ ძვიდისპირს გადავინიეთ

ნაგლეჯი №6

ტროას ომი – რეალითი შოუ ღმერთებისთვის

ნაგლეჯი №7

გადამაფარე შენი ზეცა დედამინავ მე არ მიხდა მეტი საბანი

ნაგლეჯი №8

თითქოს ყურები მქონდეს დაგუბებული ისე მოგუდულად ჩამესმის სინდისის და ვარსკვლავების ხმა

ნაგლეჯი №9

მე ვიქეცი ექოდ აუსრულებლად დანაცრული ოცნებების და ესლა დავრჩი მარტო – შელენილი კედლებს კედლებს კედლებს კედლებს კედლებს

ტფილისი. ბართაშვილი. შემოღამება (აბსტრაქცია)

მე ვუსმენ ჩემთვის დამიზნებულ ტყვიების ზუზუნს. ექოს პეპლები ეხლებიან სამყაროს ბეტონს. ტფილისი. ქუჩა. ქუჩა. ქუჩა. ქუჩები უგზოდ. ბრბოს მდორე ვნებებს ვერ ავუნყე ფეხი მეც, ღმერთო.

მზე ჩადის ფიქრებს იქით. ჩადის დღე. მორჩა. გრუზა ღრუბელი: ეჭვი. ცოცხალია გული, რაკი წუხს. ტფილისი. რუხად გაკლავილი მტკვარი – გიურზა ცას გესლავს შორს, შორს, ვარსკვლავების სევდით დანინკლულს. და დროა, დროა... ბედისწერის ასახდენ უზურს ტფილისის ძილში გაყურსული ქევიც ელიან. მე ისევ ვუსმენ დამიზნებულ ტყვიების ზუზუნს. ამცდა? მომხვდება? სულერთია. არაფერია.

ორი პატარა ლექსი ალკოჰოლისა და ერთი თამბაქოს შესახებ

* შენ ვუალს ჰგავხარ, ღვინოვ, მონადირის არაკებს ჰგავხარ, შენ ჰგავხარ იაკობის წლობით ნაოცნებარ ღამეს, როცა, მთვარემფინარი რაქელის ნაცვლად, გაცრეცილ ლეას ეალერსები.

* ღამე, დღე, ღამე. დღე. ღამე: როგორც სიგარეტის ჩქარ-ჩქარ ნაფაზებს მოყოლილი უდღეური სიმშვიდე, კოლოფიდან ახალი ღერის ამოღებამდეც რომ არ გაგყვება.

* ჭიქა ღვინო ნაქცეული უცხო სისხლისგან. მომცრო ბორცვი, ძლივს დამჩნეული. და ბალახები, ბალახები, ბალახები.

ქალაქის სასაფლაოს მეხსიერება ორ თაობას თუ წვდება მარტო.

„არა, რანგებისა და ჩინების დარიგებას უნდა ვერიდოთ მწერლობაში. ეს მტრობაა მწერლობისა!“
სერგო კლდიაშვილი, „უბის ნიგნაკი“

სერგო კლდიაშვილს გაუმართლა, რომ დავითის ვაჟი იყო; სერგო კლდიაშვილს არ გაუმართლა, რადგან დიდი მამის ჩრდილში აღმოჩნდა და, ჩემი აზრით, დღემდე არ არის სათანადოდ დაფასებული. ცისფერყანწელთა ჯგუფის აქტიური წევრი, სიცოცხლის ბოლომდე მასზე მოგონებებით სულდგმულობდა, თუმცა თავის „სიმბოლისტურ“ პროზას არად აგებდა: „პროფესიონალი მწერალი გავხდი 1927 წლიდან, როცა ჩემი მოთხოვნების პირველი კრებული გამოვიდაო...“ ლიტერატურის ისტორიკოსი ვერ გაიაზარებს მწერლის ამგვარ „თვითშეფასებას“, რადგან მან დიდი ამაგი დასდო „ცისფერი ორდენის“ დაფუძნებასა და დამკვიდრებას. 2000 წელს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემულ „უბის ნიგნაკში“, სადაც მწერლის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები დაისტამბა, ერთი ფრიად საგულისხმო მოსაზრებაა გადმოცემული: „თუ „ყანწელეებს“ თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა პოეზიაში — და რომ ჰქონდათ ამას არავინ უარყოფს — ეს იყო მიღწევა არა ცალკეული ყანწელისა, არამედ მთლიანად ყანწელეებისა, კოლექტიური. რა თქმა უნდა, მათ შორის მეტნაკლებად ტალანტის მქონენი იყვნენ, შეიძლება ითქვას, რომ სათითაოდ ისინი ერთმანეთისგან გამოირჩეოდნენ და თავიანთი სახე ჰქონდათ, მაგრამ აერთებდათ ერთნაირი აზრი პოეზიაზე, შეხედულება, საოცარი ენერჯია, ერთი იყო მათი გზა და ეს იყო, რომ ძალიან აახლოებდა მათ ერთმანეთთან. ყველანი ერთად დიდ ზეგავლენას ახდენდა რომელიმე ერთზე, ხოლო ეს ერთი, თავის მხრივ, ყველაზე. ისინი ზრდიდნენ ერთმანეთს“ — ამ, ერთი შეხედვით გაურანდავ ჩანაწერში (სერგო კლდიაშვილის დახვეწილი სტილი აღიარებულია), მისდაუნებურად, გამოიკვეთება ავტორის უცვილობელი თანამონაწილეობაც „ცისფერი ორდენის“ ჯგუფურ ქმედებაში. სხვა საკითხია, რომ ერთ დროს სიმბოლიზმისა და დეკადენტობის „აღმსარებელი“ მწერალი დღემდე ქართული რეალისტური პროზის მშვენიერად გვესახება.

უაღრესად ფართო განათლების მწერალმა, უზადო მამულიშვილმა, იუმორის იმეოთი ნიჭით დაჯილდოებულმა; ამასთან, საკმაოდ ენამწარე და დაურიდებელმა პოლემისტმა (ლიტერატურული „მტრების“ ანუ პროლეტარული მწერლების მიმართ), რაღაცა მანქანებით თავი დააღწია 1924 და 1937 წლების სისხლიან ტერორს, თუმცა რეპრესიების შიში, სხვა „გადარჩენილი“ მწერალთა დარად, არასოდეს განელებია.

ჩვენი „მოდისიდენტო“ თაობისათვის სერგო კლდიაშვილი გახლდათ ქართული მწერლობის ცოცხალი კლასიკოსი, „უჩინო“ (არავითარი პრემია ან ნოდება არ მიუღია), ხშირად — უჩინარიც, რადგან იშვიათად ჩნდებოდა მწერლების ოფიციალურ ღონისძიებებზე და რამდენადმე ამართლებდა იმ გამოთქმას „შიდა ემიგრაციას“ რომ უწოდებდნენ. უაღრესად აქტიური, ღრმა სულიერი და შემოქმედებითი ინტერესების მქონე მწერალი დღენიადაგ მუშაობდა, თვალყურს ადევნებდა მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს, ასევე, უდიდესი გულისყურით ეკიდებოდა დავით კლდიაშვილის თხზულებათა გამოცემას, ეკრანიზაციას თუ ინსცენირებას.

სტუდენტობისას და თურეც, როცა თითქმის ყველა იუბილეა თუ ლიტერატურულ საღამოს ვესწრებოდი, იშვიათად ვნახულობდი სერგო კლდიაშვილს პრეზიდენტობაში, ხოლო თუ გამოჩნდებოდა, საზოგადოება მქუხარე ტაშით ეგებებოდა მას. მე და ჩემს მეგობრებს ხომ ტაშით ხელისგულეები გვქონდა დანიშნულებული. მაშინ ეს ამბავი არც კი გამიცნობიერებია წესიერად, ახლა კი ვხვდები, რომ მწერლისადმი უღრმეს პატივისცემას ჩემს თვალში აორკეცებდა მისი ცისფერყანწელობა, მამის — დავითის შარვანდელი და, რაც მთავარია, მისი მოქალაქობრივი უმნიშვნელობა.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით („ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის მოადგილემ, შესანიშნავმა მწერალმა თამაზ ბიბილურმა, რომლის თხზულებებს სერგო კლდიაშვილი დიდად აფასებდა, გადმომცა მისი მიწვევა) 1977 წლის გაზაფხულზე, სახელდობრ, 20 აპრილს პირველად ვეახლე ბატონ სერგოს ატენის ქუჩაზე. ამ დროს გამოვეცი მონოგრაფია „პაოლო იაშვილი“, რამაც განაპირობა ჩემდამი ინტერესი.

ბატონი სერგოს პიროვნულმა მომხიბლობამ, თანდაყოლილმა არისტოკრატიზმმა და, რა პარადოქსადაც არ უნდა უღერდეს, დახვეწილმა უბრალოებამ — უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პირველი შეხვედრისთანავე. ადამიანებთან ურთიერთობა ბატონ სერგოს თითქოს ესთეტიკის რანგში ჰქონდა აყვანილი: იყო ზრდილი, უზადო მანერების მქონე, საუცხოლო მოსაუბრე და იმპროვიზატორი, ქალებთან კი (მათ შორის ჩემებრ „არასოლიდურებთანაც“) — ნამდვილი რაინდი.

ლალი ავალიანი

სერგო კლდიაშვილი — „უჩინო“ ჩინებული მწერალი



მალე, რა თქმა უნდა, — ბატონი სერგოს ინიციატივით, ჩვენს შორის საქმიანი ურთიერთობა დამყარდა: ჩვენი თანამშრომლობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია დავით კლდიაშვილის რჩეული ორტომეული, 1980-1981 წწ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, შემდგენელი — სერგო კლდიაშვილი, რედაქტორი — ლალი ავალიანი.

აბა, როგორ არ გავიხსენო ჩვენი პირველი შეხვედრის ერთი სახალისო ეპიზოდი!

ბატონი სერგო დიდად უჩიოდა თვალის ჩინს, ცოტა ყურსაც აკლდა. მისი თხოვნით, წავუკითხე გამოკრებილი ადგილები მონოგრაფიიდან პაოლო იაშვილზე; საგანგებოდ შევარჩიე ისეთი ფრაგმენტები, რომელიც, ჩემი აზრით, ყოფილ ცისფერყანწელს სიამოვნებას მოჰგვრიდა. მართლაც, ბატონი სერგო გაბრწყინებული სახით მისმენდა, ძველი ამბების, სიყრმის მეგობრების ხსენება თუ ახარებდა. ვცდილობდი, ნამეკითხა, „მხატვრულად“, გამოთქმით და, იმავდროულად, საკმაოდ ხმამაღლა დავაც.

ძალიან მიჭირდა, რადგან მწერალი ახალ-ახალი მონაკვეთების წაკითხვას მთხოვდა.

როგორც ჩანს, ბატონ სერგოს დროდადრო ყურთასმება უმუჯობესდებოდა და მაშინ ცოტა არ იყოს გაკვირვებულად მეტყვოდა ხოლმე: „ქალბატონო ლალი, í ħ í ħí ðŷããã ñãí é ãí ðí ñ!“

ასეთ მომართვაზე კი მთლად ვიბნეოდი და მრცხვენოდა ჩემი უადგილო ყვირილისა; თუმცა სულ მალე, მაინც მიხდებოდა ხმის ანევა, რადგან მწერალს კვლავ ცუდად ესმოდა.

ჩემი „მხატვრული“ კითხვა თითქმის ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და მას

ჟამიდან ჟამამდე რეფრენივით გასდევდა ბატონი სერგოს თავაზიანი, კეთილგანწყობილი, მაგრამ აშკარად „რიტორიკული“ მომართვა: „ქალბატონო ლალი, í ħ í ħí ðŷããã ñãí é ãí ðí ñ!“ — რაც მდგომარეობას ერთობ კომიკურ ელფერს სძენდა. შემდეგშიც ბევრჯერ მომისმენია მისგან ეს ფრაზა, ტელეფონით თუ პირადი შეხვედრისას, გამოთქმული განუყოფელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინტონაციით.

საბედნიეროდ, მალე „მკითხველიდან“ მსმენელად ვიქცეი და აი აქ კი სრულად გავამჟღავნე მსმენლის „ტალანტი“, ბატონი სერგო ხომ ვირტუოზი მთხრობელი გახლდათ! როგორც ყველა ხანდაზმული, სერგო კლდიაშვილიც უპირატესად ახალგაზრდობის ამბებს, ქუთაისის ისხენებდა; მეც სწორედ ჩვენი საუკუნის 10-იან-20-იანი წლების მკვლევარი გახლდით და, ამდენად, საკმაოდ შემზადებული მსმენელიც.

ასე იყო თუ ისე, ჩანს, იმთავითვე მოვიპოვე ბატონი სერგოს კეთილი განწყობა და

განთქმულმა რუსმა სიმბოლისტმა თედორე სოლოგუბმა, მისმა მეუღლემ, პროზაიკოსმა და მთარგმნელმა ანასტასია ჩებოტარეცკაიამ და ახალგაზრდა ეგოფუტურისტმა იგორ სევერიანინმა. რუს მწერალთა საქართველოში მოგზაურობაზე ვრცელი წერილი მქონდა დასტამბული და, ცხადია, კარგად ვიცოდი ყველა წერილმანი.

სერგო კლდიაშვილს, ქუთაისში გამართული საღამოს დამსწრეს, გამოქვეყნებული ჰქონდა მოგონება: გიმნაზიელები — სერგო კლდიაშვილი და ტიცინა ტაბიძე ქანდაკაზე მსხდარან. ტიცინას მოუთხოვია სოლოგუბის ცნობილი ლექსის „x ãðŷ ãí ðãããé“ — წაკითხვა, რითაც სასიამოვნოდ გაუკვირებია რუსი სტუმარი. საღამოს დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს სტუმრები ქუთაისის ბულვარზე გაუცილებიათ; იქაურობა შემოდგომის ოქროსფერი ფოთლებით ყოფილა მოფენილი. სერგოს და ტიცინას ყვითელი ფოთლების ლამაზი თაიგული შეუკონავთ და ანასტასია ჩებოტარეცკაიასათვის მიუერთებიათ.

ველარ მოვითმინე და მაინც შევბედე ბატონ სერგოს — რუსი სტუმრები ხომ გაზაფხულზე ესტუმრნენ ქუთაისს, შემოდგომის ფოთლები ბულვარზე როგორც იქნებოდა-მეთქი. ვთქვი და ენაზე ვიკბინე, რადგან ბატონმა სერგომ, ცოტა არ იყოს, მოიწყინა. დაფიქრებით თქვა, რა ვქნა, ახლაც თვალწინ მიდგას ოქროსფერი ფოთლების თაიგულიო...

ვინ იცის, რამდენჯერ აუვლიათ ცისფერყანწელ პოეტებს ქუთაისის ბულვარზე ღამით, გაზაფხულის სიმწვანეში თუ ოქროსფერ შემოდგომაზე, აუვლიათ მართლაც და სტუმრებთან ერთადაც; როგორც ჩანს, ბატონი სერგოს მეხსიერებამ მკვიდრად დაუკავშირა ერთმანეთს ორი სხვადასხვა ეპიზოდი — გაზაფხულისა და შემოდგომისა — და შემდეგ ქვეცნობიერად გააერთიანა.

როგორც ყველა ადამიანს, სერგო კლდიაშვილს განსაკუთრებით „სტკიოდა“ თავისი თაობის ადამიანების ხვედრი. ცისფერყანწელთაგან პაოლოს აღმერთებდა, განსაკუთრებით გამოარჩევდა უდროოდ წასულ სიყრმის მეგობარს სანდრო ცირეკიძეს.

ბატონ სერგოს წინადადებით, მისივე ხელშეწყობით და, თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნები, მხოლოდ მისი ხათრით, შევადგინე სანდრო ცირეკიძის თხზულებათა კრებული. 10-იანი-20-იანი წლების პრესიდან გულდასმით ამოვკრიბე სანდრო ცირეკიძის ადრინდელი ნაწერები (ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ პანანინა „მთვარეულებში“ ახალგაზრდა პროზაიკოსის თხზულებათა ოდენ უმცირესი ნაწილი იყო თავმოყრილი), კრებულს დავურთე მონოგრაფიული ნარკვევი და ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, წარვადგინე გამომცემლობა „მერანში“ 1979 წელს.

ნიგინა ალბათ გამოიცემოდა კიდევ, მაგრამ გამოიკვია, რომ „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალს უკვე დაგეგმილი ჰქონდა სანდრო ცირეკიძის თხზულებების გამოცემა.

თითქმის მთელი წელი (თუ მეტი არა), გულიანად, სინდისიერად ვიმუშავე და, რა თქმა უნდა, შეყენა ასეთი ხელის მოცარვა. ჩემი ბრალი იყო, გამოუცდელი მომივიდა, დროზე რომ არ გავარკვიე სხვა გამომცემლობათა გეგმები. რაც მთავარია, სანდრო ცირეკიძის პროზაული კრებული „მუნჯი მოციქული“ ქუთაისმა მალე, 1981 წელს გამოსცა. არც ჩემი მუშაობა იყო ფუჭი: შევკრიბე და შევისწავლე კიდევ ერთი ცისფერყანწელი — მათი „ბენიამინის“ ლიტერატურული მემკვიდრეობა. ბატონმა სერგომ კი მგონი ჩემზე მეტად განიცადა ეს ამბავი.

უკვე ვთქვი, სანდრო ცირეკიძის მიმართ ბატონი სერგო განსაკუთრებულ, უნაზეს სიყვარულს ამჟღავნებდა-მეთქი. ჩემთვის მოყოლილი აქვს მისი ავადმყოფობის ამბები. ისიც, თუ როგორ დალია სული მის ხელში 29 წლის სიყრმის მეგობარმა.

ამ ამბებს ისე შთამბეჭდავდა ყვებოდა, რომ ჩემთვის ძალზე მძიმე მოსასმენი იყო... ჩანს, ბატონ სერგოს მუდამ აწვალებდა აზრი, რომ რაღაც დააკლო სიყრმის მეგობრებს.

სერგო კლდიაშვილმა თავისი მადლიანი ნიჭი უშურველად გაიღო მემუარულ ჟანრში. მისი „დავით კლდიაშვილი“ ქართული მემუარისტის მშვენიერებაა.

მწერლისთვის იოლი არ უნდა იყოს საკუთარ მამაზე წერა: სერგო კლდიაშვილმა თითქოს თამამ-თამამით განვლო ბენევის ხიდი და საოცარი ტაქტი, სინატიფე, სისადავე, ჭეშმარიტი პირუთვნელობა გაამუღავნა; ამასთან — ბუნებრივად და ძალდაუტანებლად — კეისარს კეისრისა მიუზღო...

ქართული მემუარისტის „ოქროს ფონდს“ განეკუთვნება სერგო კლდიაშვილის მოგონებები აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, თავის „ცისფერ“ ძმებზე — პაოლო იაშვილზე, ტიცვიან ტაბიძეზე, ვალერიან გაფრინდავილზე, სანდრო ცირკიძეზე და სხვ.

ჩვენი დუხჭირი ახლო წარსული (ტაბუდადებული სახელები, „მავნე“ თემები, ხელშეუხებელი „მოღვაწეები“), ამასთან, ჩინოსანი მწერლების გააფრებული წინააღმდეგობა ფაქტობრივად კრძალავდა სიმართლის წერას.

ეს გარემოება რომ არა, სერგო კლდიაშვილის მემუარული მემკვიდრეობა გაცილებით ვრცელი, მრავალმხრივი, მდიდარი და საინტერესო იქნებოდა.

სწორედ ამ ვითარებას ეხმარება (და რამდენადმე განმარტავს კიდევ) სერგო კლდიაშვილის ჩანაწერი უბის ნიგნაკში: „კარგად ვიცი, რომ ჩემი სიცოცხლის დასასრული ძალიან მოახლოებულია. ის ყოველდღე მოსალოდნელია მოხდეს. ... მოვალეობათ ვთვლი, ვინაიდან სხვა აღარავინაა გამკეთებელი — დავწერო ჩემს მეგობრებს: პაოლო იაშვილზე, ტიცვიან ტაბიძეზე, ვალერიან გაფრინდავილზე, გრიგოლ რობაქიძეზე, კოლაუ ნადირაძეზე, ნიკოლო მინიშვილზე, ალი არსენიშვილზე და, რა თქმა უნდა, სანდრო ცირკიძეზე და შალვა აფხაიძეზე. ... მე ცხოვრობ, უკეთ რომ ვთქვა, ცხოვრებას ვამთავრებ იმ დროს, როცა ქართულ ლიტერატურაში განუკითხაობის ეპოქა დგება. ... ისინი ლანძღვენ და ჭორიკანობენ პაოლოზე, ტიცვიანზე და სხვებზე. ამით ცდილობენ თავიანთი უნიჭობა, უფერულობა და ზედმეტობა დაფარონ. ასეთ ვითარებაში ყოველ მართალ სიტყვას კარგი საქმის გაკეთება შეუძლია და მეც ამიტომ ვწერ. არავინ იფიქროს, რომ რაიმეს შეფერადებას ვაპირებდე! მხოლოდ სიმართლე და ხშირად ისეთი, რომ იქნებ არც საჭირო იყოს ასეთი გულახდილობა. ჯერ-ჯერობით ამ ნიგნს მე მხოლოდ ჩემთვის ვწერ...”

ღმერთო, შემინყე ხელი ამ მადლიან საქმეში!

სამწუხაროდ, ამ მართლაც მადლიან საქმეს აღსრულება არ ეწერა! „საჯაროობას“ კი მოესწრო ბატონი სერგო, მაგრამ უკვე გვიან იყო, ღრმა მოხუცს სწეულებამაც დარიდა ხელი. საერთოდ, შენიშნული მაქვს, რომ უფროსი თაობა „პერესტროიკას“ ძალზე სექსტიკურად და დიდი სიფრთხილით შეხვდა; ასეც იყო მოსალოდნელი.

უკვე იტყვა, რომ სერგო კლდიაშვილი სასწაულებრივად გადაურჩა 1924 წელს და დავითი იხსნა ხიფათისაგან. სახალხო აჯანყებისა და სისხლიანი ტერორის ამბავმა ბორჯომში, სადაც დავითი მკურნალობდა, გვიან ჩააღწია. მან მიატოვა მკურნალობა და სიმონეთს მიაშურა, რადგან თავისიანებზე დარდი არ ასვენებდა. სიმონეთში იმყოფებოდა სერგო კლდიაშვილიც ცოლ-შვილით. სვირის სადგურში დავითი, ვითარცა „მეფის პოდპოლკოვნიკი“, დაატუსაღეს და შემდეგ მხოლოდ დროებით გაუშვეს სახლში. სერგო კლდიაშვილსაც დაპატიმრება ელოდა: იგი იმავ ელამით ფეხით წასულა ქუთაისში, რათა დახმარება ეთხოვა პარტიული მუშაკისათვის (იმავდროულად, კრიტიკოსისათვის), რომელიც მთავრობას დასავლეთ საქართველოში მიევიწყებინა აჯანყების ჩასახშობად. ვალია ბახტაძე, ცხადია, კარგად იცნობდა კლდიაშვილებს. მისდა სასახლოდ, მან დავითის ხელშეუხებლობის მოწმობა გასცა, მაგრამ, — შენ თუ გარეული ხარ ამ საქმეში, ამისათვის მე პასუხს არ ვაგებო, — „დაიმიდა“ სერგო (ეს ამბავი მომიყვა ბატონმა სერგომ 1979 წლის 4 ივნისს).

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა რეპრესირებულ მწერალთა რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო, სერგო კლდიაშვილი ჩეკაში დაუბარებიათ. თავისთავად ეს ფაქტი ფრიად სახიფათო იყო, მაგრამ ისედაც აღელვებულ მწერალს თავზარდამცემი ამბავი ელოდა: ბობოლა ჩეკისტმა მას აჩვენა 1937 წლის საქალაქო — დოსიე სერგო კლდიაშვილზე, წარწერით: „Даннобъщѣ!“ ეს ამბავიც ბატონი სერგოსაგან მოვისმინე (მგონი, მოგვიანებით გამოაქვეყნა კიდევ). — ცივმა ოფლმა დამასხა, მუხლები მომეკვეთა, არც კი მახსოვს, როგორ დავცოვებოქაურბო, დღემდე არ ვიცი, როგორ გადავრჩიო — მიყვებოდა ბატონი სერგო.

წელს სერგო კლდიაშვილის დაბადებიდან 120 წელი სრულდება. 1971-1978 წლებში გამოცემული ოთხტომეულით ავტორი არ იყო კმაყოფილი, განსაკუთრებით განიცდიდა, რომ მეოთხე ტომში ბევრი რამ „ჩაყარა“ ისეთი, რითაც ვერ იამაყებდა (მისივე თქმით). წერა 16 წლის ასაკში დაიწყო, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა; არ დაუმთავრებია, რევოლუციამ მოუსწრო და 1917 წლის დასასრულს საქართველოში დაბრუნდა. „ცისფერი ორიტორიკის“ ბატალიონში ჩაბრუნება, ერთხანს ათვალისწინა კლასიკა და რეალისტური მწერლობა: „ბევრს ვკითხულობდი როგორც ქართველ, ისე რუს და უცხოელ კლასიკოსებს, გულში ძალიან მზიზღავდნენ ისინი, მაგრამ ამას ისევ ჩემს ჩამორჩენილობად ვთვლიდი და საკუთარ თავზე ძალდატანებით ვცდილობდი უარმეყო მათი მომხიბლობა. უნდა გამოვტყე ჩემს ცოდვაში, — ასეთ სიტუაციაში ერთგვარი გულგრილობით ვუყურებდი „სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორს. ... დავით კლდიაშვილი მთელი თავისი ბრწყინვალე ტალანტით მხოლოდ მაშინ ვიგრძენი და გავიგე, როცა 21-22 წლის გავხდი. ეს მართლაც ისე მოხდა, თითქოს ვილაქამ გადასწია ფარდა და ფეერიული სანახაობა გადამიშალა თვალწინ. მას შემდეგ დავით კლდიაშვილის შემოქმედება ყველაფერში სანიშნოა ჩემთვის“ („უბის ნიგნაკი“).

სერგო კლდიაშვილს, მისდა სასახლოდ, არც კი უცდია მამისათვის მიუბაძა.

რომანებში „ფერფლი“ (1932) და „მყუდრო სავანე“ (1963) იგი შეეცადა პირუთვნელად აესახა ძველისა და ახლის მძაფრი და მტკივნეული ჭიდილი, ისე რომ მინიმალური ხარკი გაეღო საბჭოური „დაკვეთისათვის“. მისი ღრმა ფსიქოლოგიზმით, თხრობის ლაპიდარულობით და თემატიკის მრავალფეროვნებით გამორჩეული, ბრწყინვალე ნოველისტიკა მეტ დასაქანს აძლევდა ავტორს კონიუნქტურისაგან თავდასაღწევად. ამიტომაც გაუძლო დროს „ჯორდანო ბრუნომ“ და „სერაფიტმა“, კეთილი იუმორით გამთბარმა „ცნობის მოყვარემ“, „სტატისტიკა“, „კეთილმა დედაკაცმა“ „ქართულმა ხასიათმა“... გა-

მორჩეულია ციკლი „სვანური მოთხრობებისა“ („ლამხეთის ბატონი“, „უშგული“, „ხალდე“, „წარმართი“, „ძველ კოშკში“, „მურზაყანი“).

თითქოს პარადოქსია, — ავტორმა, ბავშვობიდანვე სიმონეთიდან გატაცებით რომ უმზერდა სვანეთის მთის მწვერვალებს, სვანეთში ზემოხსენებული ციკლის გამოქვეყნებიდან ორიოდე წლის შემდეგ, 1932 წელს იმოგზაურა; „ოცნებით წარმოდგენილი სვანეთი ჩემთვის უფრო რეალური იყო. ჩემთვის საკვირველი იყო ისიც, რომ თურმე არაფერში შეემცდარვარ. ... იმის შემდეგ, რაც ფეხი დავდგი საქართველოს იმ მაღალმთიან მიწაზე, უშუალოდ სვანეთზე აღარაფერი დამინერია“ — დაწერს სერგო კლდიაშვილი მრავალი წლის შემდეგ.

სერგო კლდიაშვილი ხვავრელი შემოქმედი გახლდათ: რომანების, ნოველების, მოთხრობებისა და მემუარების გარდა, თეატრალური ხელოვნების ტრფიალმა მწერალმა დრამატურგიასაც დასდო ამაგი. რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში დაიდგა მისი პიესები „გმირთა თაობა“, „ირმის ხევი“ და „დაბრუნება“.

„ძველი ინტელიგენცია აღარ არის, მაგრამ ახალს უყვარს თეატრი?“ — ასეთი რიტორიკული შეკითხვა გაუჩნდა უკვე მცოვან მწერალს. იგი, ძირითადად, უკმაყოფილო იყო დავით კლდიაშვილის თხზულებათა ინსცენირებითა თუ ეკრანიზაციით. ამაზე არაერთგზის უსაუბრია ჩემთან. გამონაკლისი გახლდათ რუსთაველის თეატრში დადგმული თემურ ჩხეიძისა და რობერტ სტურუას „სამანიშვილის დედინაცვალი“: „სიხარულით შემიძლია ვთქვა, რომ ორი საათის მანძილზე განვიცდიდი უმაღლეს ესთეტიურ სიამოვნებას“, — დაწერა მოგვიანებით. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო (თვალისჩინართმეული, ვერც ნახავდა) გელა კანდელაკის სრულიად გამაოგნებელ, ნოვატორულ ფილმს — პიესა „უბედურების“ ეკრანიზაციას, რომელსაც რატომღაც აღარავინ იხსენებს. არადა ასეთი ზედმიწევნით სადღეისო პიესაც და ფილმიც დიდი იშვიათობაა.

თავის დროზე, როცა დავით კლდიაშვილის რჩეულ ორტომეულზე ვმუშაობდით, ბატონმა სერგომ საგანგებოდ მოითხოვა „უბედურების“ შეტანა „ირინეს ბედნიერების“ ნაცვლად; ისიც მოთხრა, რომ პიესა ღირსსაცნობია ფორმის თვალსაზრისით, რომ რეალისტი დავითი შეეცადა ერთგვარად „გაჯიბებოდა“ ევროპულ უახლეს დრამატურგიას, კერძოდ, მორის მეტერლინკს. ჩემი მხრით დავამატებდი, რომ პიესა მართლაც რომ ნოვატორულია არა მხოლოდ „ფორმით“, არამედ უნიკალურია თემითაც: უბედურების „გადამისამართება“ და დაპირისპირებულ მხარეთა გახელებული, უაზრო ჭიდილი ამის გამო... ბატონი სერგოს მიმართ უღრმესი პა-

ტივისცემის მიუხედავად, ჩემი დაჟინებული თხოვნით, რჩეულში მოხვდა მოთხრობა „მრველში“; ხოლო დავით კლდიაშვილის ტექსტებში ბევრი რამ ჩავამატე პირველნაბეჭდის მიხედვით (ამისათვის მომიხდა დავითის სიცოცხლეში 1911 წელს დასტამბული თხზულებათა ორტომეულისა და პერიოდიკაში გაბნეული ნაწერების საგულდაგულო „შტუდირება“). იმაშიც დავრწმუნდი, რა აღმამფოთებელ მანიპულაციებს მიმართავდა საბჭოური ცენზურა დიდი მწერლის თხზულებათა მიმართ, — „იდეური“ თუ „ენობრივი“ თვალსაზრისით!

უკვე მოგახსენეთ მრავალჭირნახული უფროსი თაობის მწერალთა „სიფრთხილზე“: ამის მაგალითად შემიძლია გავიხსენო ბატონი სერგოს ყოფიანი იმის თაობაზე, უცვლელად გადმოგვეტანა თუ არა დავითის მემუარებში ცენზურის მიერ „დაბლოკილი“ ვრცელი პასაჟი — გრიგოლ რობაქიძის პიროვნებისა და სალექციო მოღვაწეობის უმაღლესი შეფასება. მთელი ჩემი ახალგაზრდული „თავხედობა“ (რაც ნაკლებად გამაჩნდა) და სიჯიუტე მოვიშველიე ბატონი სერგოს დასაყოლიებლად. გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებაც კი შეუძლებელი იყო, მთავალიტი ეგრევე ამოიღებდა; ამიტომაც მწერლის შებრუნებული ინიციალებით „რ.გ.“ წარვადგინე ეს მონაკვეთი. საბედნიეროდ, ბატონმა სერგომ მხოლოდ შემავლამ ემშაპური „ხრიკისათვის“.


სერგო კლდიაშვილს დავითისაგან მემკვიდრეობით ერგო ჰუმანიზმი, „ეკონომიური“ თხრობა და მხატვრული სიმართლე. მის სასიკეთოდ მეტყველებს, რომ ამით ამოიწურა დიდი დავითის ზეგავლენა ვაჟის შემოქმედებაზე. განსხვავებული თემატიკა, დიალექტის უგულვებლყოფა, ბუნებასთან სიახლოვე, პეიზაჟთა სიუხვე, პერსონაჟთა ძერწვის სრულიად სხვა მანერა გამოარჩევს მის თხზულებებს.

სერგო კლდიაშვილი იმ რანგის მწერალია, რომელიც უთუოდ იმსახურებს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გამონწილვით შესწავლას, თხზულებათა აკადემიური კრებულის გამოცემას.

სისადავით, ლაპიდარული სტილით, ფრაზის სისხარტითა და ემოციურობით იგი მისაბაძი უნდა იყოს ახალბედა პროზაიკოსებისათვის.

ამონარიდი სერგო კლდიაშვილის ერთი ტრაგიკული, ადამიანის სიყვარულით გამთბარი ნოველიდან „კეთილი დედაკაცი“: „მიყვარდა მისი საუბრის მშვიდი კილო და ენამახვილობა. სრულიად უბრალო ამბავსაც ისე ცვრიანად მომიყვებოდა, რომ ყოველთვის სიამოვნებით ვუსმენდი“...

ყოველივე ეს — მშვიდი კილო, ენამახვილობა, უბრალო ამბავი, ცვრიანი თხრობა — ზედმინევენით მიესადაგება დიდოსტატი პროზაიკოსის სამწერლო კრედოს.



ციკლიდან:
მაჭაა სიცოცხლის ხის ქვეშ

ბამბლუ*

დედა მოუკვდა ბამბლუს,
ყველა ღმერთზე გამწყრალი ქალი,
ყველა ღმერთზე დიდი ასაკით.

მთვარის შუქია ლოდის ხავსზე ყვითლად დაღვრილი,
ბამბერ! სივრცეა საკრალური, ესოდენ ვინრო...

სისხლი დამძიმდა, ძელქვის ქერქის რა სვი ნახარში,
ტანზე იმანთავ, ასე ითვლი, ხან თეთრ და ხან შავ
დღეებს. და სანამ გადასცდები ნაპრალს ხახამი,

ის არსებაა! უსუსური, ნაძვებს თხრის, ფერთხავს,
ფუნჯებად მწვანე და მელნისფერ ტბებთან ალაგებს.

ამ ცხელ ღამეში დამიბერავს სიგრილე მთის იმ
უმზეო მრუდი ფაფხებიდან, სურნელთან ნიწვის.

სისხლსაც ვერ მწოვენ მტაცებელი კედლების შიშით
ღამის მწერები. სინოტივე ლენჭყიან მინის

სისხლსაც ამძიმებს. ბნელში უცებ ძალი აყვფდა,
ნუთუ შამბნარში ღელისპირას ისევ როკავენ
ღამის სულელები. ყვეს და დაჭრილ ძალს იდაყვებთან

ისე ახლოა ორიონი, ყველა სიზმარი
ინფრანთელი კადრი არის, ცის-იკანკლედი.

უფორმო ხე მიყრდნობია სახლის ყრუ კედელს,
შიგნით შეჭრილა ბზარებიდან,

ბუნდოვან წარსულს — მზეს რომ სცემდნენ
ღმერთით თაყვანს, როგორც ხარის კულტს,

საშიშ ხვთაებებს შენც განიცდი, ფხვიერო ბელტო,
რა გაჭირვებით გააღვივე პურის მარცვალი.


ბაქცევა

ქათმისფეხებიანი ქოხი დამდევს,
წიფლის ბნელ ფულუროში ვიძალები,

ყვილს, შუალმისას ხევებში რომ
დევის ხვრინვა ისმის ქარაფიდან,

* ქართველებში უზენაესი მფარველი პირველად იყო ზოო-
მორფულ-თიფალური არსება, ხარის სახიანი და ერქვა „ბოს-
ლი“. ეპითეტად გააჩნდა ბომბლა იგივე ბამბლუ.

სოსო მეშველიანი



ბოროტ ზღაპრებიდან გაქცევა მსურს,
თუ კი ამას მაინც ბედი მაცლის,

ასე ფეხმორთხმული, ფულუროში
ვზივარ, გათენებას ველოდები,

გვენთო კოცონი შუაგულ ტყეში, ღამის ბენვიან
უცნაურ პეპლებს ცეცხლის შუქზე ძლივს ვიმორებდით.

სადაც თითქოს და ცა მთავრდება, ნაძვნარებს მიღმა,
და მესეფენი მსხვილ ვარსკვლავებს თმებში იბნევენ.

რბილად ეცემა მსხლის ნაყოფი
ძირს, გადაწოლილ ბალახებზე,

რომელ მხარეს მივმართო მზერა?
იქით, საითაც მოყაყანე ვარხვების გუნდი
მიემართება,

დასასრული (გიორგის, რობერტს, ნუკრის)

თითები უკანაც მელუნება,
ნერვი რომ სიმივით იჭიმება.

წალეკავ ქუჩებს თუ ავტოპისტებს,
ხმაური. სულიც კი მეხუთება.

ვეარჯიშობ, ჯერ კიდევ ფორმაში ვარ,
ჯერ კიდევ შორსაა დამყაყება.

მხოლოდღა თვალების ცეცებაა,
პოეტი, წყვილადში დარჩენილი.

მუაში

(ესმა ონიანის გახსენება)

სუნთქვა ფიჭვის ქერქს შეახოცე!
გათავისუფლდი მგრძნობიარე ყნოსვისგან.

სანამ უკულმა არ ჩაიცლები მინაში.
დაე ეგონოთ, სიზმარს ყვები...

ვინც „ჩელოს“ ხეშით ვენებს იხსნის
და სისხნარევი საღებავით
ნითელთვალება ძროხას ხატავს,

კაცზე ბედნიერი სახით.
გამოიღე თავი ფულუროდან,

დანამცაცეპული ფიქრები

ნოემბრის წვიმა ჩამორეცხავს სიყვითლეს წიფელს,
ერთობ ტკიბილია შთაგონება, მჟავაც და მწიფეც.

ამ ციციქნა ლექსში, ხან პატარა სევდას ჩატევ, ხან
ნანვიმარ ფოთოლს, დამლილ ბუდეს.

რა აქვთ საერთო ძველ ასტრალურ კულტებს ქათამთან,
ბრძანა ყვილით, მთვარე გაქრა, ღამე გათავდა.

ნისლს სურნელი აქვს, შესქელებულს, ქაფით საანის,
ხელის კანკალით გადაფურცლავს სუსხიან აპნისს,

ბევრჭირნახული და ბავშვობის თითქმის არ მქონე
შორ სათიბებში მამაჩემი ეძებს საქონელს,

ჟოკელი ერის ინტელექტუალური ცხოვრების ისტორიაში დგება პერიოდი, როდესაც საკუთარი ქვეყნის სულიერი სახის გადარჩენა თაობა უნდა იკისროს. ერთი პიროვნება, თუნდაც გენიოსი იყოს, იგი, ვერაფერს გახდობს, თუ მას თანამოაზრეები არ გამოუჩინებიათ. საბედნიეროდ, საქართველო, ქართველი ერის ისტორიაში ამგვარი თაობა გაერთიანდა ილია ჭავჭავაძის გვერდით და „მგზავრის წერილებს“ დიალოგმა დღემდე შეინარჩუნა ის მუხტი, რომელიც გათითოვალის უფლებას გვართმევს, გულგრილობის სურვილს გვიკარგავს. საბედნიეროდ, ილიას მიერ ნათქვამი „ღვიძლი სიტყვა“ დღესაც ესმის მომავალ თაობას: „...არის მრავალი ქვეყანა, ჩვენზე უფრო უბედურად გაჩენილი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი“. ამჯერად ჩვენი ერის ბედისწერის მონათესავე იბერიელი ბასკების ქვეყნის, ესპანეთის, ტრაგიკული ბედისა და მასთან ბრძოლის თავგანწირულობაზე მოგვინებს ჩაფიქრება, ანალოგიების ძიება...

ამგვარი ფიქრისაკენ გვიბიძგა გამოცემლობა „არტანუჯის“ მიერ 2013 წელს დასტამბულმა წიგნმა „98“, რომელიც წარმოგვიდგენს ცნობილი ესპანელი მწერლების, 98-იანელების თაობის ერთი საუკუნის წინათ ჩამორთმულ ინტერვიუს; მიგელ დე უნამუნოს, ანტონიო მაჩადოს, რუბენ დარიოს, რამონ დე მასეს, ხასინტო ბენავენტეს, პიო ბაროხას, რამონ დელ ვალიე-ინკლანის დიალოგები ესპანურიდან ლანა კალანდიას უთარგმნია, ქართული პოეზიის ნიჭიერ მკვლევარსა და გამორჩეულ ესთეტს. ისე, როგორც ჩვენი 60-იანელების თაობა, 98-იანელებიც, XIX საუკუნის ეროვნული კრიზისის გაცნობიერებამ და თვითადარჩენის მძაფრმა სურვილმა ჩამოაყალიბა. გონებისა და გულის გამთლიანებამ კი, თავის დროზე, საქართველოც გადაარჩინა და ესპანეთიც. „ტვინიდან გულში“ ჩარბენილი და იქ დარჩენილი ტკივილი კი, როგორც ყველა პეტრიოტმა იცის, ერის გადარჩენის ერთადერთი შანსია. უამრავი უპასუხო კითხვითა და ტკივილით არის ნასაზრდოები ამგვარი დიალოგები და წიგნები ჩვენშიც და დღეს ჩვენზე „ბედნიერად მცხოვრებ ქვეყნებშიც“.

ეს პატარა, იშვიათი სისადავითა და გემოვნებით გაფორმებული წიგნაკი (გარეკანის დიზაინი თონა ჭანიშვილისა) ისედაც მიიქცევდა ქართველი მკითხველის ყურადღებას, რომელმაც ზემოჩამოთვლილი ესპანელი მწერლების უმრავლესობის შეყვარება უკვე დიდი ხანია, მოასწრო, მაგრამ დღევანდელი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო, ამ დიალოგების კრებული ორმაგ დატვირთვას იძენს: მწერლის სოციალური როლის გათვალისწინების გარდა, მას გზამკვლევის, გამოცდილების გამოზარებლის ფუნქციაც ეკისრება.

ლანა კალანდიას წიგნისათვის აუცილებელი, ტევადი, ენციკლოპედიური ლაკონიურობით დაწერილი წინასიტყვაობა ნაუმდღვარებია მრავლისმეტყველი სათაროთი: „დაცემის ტკივილი და ბრწყინვალეობის ფასი“. მთარგმნელმა იცის, რომ „ძვირფასი სახელების ხსენებისას ესპანელებს გაორებული გასცდა იპყრობთ — სიამაყისა და სინანულის“.

წიგნის რედაქტორის ზვიად კვარაცხელიასა და მთარგმნელის ერთობლივი გადაწყვეტილებაც, ალბათ, ამ კრებულის შედგენისას, ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელმა, მსგავსმა გაორებულმა განწყობამ გამოიწვია: დამოუკიდებლობის მოპოვებით მოგვრილი სიხარული და დამარცხებათა კასკადი ხელჩაკიდებული მოაზრებებს უკვე ორ ათეულ წელზე მეტია თავისუფალი და დამცრობილი საქართველოს მთა-გორებსა და ველ-მინდვრებზე.

წიგნში გაერთიანებული ინტერვიუების კითხვისას ერთდროულად გიპყრობს ცრემლნარევი უსასოობისა და სიამაყენარევი რწმენის უჯიათობა.

პირველი ინტერვიუ 1906 წელს ჩაუნერია ფ. მიშელ ჩამპურისნის მიგელ დე უნამუნოსთან, რომელიც მსოფლიო ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის ცნობილია თავისი გაბედულებით. მერაბ ლაღანიძე თავის 2011 წელს გამოცემულ წიგნში „მწერლის ცხოვრება დროში და სიტყვაში“. 99 მცირე და ვრცელი ჩანაწერი უცხოელ მწერალთა

შესახებ“ (თბილისი, „მემკვიდრეობა“) მცირე, მაგრამ უაღრესად საგულისხმო დაკვირვებას გამოთქვამს მისი საუკეთესო რომანის „ბურუსისა“ და მოთხრობის „წმინდა მანუელ, კეთილის“ არსის გაშიფრვისას: „იგი იმის დამტკიცებასაც კი ცდილობდა, რომ ესპანელებს საკუთარი რელიგია აქვთ — დონკიხოტიზმი, რელიგია, რომელმაც ისინი ყოველგვარი ილუზიებისა და ფუჭი იმედებისგან უნდა გაათავისუფლოს, ხოლო წამდელი იმედისაა, რომ დონ კიხოტის მსგავსად, მარადიული და თვალთ უნახავი დულსინეას ერთგული დარჩეს... ამ შეფასებისას, შეუძლებელია, არ გაგახსენდეს ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების განუყოფელი „ვეფხისტყაოსნობა“ — დაკარგული სიყვარულის ძიება და ერთგულება.“

მიგელ დე უნამუნოს — მწერლისა და პიროვნების — არაორდინარული ადამიანის პორტრეტს წარმოგიდგინებს ჟურნალისტი მიშელ ჩამპურისნის ინტერვიუ, რომლის აღების დროსაც მწერალი მაგიდაზე დაყრილი პურის ნამცეცების შენე-

თამარ ბარბაქაძე

ვეფხისტყაოსნობისა და დონკიხოტიზმის დასაახლოებლად

ბებით არის დაკავებული; ამ დაგორგოლებულ ბურთულას საუბრის ბოლოს არაჩვეულებრივი იუმორისტი მწერალი ჟურნალისტს მარცხენა თვალში ესვრის და მიახვედრებს: არა შეთხზული რეალობის, არამედ სინამდვილის, თუნდაც ურთიერთსაწინააღმდეგოს, დამაბრმავებელისა და ტრაგიკულის, მსახური უნდა იყოს ჭეშმარიტი მწერალი. მთარგმნელის, ლანა კალანდიას, სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი დახვეწილი, შესაშური სიზუსტით გადმოსცემს მიგელ დე უნამუნოს დაკვირვებებს, თეორიულ მაქსიმებს: „...მე იდეები არ მაინტერესებს, იდეები ის ვალუტაა, რომელიც საერთოა და მთელ სამყაროს ეკუთვნის. ნებისმიერი ხელოვანი საკუთარი პიროვნული ხასიათის შესაბამისად იყენებს ამ ფულს. მწერალში მე ის მაინტერესებს, თუ როგორ ხარჯავს თავის ინტელექტუალურ ვალუტას. უპირატესობას მათ ვანიჭებ, ვინც მარტოხელა მიუყვება გზას, ვისაც არ იცნობენ...“. მიგელ დე უნამუნოს, „ესპანეთის უბრწყინვალესი გონების“, პარადოქსებით აზროვნების უბადლო ოსტატის, — რწმენა თუ ურწმუნოება, მისი რჯულზე უფრო უმტკიცესი ჩვეულება — არასოდეს გაექცეს საკუთარ თავს — ლანა კალანდიას მიერ თარგმნილი ინტერვიუს მეოხებით, გამორჩეულად ადგილს დაუმიკვიდრებს მას თანამედროვე საქართველოს სალიტერატურო ცხოვრებაში; აქვე წარმოგვინდობს მეორე ინტერვიუს ბოლოს ჟურნალისტი სიმპლი უნამუნოს „მზესავით მკაფიო გონების მქონე ადამიანს“ უწოდებს, რადგან: „მზე კორექციის გარეშე წარმოადგენს საგნებს. მზეს არ ძალუძს დანვას და გააოფლიანოს ჩვენი გონება“. შეუძლებელია, არ დაეთანხმო ესპანელ ჟურნალისტს და არ ინატრო თანამედროვე ქართული პოლიტიკური მოვლენების ჩვენი მწერლების მიერ მსგავსი, მიუკერძოებელი შეფასება.

კრებულში, ასევე, ორი ინტერვიუ არის დაბეჭდილი ანტონიო მაჩადოსთან. ძმები ანტონი და მანუელ მაჩადოები „98 წლის თაობის“ წარმომადგენლები, 1936-

1939 წლების ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. პირველი ინტერვიუ ძმებ მაჩადოებთან მათ დაპირისპირებამდე თითქმის ერთი ათეული წლით ადრე დაიბეჭდა: 1928 წელს, როდესაც „ძმებ მაჩადოებს მთელი თეატრალური სამყარო ერთ პიროვნებად აღიქვამდა“, თუმცა, „თითოეულმა მათგანმა შეძლო, შეენარჩუნებინა თავისი პიროვნული ინდივიდუალობა“. ძმები მაჩადოების აზრით, „ლირიკა პოეზიის სულია“ და, არც კი უნდა ვიფიქროთ, ტრადიციული ფასეულობების უარყოფით, მათგან დაშორებით, ლირიკამ არსებობა შეძლოს. ესპანური პოეზიის მშვენიერების, ანტონიო მაჩადოს აზრით, „ლექსები ინტუიციის ნალებია, ის იდუმალი გამოცდილებაა, რომელიც გაფრენილი ნუთების არსებობას მოწმობს, წარსულის ჩრდილია და გაურკვეველი სიხარულის ვენებას აღძრავს“. შეუძლებელია, მადლიერებით არ აღივსო მთარგმნელის, ლანა კალანდიას მიმართ, რომელმაც ანტონიო მაჩადოს „მიუსაფრობის შიშისა და

ცნობილ ესპანელ მწერალსა და იდეოლოგ რამონ დე მასესტუსა და პერუელ ჟურნალისტ სულიო დე ლა პასს შორის. მასესტუმ, როგორც მთარგმნელი გვამცნობს, ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე: 1936 წლის 29 ოქტომბერს იგი არავაკას სასაფლაოზე დახვრიტეს. მწერლის უკანასკნელი სიტყვები ამგვარი ყოფილა ჯალათების მიმართ: „თქვენ არ იცით, რისთვის მკლავთ, მაგრამ მე ვიცი, რისთვის ვკვდები: იმისთვის, რომ თქვენი შვილები თქვენზე უკეთესები იყვნენ!“

„ხასინტო ბენავენტეს სახელთან არის დაკავშირებული მოდერნიზმის დამკვიდრება ესპანურ თეატრში. ბენავენტეს დრამატურგიაში ხორცს ისხამს 98-იანელთა ესთეტიკური ღირებულებები“, — ვკითხულობთ წიგნში. ხასინტო ბენავენტეს ჟურნალისტი ფრანცისკო ლუსიენტე ეკითხება: კონსტიტუციის, რესპუბლიკური მმართველობის, სოციალიზმის, მონარქიზმის, რელიგიური პრობლემის თაობაზე. დღესაც საჭიროოტოა ხასინტო ბენავენტეს აზრი: „საზოგადოების განვითარების გარეშე, კარგი ან ცუდი კანონებით, ქვეყანა არ შეიცვლება“.

ექიმი პიო ბაროხა თავისი პირველი წიგნით „ცხოვრება ჩრდილში“ გაიცნეს უნამუნომ, ასორინიმ და მასესტუმ, რომელთაც უყოყმანოდ აღიარეს იგი 98-იანელთა ლიდერად და თეორეტიკოსად. სწორედ პიო ბაროხასა და ჟურნალისტ ფრანცისკო ლუსიენტეს 1931 წელს გამართული დიალოგისას ნაგანყდით მთარგმნელის ხატოვანი აზროვნების მშვენიერ ნიმუშს, რომელმაც გვაფიქრებინა: ქართული კლასიკური მწერლობით ნაკარნახევი ფრაზეოლოგიზმები უფრო გასაგებასა და საინტერესოს ხდის ესპანელ მეამბოხე ინტელექტუალთა ნააზრევს. პიო ბაროხას მახვილგონიერული პასუხი მოქმედებს ხელისუფლების ავკარგიანობის თაობაზე ასე უთარგმნია ლანა კალანდიას: „ესპანეთში არაფერი შეიცვლება ახალი კონსტიტუციით, უკვე 13 კონსტიტუცია გვექონდა. არც 13 წინსვლა გვექონია და არც 13 უკუსვლა. გამორჩეული პოლიტიკოსების ნაკლებობას რესპუბლიკაში მათი ძალაუფლებაში მოულოდნელი მოსვლით ვხსნი. არავინ ელოდა, რომ მეფე და მონარქიზმი ბრძოლის გარეშე წავიდოდნენ. ეს ნამდვილი „ვარდის ფურცლობის“ დრო იყო“.

ქართული სალიტერატურო და ინტელექტუალური ცხოვრებისათვის საყურადღებო შენაძენი — ესპანელი მწერლების, 98-იანელთა დიალოგების ეს პატარა კრებული — მთარგმნელის მართებული არჩევანით, რამონ დელ ვალიე-ინკლანის ორი ინტერვიუთი სრულდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის უკანასკნელი, 1929 წელს ჩანერილი ვისენტე სანჩეს ოკანიას მიერ: „რომანტიზმის ასი წლისთავის აღსანიშნავად“.

რამონ დელ ვალიე-ინკლანის აზრით, ესპანური რომანტიზმის ძლიერებას გოიას მხატვრობა ადასტურებს, „სერვანტესი და ველასკესი კი არ არიან რომანტიკოსები... მათ იციან ვნებების მოთვინიერება, დაყოვნება...“.

მთარგმნელის მიერ შერჩეული სტილი და სინტაქსი ბუნებრივად ერწყმის ქართული ფილოლოგიურ-ესეისტური აზროვნების ტრადიციულ მდინარებას; უფრო მეტიც, ვფიქრობ, თავისებურ ნაკადს, დამოუკიდებელ ფშას ქმნის მთარგმნელები უცხოელი ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის ამ მიმართულეობაში. იგი XX ს. 10-20-იანი წლებიდან დაწყებული, ზიგზაგებით, მაგრამ მაინც ვითარდებოდა ჩვენში, გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან კი მძლავრად მოიკიდა ფეხი „ხომლის“, „საუნჯის“, სხვა პერიოდული გამოცემებისა და განსაკუთრებით კი პაატა და როსტომ ჩხეიძეების მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი ესეების მეოხებით.

ესპანური დიალოგების ეს საჭაშნიკე წიგნაკი ქართველ მკითხველს იმედს უღვიძებს, რომ მისი მთარგმნელი ლანა კალანდია კვლავ არ გაუცრუებს მოლოდინს და დონკიხოტიზმისა და ვეფხისტყაოსნობის თავყანისმცემელი ერების დაახლოებისათვის მას კიდევ რამდენიმე თვალსაჩინო ნიშანსვეტს აჩუქებს.



აუხსნელი, დაუჯერებელი, პარადოქსული იმედის“ გვერდით, გვიჩვენა პოეტის პიროვნული ღირსება, გაპირობებული მისი უსაზღვრო პატრიოტიზმითა და ძმური სიყვარულის სიღრმითა და სიდიდით: „ჩემთვის დიდი ტანჯვაა მანუელთან განშორება, — უპასუხებს იგი პასკუალ პლა ბელტრანის 1937 წელს ჩანერილ ინტერვიუში, — ... როდესაც შესაძლო გადასახლებაზე და მღვდელურ ესპანური მინიდან შორის ყოფნაზე ვფიქრობ, ჩემი გული დარდით ივსება. ზუსტად ვიცი, რომ უცხოეთი ჩემთვის სიკვდილს ნიშნავს“. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ანტონიო მაჩადოს უამრავი თანამოაზრე ჰყავს ისტორიულ თუ თანამედროვე საქართველოში.

ესპანური პოეზიის კიდევ ერთ მშვენიერებას, „კასტილიური ენის უფლისწულს“, „მოდერნიზმის მამას“ რუბენ დარიოს, რომელიც 1916 წელს გარდაიცვალა, კრებულში წარმოგვინდობს მისი ბოლო ინტერვიუთი ეცნობა ქართველი მკითხველი. იგი გულისტკივილით ამბობს დიალოგისას: „ყველა ქვეყანაში ასეა: უცხოური საუბრეთესო ჰგონიათ!“ — თითქოს, ჩვენი განცდისა და უბედურების გასაღები ეპოვოს ვინმეს, ისეთ ნუგუმს ვიღებთ ამ სიტყვებით. „სრულფასოვანი ქრისტიანი და ესპანელი“ — ასეა დასათაურებული დიალოგი

დაქველავალი რითმები

გახუნებულ სახლს გაუვიდა ბოლომდე ყავლი, სალამო მიდის, დაიხურა ჩუმად დარაბა, აღარასოდეს დაიყვებეს ეზოში ძაღლი, ცხოვრება სადღაც მიიქარის ისევ არადა.

შენც ნუ დამტოვებ, აზრი არ აქვს, მარტო ვარ ისეც, მიდი-მოდინ მარტივი და ძველი რითმები, და ირგვლივ მოჩანს არაფერი და ცოტა სივრცეც, მოგონებებში, ფანტომებში, ვბორგავ, ვინტქმები.

სალამო მოდის, მზეა რუხი და ოდნავ მუქი, ახლოა უკვე გამგზავრება, რეისი ღამის. ბოლოს ყველა სახლს, ყველა სადგურს ედება ლუქი, არ ღირს სიცოცხლე ტყუილებით, შექმნილი დრამით.

მე ერთხელ ადრე საკუთარ თავს და ღმერთსაც ვკითხე, ეს იყო იმედგაცრუება ან სულაც დაღლა, რატომ მივყვები ნამდაუნუმ გაცვეთილ სიტყვებს, როცა უჩუმრად შეიძლება იოლად წასვლა.

მატარებლები

მატარებლები გვირაბებში ღამით მიქრიან, და სიბნელეში ნელა-ნელა ქრება სათქმელი, უკვე რამდენი შეცდომაა, ფუჭი სისხლია, და მეც მივთრევე არაფრისკენ გრძნობას გათელილს.

ან სად გავექცე მოლანდებებს, სულის ფორიაქს, რატომ ველარ ვცნობ საკუთარ თავს, სახეს, ნაბიჯებს, და რაც მიყვარდა, უკვე ძლიერ, ძლიერ შორია, ახლოა მხოლოდ სიუცხოვე და სიმახინჯე.

მატარებლები გვირაბებში ღამით მიქრიან, ქრება სათქმელი, მაგრამ მაინც თავს არ ვიმართლებ, უკვე რამდენი შეცდომაა, ფუჭი სისხლია, სად გადამალეთ, დამანახვეთ ცოტა სინათლე.

უძილობა

ისევ რიჟრაჟი, უძილობა, ფიქრი, რიცხვები, დიდი ხანია გადავაგდე ყველა ნიღაბი, არც ფხიზელი ვარ და რატომღაც ველარც ვითვრები, და სანახევროდ გავიარე ჩემი გვირაბი.

და აღარაფერს მეუბნება დროის დავთარი, გადავიღალე სტრიქონებით, რითმის მორგებით, ხელს აღარ ვახლებ, ასე დარჩეს, იყოს რაც არის, გარეთ სჩანს კაფე, დაკეცილი სდუმან ქოლგები.

ისევ რიჟრაჟი, უძილობა, ყავა, მაგიდა, და ჭერი ძველი, შელახული, იქ, სადღაც მაღლა, მე დავინყებდი ჩემს ცხოვრებას ალბათ თავიდან, მაგრამ ასევე ვიცხოვრებდი ჯიუტად ალბათ.

გარიჟრაჟია, დარაჯი ხსნის ჟანგიან ჭიშკარს, ვნერ, მარცვლებს ვითვლი, მარცვლებს ვითვლი, მივსდევ, მივყვები, თენდება, მაგრამ გათენება არაფერს ნიშნავს, ისევ რიცხვები, ეს რიცხვები, მხოლოდ რიცხვები.

დაგვიანებული პასუხი

მახსოვს ერთხელ გულუბრყვილოდ მკითხე, მზე კი ნელა მოძრაობდა ცაზე, რად ვიგონებ მე ცარიელ სიტყვებს, მარტობას შევეჩვიე რაზე.

გვიან, მაგრამ მაინც მინდა გითხრა, არასოდეს არ ვყოფილვარ მარტო, არ არსებობს ცარიელი სიტყვა, არ არსებობს ჯებირი და ჩარჩო.

მთქმელი

თქვენთან ახალი ვერაფერი ვერ დავინახე, შემომჩვილა უცნობმა ქალმა, რა ვქნა, ძვირფასო, მარტივ ბნკარებში და რითმებში რაც მოდის, ვატყე-არ მიყვარს ფორმით ტვინისა და ფურცლის ჭყლეტა, რაა სიახლე, როცა ყველგან კრიზისის დროა. მეჩვენება, რომ არაფერი დარჩა სათქმელი, მე კი მთქმელი ვარ, გთხოვთ, მიცნობდეთ, უბრალოდ მთქმელი.



გაგა ნახუცრიშვილი

დაკარგულები

არ მოსჩანს გზის ბოლო, ვერაფერს ხედავენ, ყვირიან, სიტყვები დღეს მხოლოდ წყალია, დაკარგა ნიჩბები შემთვრალმა მენავემ, და თავს რაც გადაგხვდა, სულ ჩვენი ბრაღია.

არაფერს ვსწავლობდით, სასწაულს ველოდით, გვეგონა დიადი მისია დავინყეთ, დაბერდა მიზანი და გახდა მელოტი, ქვეყანა დავარქვით არეულ საგიჟეთს.

იმედიც მოგვნახავს, გზაშია ან სძინავს, ის მოვა და ვიცი, ყველა ბრმად ენდობა, და ისევ წრენირი და ისევ რუტინა, და ისევ უსახო ირყევა შენობა.

არ მოსჩანს გზის ბოლო, ვერაფერს ხედავენ, ყვირიან, სიტყვები დღეს მხოლოდ წყალია, დაკარგა ნიჩბები შემთვრალმა მენავემ, ნაპირიც აღარ სჩანს, შორს არის ძალიან.

მარტივი სირთულა

დღეს ნულარ მახსენებ ახდენილ იმ სიზმრებს, დღეს ასე მგონია, მეძინა არასდროს, შევხვდები ნაცრისფერ რეალურ სიფხიზლეს, რაღაც რომ დავტოვო, სიცხადეს დავასწრო.

მე მინდა იმ სიტყვის დანახვა, მიგნება, რომელსაც რატომღაც ვერაფერ ვერ ამჩნევს, არ მიაქვს დროის ცვლას, არ მიაქვს დინებას, და მერე მოვყვები რაღაცას დანარჩენს.

და მაინც მარტივად მთავრდება სირთულე, და მაინც ახსნა აქვს უცნაურ არაკებს, ვუყურებ ცხოვრების გარდასულ სართულებს, რომელსაც მივაგნე, თან ბევრჯერ დავკარგე.

შეცდომა

გამოვასწორებ ხარვეზს, მჭირდება ერთი ხაზი, მერე კი რამეს დავლევე, რომ ავაორთქლო ბრაზი,

არ გავბოროტდევ, რადგან ვხედავ, რომ ყველგან ცივა, ჩემი ცხოვრება სადა უკვე დამიჯდა ძვირად.

მჭირდება ერთი ხიდი, რომ გადავასწრო ლოდინს, და რაღაც უფრო დიდი სიმართლის მერე მოდის.

მჭირდება ერთი ფრაზა, რომელსაც ველარ ვაგნებ, რომ გულუბრყვილოდ, ნაზად, შევხედო უხემ საგნებს.

ახლა მგონია შევცდი, გავყევი ბურუსს მტვრიანს, გამოვასწორებ, შევცვლი, თუ აღარ არის გვიან.

წერტილი

მინდა ვიჯდე და უწყვეტად ვწერდე, ფრაზებიც გაჩნდეს მთელი, წყვეტილი, მე არასოდეს არ დავსვამ წერტილს, ბოლოს მომნახავს თვითონ წერტილი.

საღღაც

მე დავიბადე საღღაც, სადაც სიცოცხლე ხმება, სადაც სიკვდილი გაძღა, ეს იყო ხალხის ნება.

სადაც ვინც გვიყვარს, კვდება, სჩანს გაცრეცილი რუკა და სანატრულმა გზებმა ჩვენ დაგვაბრუნა უკან.

მე დავიბადე, რადგან იყო ვილაჯის ნება, სადაც ვერ შლიან საბანს, სადაც ვერაფერს ძღება.

ქუჩის ქაღვები

ქუჩის ქაღვები, მარტოხელა ქუჩის ქაღვები, რატომ უყეფენ გამაღვებით ღამეს და მთვარეს, როცა ძილქუში გახვეულან ჩვენი სახლები, როცა ნელ-ნელა მივეცემით ყოფის სინწყნარეს.

თითქოს ეძებენ გადაგდებულ ნამცეცებს, საშველს, გვახსენებენ, რომ ამ ქალაქში ვილაჯის შია, თითქოს გვიხმობენ, გვეძახიან ჩვენს უცხო სახელს, გვახსენებენ, რომ კარი უნდა დავტოვოთ ღია.

თითქოს იღბალიც საღღაც აქვე, ჩვენთანვე გდია, და ქაღვებს უნდათ დაგვანახონ, ამიტომ ყეფენ, შორი გვეგონია, ძლიერ შორი და ახლო კია, და სხვაგან მივსდევთ მიზნებსა თუ პრაგმატულ შედეგს.

ყეფენ, რომ სულ არ დაეძინოს მილეულ სინდისს, ხმაურიანი მოიტანონ ნუგეშიც, სევდაც, რომ მოყვნენ რამე შუალამის, მთვარის და იმ ცის, ცოტათი მაინც შეგვაფხიზლონ, მოვიდნენ ჩვენთან.

ქუჩის ქაღვები, მარტოხელა ქუჩის ქაღვები, რატომ უყეფენ გამაღვებით ღამეს და მთვარეს, როცა ძილქუში გახვეულან ჩვენი სახლები, აშინებთ, როცა მივეცემით ყოფის სინწყნარეს.

ვხედავ ბილიკს და დათოვლილ ნაძვებს, ვილაჯა სუსხში კითხულობს ლოცვებს, და რაკი უკვე გადავრჩი, გავძლე, ჩემს ცხოვრებაზეც მინდა, რომ მოვყვე.

ავიღებ ფურცელს და დავწერ ბარემ,
ცოცხალი რომ ვარ, თურმე კარგია,
მე გავიხსენებ ხმაურს, სინყნარეს,
რაც მიპოვნია, დამიკარგია.

ბავშვობაში და ბავშვობის მერე,
რაც დავტოვე და რაც ვერ დავტოვე,
რაც დავწერე და რაც ვერ დავწერე,
სადაც მიმიღეს და მიმატოვეს.

იყო სიჩუმე, იყო ბაზრობა,
სიხარული და სადარდებელი,
ბაქანზე იდგა ახალგაზრდობა,
მაგრამ წავიდა მატარებელი.

იყო ზმანება, იყო სიცხადე,
უსაქმურობა და ისევ საქმე,
ტყუილიც იყო, იყო სიმართლე,
იყო, რაც დავთმე და რაც ვერ დავთმე.

მერე მგზავრობა, მერე გაქცევა,
როცა შორი ხმა გეძახის — წამო!
რა დამემართა, მე ვარ, არც მე ვარ.
აღარც დილაა, აღარც საღამო.

და როცა მოვა, ვიცი, ის არის,
შინის გარეშე წყნარად გავყვები,
იქ არ არსებობს გათვლა, ქვითარიც,
არც მოგონილი ჩვენი ზღაპრები.

ვხედავ ბილიკს და დათოვლილ ნაძვებს,
ვიღაცა სუსხში კითხულობს ლოცვებს,
რაკი გადავრჩი, ცოტასაც გავძლებ,
და მთელი ღამე მინდა რომ თოვდეს.

ნიცუა

ვინ დაინახა დასასრული სამყაროს კიდის,
ვინ დაინახა დასაწყისი ჩვენი ზმანების,
ჩვენ არ ვიცოდით, რომ ვინამეთ მხოლოდ სიფლიდის,
რომ დაგვტოვებდნენ თურმე ბოლო ქრისტიანებიც.

ჩვენ ყველაფერი დავაბრალეთ ეპოქას, ხანას,
და გვეზარება, სულ არაფერს, არაფერს ვიმჩნევთ,
ასეა, აღარ შეიცვლება ჩვენი ქვეყანაც,
ასე იტყოდა გულუბრყვილო — მართალი ნიცმუც.

სანტიმენტალური ლექსი


გაფრინდა აზრი, ამიტომაც მგონია მოთოვს,
ლექსი ცოტა მაქვს, მოგონება აურაცხელი.
არ მახსენდება სად ვიყავით, რა გერქვა გოგო,
ლექსს დავწერ, იქნებ გამახსენდეს შენი სახელი.

არც სიმბურვალე დარჩენილა, არც ჟრუანტელი,
ფერი ეცვლება ნელა-ნელა წარსულის ბაღებს,
და ვერაფერი დავიტოვე შენთვის სათქმელი,
შენთვის, ძვირფასო, ვერაფერი ვერ შევიწინაბე.

და ვფიქრობ ძველზე, როცა რამე ახალს არ ველი,
როდესაც მაინც სულერთია მოთოვს, არ მოთოვს,
ლექსს დავწერ, იქნებ გამახსენდეს შენი სახელი,
ლექსს დავწერ, იქნებ გამახსენდეს მიყვარდი როგორ.

მთაში

ცვლილებების ქარტეხილი გაქრა,
დინებაა მღვრიე, თანაც სუსტი,
აღარც გიჟი, უცნაური კაფკა,
არც ფაქიზი, მგრძობიარე პრუსტი.
ვუბრუნდები ხშირად ვაჟას ტომებს,
მინდა მართო გავიპარო მთაში,
სინამდვილეს გამახსენებს ხოლმე,
იქ არ არის სიყალბე და ტაში.
იქ ხომ მოდის სხვანაირი რითმი,
მოდის ნისლის ბუნდოვანი ფერი,
ის ხომ ამბობს, მთას უხდება ფიქრი,
მაინც უნდა შეიყვარო მტერი.
ცვლილებების ქარტეხილი გაქრა,
დინებაა მღვრიე თანაც სუსტი,
მთაში წასვლა საშველია მართლა,
წავალ, რადგან უფრო ქალაქს ვუფრთხი.



დასასრული

დამკლავენ და რიტუალსაც დაასრულე-
ბენო, მისი სამოსი გამოაჩინეს დილით იმ
საზარელ ოთახში რომ გახადეს და ჩაცმა
დაუნყეს და სერთუკიც შეუკრეს, წამო-
აყენეს და ერთმა კიდევ გათლილი ჭიქით
პირში არაყი ჩაასხა. მერე ერთმა სხვამ
კისერზე მოიგდო და ასე ატარა ფაეტ-
ონამდე. შიგ კი ერთი არღნიანი ჯეილიც
იჯდა ლოყაზე ქიღვაშის ნაკუნით, შუა
ლოყაზე მოზრდილით და იმან დაატრია-
ლა თავისი კლავისინი და ცხენებიც
გარეკეს.

ბაშმაჩკინის გონება ამდენ რასმეს ვე-
ღარ მოერია და თვალბინა ცრემლი წასკ-
და. მას ერთი ველური იერის კაცი ჰკოც-
ნიდა და დამბაჩასაც ისროდა. ბაშმაჩკინი
კი სტიროდა, რაღაცა გუმანი ეუბნებოდა,
რომ მისი განსაცდელი დასრულებულიყო.
მისი გუბერნიული გონება, ფურცლების
სწორებას, მელნის ფურცლიდგან ამოშ-
რობას და ასოს ფოცოცის მოსმას დაჩვეუ-
ლი გონება ამას თავგადასავლის ეპი-
ლოგად რაცხდა.

გონება ბაშმაჩკინისა ცდებოდა. აბა,
რას გასწვდება ტამბოველი ტფილისის
მისტერები. ფაეტონი აგურის თალიან
დაბალ შენობებს მიადგა. აქ ყველა ხმაუ-
რით ჩამოხდნენ და შიგ ჩაიყვანეს. იქ ჯო-
ჯოხეთი თუ იყო, რაკი იმისთანა გოგირ-
დის სუნი ამოვარდა, რომ უთუოდ ეშმაკ-
თა სამყოფი იქნებოდა.

ეშმაკი ტანს ზევიტ გახდილი დაუხვ-
და. მისი ღონიერი ხელები ერთი მეორესა
იფშენებდა, გულზე კი ვეებერთელა სვირ-
ინგი ჰქონდა. ერთ მხარეს მეჩეთი და მე-
ორე მხარეს ეკლესია.

რაც იმ ზორბა კაცმა დაჰმართა, ამისი
მოყოლა გაჭირდება. იმან, რაც რამ ბაშ-
მაჩკინს ცოდვა ჰქონდა, ყველა გაუხსენა,
არც ერთი აპატია და არც ერთი ძვალი
დაუტოვა მრთელი. მერე ზედ შეაჯდა და
ახტებოდა და ბაშმაჩკინს გონებამ მოაგ-
ონა, როგორ შეახტებინა ეშმაკები კაცს და

აბო იაშადაშვილი

**კალექსკი რეგისტრატორის
ურვეულო ამბავი**



აჭენებენ აქეთ-იქით და ხანდახან ცაშიც
აფრენენ, რათა სული ამოჰხადონ და
შიშთვილიზონ.

და მალე მის არც ერთ კიდურს
მოძრაობის უნარი აღარ გააჩნდა და ის
თეთრი ქაფით მთლიანად დაფარული
უგონოდ ეგდო. ეშმაკმა კი ცივი წყალი
გადაავლო და ასე დატოვა.

და აჰა, შემოვიდა ორი კაცი და დაინ-
ყო სხვადასხვა სანოვანის ამოლაგება. ის
წამოაყენეს, თეფშზე დალაგებული ნითე-
ლი ღვინით სავსე სამი ჭიქა მიანოდეს და
დალევა ანიშნეს.

შემდეგ კიდევ რამდენიმე ჯეილი შე-
მოვიდა. ერთმა ყველს გოგირდიანი წყა-
ლი გადაავლო, მეორემ ნესვი შემოიტანა
და ადუღებულ წყალში ჩადო და ამას საზ-

არელი ხმის მუსიკა მიაყოლეს, წრიბინი-
თა და ტანჯვით სავსე.

ბაშმაჩკინი თითქოს ხელახლა დაბადე-
ბული სვამდა ღვინოს და მალიმალ ამათ
შემოკრულ ხელს, თუ გასამხნეებლად თუ
ყონალობის სამტკიცებლად იგრძნობდა
და გამონვდილ ჭიქას უხმოდ სცლიდა.

ღვინოს გაბერილი ტყავისაგან ასხამ-
დნენ, რომელიც ისეთივე საზარელი იყო,
როგორც იერი მისი ჩამომსხმელისა.

ბოლოს ერთმა მისმა მეინახემ დასძა-
ხა „აჰა, შაბაშ“ და გაშლილი სილა მთელი
ლონით შემოჰკრა მას და მან იგრძნო
როგორ მოხვდა მას შუბლზე გარდა ხე-
ლისა, კიდევ რაღაც მძიმე, ლითონის, რაც
მერე მის კალთაში დაეცა და სპარსული
მონეტა იყო, ოქროსი, ზედ ლომითა და
მზით.

IV

ბაშმაჩკინს მზის სხივმა გააღებია
თვალი და მან ტუჩებით გააკეთა „ბრ...“,
როგორც ყოველთვის, როცა იღვიძებდა,
თუმცა კი ვერ ახსნიდა, აბა, ერთი რა
მიზეზით. შემდეგ ხელი ლოგინთან დაკ-
იდებულ საათისაკენ გასწია, როგორაც
ყოველ დილით, დაჰხედა და ციფერბლატი
რვის თხუთმეტ წუთს აჩვენებდა, მისი
ადგომის ჩვეულ დროს. ის წამოდგა და
ბუნდოვნად იხსენებდა ნახულ სიზმარს,
ოღონცა ზუსტად რა და როგორ, არ აგ-
ონდებოდა. გაბზარულ სარკიან პირსა-
ბანში მან თავი მოინესრიგა, იმ მუნუქსაც
შეხედა, რომელიც წინა დღით ცხვირზე
ამოსვლოდა და რომელიც ადგილზე
დაუხვდა, შემდეგ სერთუკი ჩაიცვა, ქუდი
დაიხურა კაზირიოკიანი, ქალაღები ამ-
ოიდო ილღის ქვეშ და ცხენის რკინის
გზით კანცელარიისაკენ გასწია.

იქ მისულმა ქუდი მოიხადა, კიბეები
აიარა, ოთახში შევიდა და თავის ადგილას
მოთავსდა. კარაულთა მის წინ იჯდა და
იქ მყოფთ უყვებოდა, ცესარევიჩი ბომბაი-
ში რომ ჩასულიყო, საცა ინდოეთის ვიცე-
კოროლი დახვედროდა და მაგარაჯის
სასახლეში ესადილნათ, ხოლო ნადირო-
ბისას თავად ბარიატინსკის ორი ვეფხვი
მოეკლა. შემდეგ ის ბაშმაჩკინს მიუბრუნ-
და, „ხო, მართლა, ბაშმაჩკინ, ფულს ვკრიბ-
ავთ გუბერნატორის პორტრეტის დასახ-
ატად და თქვენ თუ შემოხვალთ?“

„როგორ არა“, თქვა კალექსკი რეგის-
ტრატორმა და მონდომებით ხელი სერ-
თუკის ჯიბეში ჩაიყო, მოიქექა და იქიდან
ხურდები ამოიღო. ერთი მონეტა იყო
სრულიად უჩვეულო, ოქროსი, ზედ ლომ-
ითა და მზით.

¹ ასეთ უჩვეულო ყვეს აღწერს გაზეთი „ივერია“
1891 წ.
² ხოლო ამისთანა პროცესია აღწერილია გაზეთ „ნო-
ვოეობოზრენიუს“, 1889 წ.
³ ასე ქვია ყვენის გასამრჯელოს გრიშაშვილის
თანახმად.

დასაწყისი პირველ გვერდზე

სწორედ იქ შეიჭყო ჰანვიმ, რომ დატუსაღებული იყო ხანძრის გამო, რომლის საყურებლადაც თავადაც გაეშურა წინა დღით, რახან მთელი ქალაქი იმ ხანძრის საცქერლად წასულიყო. ალი მოსდებოდა ქალაქის სტამბას, რომელიც ომანოვის ქარვასლიდან ახლოს მდებარეობდა სიონიდან აღმა, ერთ დროს მლოცველთა ოთახებად წოდებულ ნაგებობაში, რომელიც ახლა მმართველობის ხელში იყო.

რახან არ იყო ქარი და ახლო იყო მდინარე, ხანძარი აღარ გასცდა სასტამბო შენობას, ოღონდ თავად სტამბა კი ჩაიწვინა სრულიად და დარჩა გამოშავებული კედლები და სველი ნამწვის სუნი, რომელიც ბატონის მოედნამდეც სწვდებოდა.

იმ ძლივს განათებულ ოთახში აღმოჩნდა ორი მდუმარე კაცი, ორივე სპარსელი, რომლებიც წყნარად ისხდნენ და მისცქეროდნენ ზეთის ლამპარს, იმათ შორის ახლო კი, იჯდა სხვა ტუსაღი, რომელსაც ჰანვი იცნობდა და რომლის დანახვამაც უფრო მეტად შეაშინა, ვიდრე თავად დატუსაღებამ, რადგან მისი დაკვირვებით, დატუსაღება და მერე მალევე გათავისუფლება ამ ქალაქში ჩვეულებრივი რამ იყო.

ის კაცი, რომელსაც ფეხებშია ედო თავისი ფეხსაცმელები და ჟილეტიც გაეხსნა, გახლდათ ინგლისელი, რომელთანაც ამ ოთხ თვეში ორადორჯერ შეხვედრამ უსიამო მოგონებები დაუტოვა ჰანვის.

ეს იყო გაურკვეველი ადამიანი, გვარად კვილიძე, მისტერ დენიელ კვილიძე, უმწო და საშიშარი, სამყაროს მივარდნილ კუთხეში ერთ ენაზე მოლაპარაკე კაცის შეხვედრით გამოწვეულ ყოველ ნათელ გრძობას რომ ხმის ამოდებისთანავე სპობს.

იმხანად თბილისში იყო სულ ორი ინგლისურად მოლაპარაკე და იმათგან ერთი გაცნობისთანავე ეცადა, რომ უსიამოვნებაში გაეხვიო მეორე, რომელიც სპარსეთისკენ წასვლას ლამობდა და საჭირო საბუთს კი ვერ იღებდა.

— გელოდი, — სთქვა კვილიძე, — გუშინდელი საღამოდან აქა ვყავარ. დიდხანს ჩარჩი და გაბრალებენ ხანძრის მოწყობას... და ამ ორსაც...

— რატომ ჩვენ? — საბოლოოდ გამოფხიზლებულმა ჰანვიმ უკვე იცოდა, რომ კვილიძის ხილვა უკვე ძალიან ცუდის ნიშანი იყო.

— მე გითხარი, რომ დროზე წასულიყავი აქედან. ახლა შენს საათებს ვიღაც რუსები დაიმშვენებენ. ვალებიდან ვეღარასდროს ამოხვალ... თუმცა, ახლა უკეთესია, რომ არ წახვედი. იციან, რომ ფრანგული იცი?

— არ ვიცი.
— ფრანგულად დაგკითხავენ.
— იქ უამრავი ხალხი უყურებდა ხანძარს.

— მართლა? შენ რომელი თარჯიმანი დაგყვებოდა?
— არ ვიცი. ალი ერქვა მგონი. პატარა ხილდა და თუთის ხეს შორის ჩაიხანა. იქ ზის ხოლმე.

კვილიძე ერთ-ერთ სპარსელზე მიათითა.
— აი, ალის ძმა. ალი გუშინ მოუკლავთ რომელიღაც საგუშაგოსთან.

ჰანვიმ გახედა თავჩაქინდრულ სპარსელს.
— ბაბა-ხანის ცოლები ტყუილად ელიან შენს საათებს.

— მე რა შუაში ვარ? ხანძარი ხანძარია.
— ყველაზე უფრო რა მოცეხს ხოლმე და გულუბრყვილობა, — გამოჩნდა მისტერ კვილიძის გრძელი და უსწორმასწორო კბილები, — როგორ ფიქრობ, ამდენ ხანს რატომ ვერ მიიღე საჭირო ქალადი?

— ვიცი. სპარსეთთან გართულებული ვითარების გამო.
— და რას აკეთებდი ბოლო კვირეუბია? იცი, საერთოდ, რა ხდება?
— რა ხდება?
— დღეს რა რიცხვია?
— ივნისი...

კვილიძე ჩაიციხა და რალაც გადაულაპარაკა სპარსელებს, ალბათ სპარსულადვე, და იმათაც ჩაიღიმეს. ესეც იყო საშინელი ამ კვილაში, მგონი, ყველა ენა იცოდა და თითქმის შეჭურვილი იყო უიარაღოს წინაშე.

— ივნისი, ივნისი... ომის თეატრი.

ჰონვიმ მართლაც ბევრი არ იცოდა მიმდინარე ამბებისა, კვილაში კი, ბევრი.

ორი კვირა არ იქნებოდა გასული, რაც სპარსეთის შაჰმა ბაბა-ხანმა წერილით მოსთხოვა რუსეთს, ხელი აეღო საქართველოს მიწებისა და კავკასიის უფრო მცირე სახანოთა თავის გუბერნიებად შემომტკიცებისგან და ამას კი მოჰყვა, რომ გენერალმა ციციანოვმა დასძრა ჯარები სამხრეთით ერევნის ხანის დასაცქევად და თბილისი კი დარჩა უფროსობის და ჯარის გარეშე, სანამ ერევანზე ლაშქრობა მიმდინარეობდა.

ამის შემხედვარე, აჯანყების ალი აგვიზღადა საქართველოს მაღალ მთებში, სადაც გამოდის ვინო გზა რუსეთიდან და საიდანაც მთელს ზამთარს გადმოჰყავდა ჯარი ციციანოვს. სწორედ იქედან ჯარების გადმოსაყვანი გზის გასაფართოებელ სამუშაოებზე, რუსებმა წელში გასწყვიტეს მთიელები და ახლა ისინი თავად იყვნენ.

აკა მორჩილაძე

ქპრივის ლიმონები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



ვიანთი მღვდლების სარდლობით, იმ გზას ანგრევდნენ და სწვავდნენ რუსეთის ჯარის ყაზარმებს იქაურ ადგილებში. ციციანოვის ლაშქარი მიმდგარია მდინარე ზანგზე და იქედან კი აბას მირზა, ვაჟი და სარდალი ბაბა-ხანისა აგრუხუნებს ზარბაზნებს. ყოველი დღე შეიძლება იქნეს გარდამწყვეტი, რომ თბილისში ატყდეს ომი-ანობა და მთის მოჯანყენი მოვიდნენ აქ, ხოლო სპარსელებმა მტვერი დასტოვონ ციციანოვისგან.

ჰანვიმ იგრძნო სიცხე ამ ჩახუთულობაში.
— მე... და მე რა შუაში ვარ ამ ამბებთან?

კვილიძე ისევ ჩაიციხა. უთუოდ დიდად სიამოვნებდა ადამიანის განვალება.
— როგორ ფიქრობ, საიდანაა ის ზარბაზნები, აბას მირზამ რომ მოაგორა ერევანთან?

— რა ვიცი.
— უნდა ხვდებოდე.
ჰანვიმ თავი გააქნია.
— გგონია, რომ შაჰი ისე წამოიწყებდა ამ ამბავს, ვინმე რომ არ უმაგრებდეს ზურგს?

ჰანვი ჩაფიქრდა.
— ის... კორსიკელი?
კვილიძე ლამის გადაიხარხარა.
— ყველაზე უფრო რა მოცეხს და ფიქრის სიმარტივე, — ჩაილაპარაკა მან, — იმწუთში ახლოს რომ მოსძებნიან... ძვირფასო საათების ოსტატო, შაჰს ზურგს ჩემი ქვეყანა უმაგრებს...

— და მე რა შუაში ვარ? ჩემი ქვეყანა შორსაა.
— შენი ენა კი ახლოს. არ მგონია, ჩვენს ქვეყნებს დიდად არჩევდნენ. თან შენ ძალიან საეჭვო წერილები გექნება. ახლა ხვდები, რატომ დაგატუსაღეს? ეს სტამბის გადანვა დიდი ხანძრის დასასუსია.

— და...მე, — სიტყვა დაეკარგა ჰანვის, — მე დავწვი სტამბა?

— მომისმინე. გვარიანი ქრთამი გადავიხადე, რომ შენ ამ ოთახში შემოეყვანეთ. აქ ქრთამი კარგად ჭრის. ეტყობა, ვერ

გაიგე, რას ვამბობ. ინგლისელი აქ არ არის, რომ მეძებნა, თორემ შენისთანა სულელს ნამდვილად ვერ ვენდობდი... შენ მალე გაგიშვებენ. ამის იმედი მაქვს. რომც არ გაგიშვან, მაინც ასე უნდა მოვიქცეთ... ეგებ, ვეღარც ვნახოთ ერთმანეთი. ჯობია კი, რომ ვერ ვნახოთ, იმიტომ, რომ ძალიან ცუდად ვექცევი იმ ადამიანებს, დავალებას რომ ვერ ასრულებენ... — კვილაში ხელისგული დაანახა ნამხდარ ჰანვის, მაცადეო, — შენი იმედი კი არანაირად არ მაქვს. უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ არის... — კვილაში თავის ჩახსნილ ჟილეტს დახედა, მერე ერთ ღივს ხელი მოავლო და აიგლიჯა, — ეს შეინახე და მოუსმინე ადამიანს, რომელიც ასეთივე ღივით მოვა... დაკითხვაზე მხოლოდ ის თქვი, რომ ინგლისელი კი არ ხარ, არამედ — ამერიკელი. მსჯელობა არ გაბედო. ჩემთან ნაცნობობა უარყავი. თქვი, რომ ამერიკელი წარჩინებული ხარ. გრაფი.

აკა მორჩილაძე

ქპრივის ლიმონები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



ჭრის...
ამ სიტყვებზე დაბარებულივით გაილო ოთახის კარი და ზღურბლზე გაჩერდა სწორედ ის უნტერ-ოფიცერი, რომელმაც ჰორაციო ჰანვი დაატუსაღა.

— გაყევი, — მუჭში ჩაუდო ღილი კვილაში შემოიხედა საათების გამყიდველს, — ფრანგულის მცოდნე ვინლა იპოვეს ამ დაცარიელებულ ქალაქში?

2.

ბენერალ ციციანოვს პაველ დიმიტრიის თავიდანვე ამოეჩემებინა სტამბის აუცილებლობა. ის იყო ცუდი მწერალი, მაგრამ სტამბის აუცილებლობას კარგად ხედავდა. მმართველობას სჭირდება სტამბა და არა მხოლოდ რუსული, არამედ ქართული ასოებითაც. ქართულით კიდევ უფრო, რადგან აქაურებმა რუსული ჯერ არ იციან და სხვა არად ჩათვალა, სახელმწიფოს ქალადი, ბრძანება თუ მონოდება ქართულად უნდა გავრცელდეს ფურცლებზე.

როდესაც მთელი ეს ამბები ატყდა და ციციანოვი თბილისში დანიშნა ახალგაზრდა იმპერატორმა აქაური ჯარების და საერთოდაც მინების უფროსად, თავის მოუცლელ ყოფაში, რაშიც ერთად იყო მემორბა, ჯალათობა, მეცნიერობა და სხვაც ათასი, გენერალმა მალევე მოიკითხა, თუ სად იყო სტამბა ამ ქალაქში და მოახსენეს კი, რომ სტამბა ჯერ დასწვა ალამამადხანმა შვიდი წლის წინ მთელს თბილისთან ერთად, მერე იგი აღადგინეს და სწორედ მის ჩამოსვლამდე ცლახნით ადრე ისევ დაინვა და სრულიად გამოუსადეგარი შეიქნა.

გენერალმა გასცა ბრძანება, რომ მოეძიათ მესტამბეები და ეპოვნათ, თუკი სადმე არსებობდა ჩამოსხმული ქართული ასოები, სასტამბოე აუცილებელი.

მესტამბე ვერ იპოვეს. სტამბა რომ დამწვარიყო, მესტამბეც გამქრალიყო, თუმცა, კი დაადგინეს მისი გვარი, კეჟურაშვილი და ქართველთა შორის გაკითხვაც დაიწყეს. თუ მონასტერში იქნება სადმეო,

ასე მოახსენეს ციციანოვს, ანდა სხვა საქართველოებში გადავიდოდა.

ამ ჩხრეკაში აღმოჩნდა, რომ კავკასიის მთებს გადაღმა, მოზდოკის ქალაქში ყოფილიყო ქართული სტამბა და გენერალმა სასწრაფოდავე აფრინა იქით წერილი, ეგ სტამბა ეგებ თბილისში მოგვიძღვნათო. ის სტამბა მოზდოკი ყოფნისას დაეარსებინა ქართველ ეფისკოპოსს გაიოზ რექტორს, ოღონდ კი მერე მოზდოკიდან რუსის უფროსობას ის სარატოვის ეპარქიაში და ამიტომაც სტამბა დამდგარიყო.

ეს კარგი შემთხვევა იყო ციციანოვისთვის, შედარებით ახლოდან სტამბის თბილისში სწრაფად მისატანად, მაგრამ ყოველივე მაინც ისე არ გამოვიდა, როგორც ჩანდა. მოზდოკის ოსეთის სასულიერო აკადემიიდან მოახსენეს გენერალ ციციანოვს, რომ სტამბა კი არის, მაგრამ იგი დგას და თან იქ ქართული ასოების სხმული აღარ არსებობს, ისინი გაიოზ რექტორის მესტამბეს, მავან რომანოვს წაუღია, რახან მისივე ჩამოსხმული ყოფილა და თუ საით წასულა ის რომანოვი, ვინ იცის.

ალმოსავლეთ საქართველოს მინებზე მესტამბე რომანოვის ძებნა გამოვიდა ტყუილი, ისევე როგორც მესტამბე კეჟურაშვილისა. თუმცა, მალევე ლაშქარად მყოფ ციციანოვს მოახსენეს, რომ ეს საქმე ბარი რომანოვი იმყოფება იმერეთის მეფე სოლომანის კარზე და იქ მიუძღვის სტამბას ვინმე პაიჭაძესთან ერთად და მთელი ის ქართული ასოთა სხმულებიც იქა აქვს.

ციციანოვმა იმერეთის მეფესთან თავისი ვერაგული მიხლართების საქმეს სტამბის ამბავი არ გაურია და ისევე ეცადა გრძელ გზას: პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას მისწერა, რომ სტამბას თვითონვე გამართავს, ოღონდ, მისთვის ცნობილია, რომ აკადემიას აქვს ქართული ასოები და ეგებ ეს ასოები დაუთმოს, ან, თუ შესაძლებელია, ჩამოუსხას სახელმწიფო ხარჯით, ამ ხარჯისათვის კი ცალკე მიმართავს შესაბამის კოლეგიებს.

საქმეს დასჭირდა ლამის წელიწადი და საბოლოოდ ყველაფერი გამოვიდა.

ჩამოიყვანეს მესტამბე შიროკოვი, ასტრახანიდან და ისევე დაიწყეს ქართველი მესტამბის ძებნა, რაც კვლავ არ გამოუვიდათ და შიროკოვს უშეგირდეს ერთი ყმანვილი ბეროშვილი, რომელიც კარგი განაფული ყოფილიყო წერა-კითხვაში და სულ ბიჭობიდან დავითნის სხაპასუხში იყო განთქმული, ისე, რომ იმის მოსასმენად საგანგებოდაც კი მოდიოდნენ.

ბეროშვილს უფრო ეხერხებოდა ხუცურის კითხვა, მაგრამ მხედრულსაც იოლად მიუხვდა. სტამბა საბოლოოდ გაიმართა ზამთარში და ახლა კი უკვე ზაფხულში ხელახლად დამწვარიყო.

ის ყმანვილი ბეროშვილიც არსად ჩანდა. შიროკოვიც ვერსად იპოვნეს.

გენერალი ციციანოვი ლაშქრად იყო, ამხელა ამბავი დანყებულები სპარსეთის წინააღმდეგ. მისთვის საჩქაროდ გასაგზავნი მოხსენების შედგენისას მმართველობის კანცელარიამ წერილის ხმოვანება ვერ შეურჩია, რახან ვერაფერი გამოიძიეს და გენერლის მრისხანებისაც ეშინოდათ, ასე ნანვალები სტამბის განადგურების გამო.

ერთი ეგონათ, რომ ეს ხანძარი ქალაქიდან ჯარის გასვლის გამო გაებდა და მოჯანყე მთიულთა ნაპერწკალი აქაც გადმოვარდნილიყო. მეორე ეგონათ, რომ ეს ყოველივე სპარსეთის ჯაშუშობამ მოიმოქმედა, რათა ქალაქში არეულობა გამოეწვია და მესამე კი ეგონათ, რომ ეს უბრალოდ მოუწინასწარებლობის ამბავია, რახან სპარსეთის ჯაშუშობა რალა პატარა სტამბას გადანვადა, ქარვასლებში ააგვიზღებდა ცეცხლს.

ყოველივე ამეების გამოსაძიებლად დრაგუნთა კაპიტან ბურაგოს დრო თითქმის არ ჰქონდა და ხალხიც არ ჰყავდა. თბილისის საპოლიციო დრაგუნების რაზმს შეადგენდა ექვსი დრაგუნი, ერთი უნტერ-ოფიცერი კვახი და ერთიც თავად ეს კაპიტანი.

კაპიტან ბურაგოს თავიდან ეგონა, რომ ამ საქმის გამოძიებას თავად კანცელარია გასწევს, რადგან საქმეს სააჯანყებო კვამლი ასდის, მაგრამ საპოლიციო დრაგუნების გარეშე მაინც არაფერი გამოვიდა.

კანცელარიამ საეჭვო ადამიანთა სია შეადგინა და ხანძრის მორჩენიდან მალევე ბურაგომ და კვახმა იწყეს ადგილების შემოვლა და საეჭვოთა დაპატიმრება. ამ სი-

იდან ჩანდა, რომ კანცელარიას უფრო სპარსულთა ხელისა სჯეროდა. სპარსელთა დატუსაღებებს მოჰყვა სისხლი, ორ ადგილას. ერთი სპარსი დაიჭრა, ხმლით, მეორე კი მოჰკლა დრაგუნის დამიზნებულმა ნასროლმა, რახან სპარსი აღმართში გაიქცა და იმ ვინრო ქუჩების აბლაბუდაში ველარავინ იპოვნდა. კანცელარიიდან დიდი საყვედური მოისმა ამ მოკვლის გამო, რომ ეგებ სწორედ ყველაზე საეჭვო კაცი სამუდამოდ როგორ დაადუმეთო. კაპიტან ბურაგოს ისედაც გამწარებული დღე გამოადგა და საყვედურმა კიდევ უფრო აუროა განწყობილმა.

ნაშუალამევს სიას კიდევ მიემატა, ამ ჯერზე არა სპარსნი, არამედ სხვა საეჭვო უცხოელები და გამთენიისკენ კი საქმე მოთავებული იყო, მეტს იმ თბილისში ველარავის დაიჭერდნენ.

როდესაც კაპიტანმა ბურაგომ და უნტერ-ოფიცერმა კვახმა იფიქრეს, რომ ახლა კი მოვიდა დასვენების დრო, რადგან ხანძრიდან მოყოლებული, ხეირიანად სკამზეც კი არ ჩამომსხდარიყვნენ და დრაგუნებიც უჭმელი და უძილარი ჰყავდათ, მოულოდნელად ბურაგო კვლავ დაიბარეს მმართველობის კანცელარიაში და იქ გააცვენეს საჩივარი, რომელიც შემოეტანა ერთ მუხუცებულ ქართველ თავადს, რომ იმის მაგიერ, რომ ხალხის ქონება დაეცვათ, საპოლიციო დრაგუნებს ვილაცის ძებნისას მის ქონება დაეზარალებინათ.

იმ ქართველი თავადის ვაჟი ყოფილიყო ერთ-ერთი კამანდირი ხუთ ათას კაციანი ქართული მილიციისა, რომელიც ახლა სპარსეთის ომში ახლდა ციციანოვს და მოხუცებული თავადი კი ითხოვდა, რომ დრაგუნებისგან გადმონგრეული ღობე ან თავად დრაგუნებს შეეკეთებინათ, ანდა ხარჯი გაეღოთ.

ან საიდან შეადგინა ასე უთენია საჩივარი, ან რუსულად ასე კობტად ვის დაანერინა! კაპიტანი ბურაგო გაცეცხლდა, ოღონდ მაინც თავი დაიჭირა. ჩანს, ვინმე რუსი ჰყავდა სახლში, ანდა ვინმე მოხელეს გადაუხადა.

— სტამბის დანვის ხარჯიც დრაგუნებმა ხომ არ უნდა გაიღონ? — იკითხა კაპიტანმა ბურაგომ მწარედ.

— თავადი ჩვენი მოკავშირეა, — შინაურულად უთხრა კანცელარიის მდივანმა, — გენერლის ნათესავიც კი ერთგვარად...გაგზავნე ორი დრაგუნი. რალაც წნელის ღობეა. რა უნდა, შააკეთონ.

— მთელი ღამე ფეხზე ვართ, — თქვა ბურაგომ, — როგორღა გავგზავნო, ბრძანებას ელიან, რომ დაიძინონ. თავადი...მეც თავადი ვარ...

მდივანმა ხელები გაშალა.

— პირდაპირ გენერლის სახელზეა დანერილი. ნაიკითხავს... შენ მგონი, კარგად არ გესმის. ომია. ყველა მხრიდან მოიწვევენ. ვინც შენსკენაა, უნდა ებოდიშო. კარგია, რომ ამ თავადის სიამაყე წნელის ღობეა... მისმინე, ერთი საქმეა. ქალაქი ჩვენ ვართ ახლა. საათებით მოვაჭრე, რომელიც კვახმა დაატუსაღა, გავუშვით.

— მგონი, ყველა გაუშვით, რალას ვიჭერდით?

— აქ სხვა ამბავია. საჩქაროდ გვჭირდება ახალი სტამბა.

3.

ომანოვის ქარვასლის საწყობებში ათასგვარი რამ სავაჭრო ინახებოდა, მაგრამ ყველაზე მოულოდნელი ნამდვილად იქნებოდა ამერიკის მოქალაქე ჰორაციო ჰანვის კუთვნილი თორმეტი კარგად შეჭედილი ხის ყუთი, რომელთა გასახსნელადაც კაპიტან ბურაგოს ორი დურგალის შოვნა დასჭირდა. ყუთები იყო შეჭედნილი ხანგრძლივი მგზავრობისათვის და იმათი სიმყარე ეჭირა კარგა ადლიან ლურსმნებს.

ბრძანებისამებრ, ბურაგოს უნდა გაეხსნა ყველა ყუთი და საბოლოოდ კი ამან ნახევარი დღე დაიჭირა, რადგან თითოეულ ამ ყუთში იყო კიდევ ოთხი კარგად შეჭედნილი ყუთი.

ბურაგომ იცოდა, რომ ჰანვი გახლდათ საათებით მოვაჭრე, თუმცა, იმას თბილისში არც საათი გაუყიდა და არც თავისი საქმიანობის თაობაზე ეთხოვნა ნებართვა და რაიმე განცხადება გამოექვეყნებინა.

თუკი ეს ჰანვი ვინმეა ჯამუში იყო და აქ გაჩერება და რაიმეს ზვერვა თუ ნახდენა უნდოდა, პირიქითაც, მალაზიის გაღებ-

ის ნებართვას მოითხოვდა და აქაურ ცხოვრებაში გასარეე ნაბიჯსაც წასდგამდა. ამ დროს კი, ეს ვილაცა ამერიკელი სულ ომანოვის ქარვასლის წინაშე ტრიალებდა და თუკი სადმე წავიდოდა, ისაც იმ სპარსის თანხლებით, რომელიც თითქოს თარჯიმნადა ჰყავდა დაჭერილი სამომავლო საქმეებისთვის და გუშინ კი შემოაკვდა დრაგუნს.

თუ სადმე მივიდოდა ამერიკელი, ისიც კანცელარიაში, სადაც ჩამოსვლისთანავე პატიოსნად გააცხადა თავისი გვარი, რაობა და მიზანი და აგერ რამდენი ხანი იყო, სპარსეთისკენ დაძვრას ცდილობდა, კანცელარია კი მოცდას უბრძანებდა, ასეთია თავად გენერალ ციციანოვის განკარგულება.

თანაც ეს ჰანვი ამერიკელი იყო და ეს წარმომავლობა სრულიად არაფერს ამბობდა. კაპიტანმა ბურაგომ არ იცოდა, რა იყო ამერიკა, გაეგონა და მეტი არც რამე, სხვა იმის იქით ფიქრი ვერ წავიდოდა: ამერიკა არის შორს, ზღვებს იქით, ხოლო სად, უცნობია. ბურაგოს მსოფლიო ატლასი მრავალგზის დაეთვალიერებინა ბავშვობაში, რახან ოჯახობა არაფერს იშურებდა მისი და მისი ძმების საუცხოოდ აღსაზრდელად, მაგრამ მერინდელი ცხოვრება ერთი დროის ღამაზ ახალგაზრდა ოფიცერს ჭაობებისკენ წასვლოდა და წინსვლა ველარ მიელო, მიელო სწორედ

გაეგო, იცოდა, რომ სპარსეთის შაჰი გახლავს ბაბა-ხანი, რომელსაც ყველაზე გრძელი წვერი ჰქონია მსოფლიოში და რომ ოსმალეთში არის სულთანი, რომლის სახელიც ასევე უცნობია მისთვის. მეფე არის იმერეთშიც, რომელიც იგივე ქართველია, სხვანაირად ჩაცმული, გარშემო არის უამრავი სახანო, ხოლო ამერიკაში მეფე კი ვინ არის, საიდან უნდა იცოდეს.

ყუთების გახსნის მომაბეზრებელ საქმეს კაპიტანი ბურაგო თავად არც ესწრებოდა, დასტოვა ერთი დრაგუნი, გამოვიდა საწყობებიდან და კარგახანს ეძინა ომანოვის ქარვასლის შიდა შადრევანთან, ბოძთან ჩამჯდარს. ხმალი გამლილ ფეხებს შუა ედო და გარშემო ხმაური ხელს არ უშლიდა. ძველი სალაშქრო ძილი იმისთვის ყოველთვის იოლი იყო.

რომ გამოიღვიძა, გასწია ისევ საწყობებისკენ და იქ კი დაუხვდა სურათი, რომელმაც თვალი გაუცოცხლა:

თითოეულ ამ დიდ ყუთში იდო უფრო პატარა ყუთებში ჩალაგებული საათები, თვლით და აქტში ჩასანერად ორმოცდა რვა ერთეული. აქედან საათები თორმეტი იერისა იყო, მაგრამ ჩუქურთმითა და მორთულობით სხვადასხვანაირი, თუმცა საბოლოოდ კი მაინც ერთი ყაიდისა გამოდიოდა.

ასეთი საათები ბურაგოს არასდროს ენახა.



თავისი ერთ დროს სილამაზის და მოხდენილობის გამო.

ოღონდაც, ეგ უკვე სხვა ცხოვრების ამბავი იყო. ბურაგო ახსოვდა ციციანოვს ჯერ კიდევ ზუბოვის ლაშქრობიდან და როცა კავკასიის ხაზის ინსპექტორობა და საქართველოს მთავარსარდლობა დაუდგინეს, კავკასიაზედ ნამყოფი ხალხის ძებნა დაიწყო. იმ დროს ბურაგო მთლად ველარ იყო სამხედრო იერზე, თადარიგში გასული ბანქოს თამაშით გადიოდა ფონს და ის სრულიად შემთხვევით იპოვნეს მოზღოკში.

მაშინ მისი დაკოჭლებული ნაბიჯი, იერი და მდგომარეობა არ მოეწონა ციციანოვს, იფიქრა, ამას ოფიცრისა აღარაფერი სცხიაო, მაგრამ თავისი შეხედულება აღარ გადათქვა და სხვა საქმე მოუფიქრა, პოლიციის დრაგუნთა ასეულს უმეთაურებო. ეს მისახვედრი ნაბიჯი იყო, ბურაგომ ოხრული ცხოვრებისა ბევრი იცოდა. კი ეხამუშა პოლიციელს დრაგუნად ყოფნა, მაგრამ მოზღოკს გდებას, მთის იქეთაც გადავალო. ლაშქრობები იმას აღარ უნდოდა და საპოლიციო ცხენოსნობასაც როგორმე აიტანდა.

ორმოცდაათი წლის კაპიტანი ბურაგო ახლა იყო დრაგუნთა ასეულის პოლიციის უფროსი თბილისში და ასეულს კი შედგენდა ექვსი დრაგუნი.

ამერიკა კი იყო სამოედების თვალუწვდენ მიწებს და ციმბირებს იქით, ხოლო ვინ იყო მეფედ ამერიკაში, ბურაგოს არ

რომ წარმოიდგინო პატარა, კობტა კარადაში ჩადგმული საათი, გამოჭრილი სანახავი ფანჯრით და მეტად მოსახერხებელი მაგიდაზე დასადგმელად.

დიდი მოხერხების ნივთები ჩანდა ეს საათები, ძვირფასობაც არ ეტყობოდა, მაგრამ ძალიან დიდი სიიოლეს კი აჩენდა. იმგვარად, რომ კაპიტან ბურაგოს უეჭველად მოუნდა თავისთვის ერთი ამათგანი და გაიფიქრა, როგორც კი ყდალა აეხსნება ამ საათებს, დავაფასებინებო.

დიდი უცნურობა იქნებოდა ასეთი საათის ქონა, არა მხოლოდ თბილისში, არამედ ალბათ მთელს რუსეთშიაც. სიძვირფასის და ფუფუნების გამო კი არა, არამედ სწორედ იმიტომ, რომ მოსახერხებელი ჩანდა, ყოველი კუთხიდან იოლი დასანახი. მერე ჩაეცინა კიდევ თავის ფიქრზე, ბურაგო და ყიდვაო, ბურაგო და ხის საათიო.

საათები კარგად რომ დაათვალიერა კაპიტანმა ბურაგომ, დრაგუნი ბურახის და ცოტა ხმელი თევზის საყიდლად გაგზავნა, აქციზის მოხელეს კი უბრძანა, ჯერ ოქმი შეედგინა და მერე კი ომანოვის ქარვასლის ცნობილი თარჯიმანი ბეე-ნაზარიანი მოეყვანა, თავად კი ჩაფიქრდა, რა უნდა ექნა.

მან არაფერი იცოდა, თუ რა იდგა ამ საათებს უკან. დიდი ალბათ არც რამე. სინამდვილეში კი ეს საათები გახლდათ ამერიკაში განთქმული ელი ტერის საამქროსი და ეს ჰანვი კი ერთი უბრალო კომივოაჟერი ქალაქ ჰართფორდიდან და

სხვა კი არავინ. ოღონდაც ფართე თვალთახედვით, ჰანვის არ უნდოდა, უბრალო კომივოაჟერად მომკვდარიყო.

ის იყო ერთი თავისი ქერქეტობით ნანვალები კაცი, რომელსაც რაც კი რამ ებადა, ბანკში გიროდ დაედო და შეეკვეთა სწორედ ეს ტერის საათები იმგვარი ფიქრით, რომ მათ მომგებინად გაჰყიდდა, როგორც სიხლეს ამერიკიდან შორს.

დროება იმგვარი გახლდათ, რომ ელი ტერის საამქროები შეკვეთას ვერ აუდიოდნენ ამ საათების სიიაფის და დღითი-დღე იზრდებოდა სურვილი სწორედ ამგვარი, მოხერხებული საოჯახო საათების ქონისა და სწორედ ეს ტერის ხის ყუთის საათი ჯერჯერობით უცხო იყო ევროპაში. ასე მიაჩნდა ჰანვის.

ის თავიდან ფიქრობდა, რომ ამ თავის საათებს ჩამოტვირთავდა ლივერპულში და იქაურთა დიდი მოთხოვნილობის გამო იქვე გამართავდა საქმეს, ხელს უცებ დაცილიდა და ოკეანს გადალმა ახალ პარტიასაც შეუკვეთავდა ტერის საამქროებს, რაც იოლად მოსანყობი იყო.

თუ იყო ამ ამბავში ხინჯი, იმას სახელად ჰანვი ერქვა, თორემ სხვა ყველაფერი კი დანყობილი ჩანდა.

ჰანვი გახლდათ უილბლო კაცი. თუმცა, არა რაიმე საბედისწერო ნიშნის გამო, შუბლზე რომ დაასვა ვარსკვლავმა დაბადებისას, არამედ თავისი მსუბ-

უქად მბორგავი ხასიათის გამო.

ოცდარვა წლისა ისე მოყრილიყო, რომ ჯერ არც რამე ხელობა გამოსვლოდა და არც რაიმე ნამოწყებული საქმე მიეყვანა ბოლომდე ისე, რომ იმ საქმეს გამოსული საქმე დარქმეოდა.

მცირედი მემკვიდრეობა იმისი ილეოდა მშობლიურ კონეკტიკუტში და ბოლოსკენ სულ აღარ დარჩენილიყო, რახან ელი ტერის ორმოცდარვა საათის ყიდვას მამისეული კოტეჯის და მინის გიროდ დატოვება დასჭირვებოდა.

მიზეზი ამისა იყო ჰანვის უჭკუობა.

ასე ამბობდა მის ახლო მოტრიალე ხალხი, ვინაიდან ჰანვი იცოდა ნამონთება სრულიად დიდებული აზრით და იმ აზრზე სრულიად დაუფიქრებლად მიხარჯვა ძალის ღონის და ფულისა, არც მორიდება რამის, არაც უკანდახევა და მერე კი დარჩებოდა ხახამშრალი. ასე გამოდიოდა სულ პატარა საქმეზეც და იმ უკიდევანო ნამონყებაზეც, რომელიც ხშირად დაურბენდა ხოლმე ამ ახალგაზრდა კაცს გულმუცელში და აუბრიალებდა ცეცხლის ენებს გონებში.

ჰანვიმ ასე იცოდა და ასეთი ანთებულობით მიტვირთა თავისი საათები ნიუ-ლონდონის ნავსადგურის საწყობებში, საიდანაც ლივერპულზე იყო იმხანად გამალეული ცურვა.

სწორედ ნიუ-ლონდონის ნავსადგურში გადასვავდრდა ყველაფერი. ლივერპული გაქრა. ეს იყო ნამონყებული საქმის უკვე განადგურება.

აკითხვები

რეზო კიკნაძე

ეს ინტერვიუ, შეიძლება ითქვას, გერმანიაშია „ჩანერილი“. რეზო კიკნაძე — კომპოზიტორი, შემსრულებელი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, დღეს, 13 სექტემბერს, ალბათ უკვე დაბრუნდა საქართველოში. მე კი იქამდე დაუკავშირდი და შეხვედრა ვთხოვე. მითხრა, თბილისში არ ვარ და ისედაც, მირჩევნია კითხვები მომწერო, რადგან ასეთ დროს ნაკლები რედაქტირება მიწევს საკუთარი „ნალაპარაკების“, რომელსაც, შეხვედრის შემთხვევაში, ინტერვიუერი უკეთებს „რედაქციას“, პირადად თქვენზე არ ვამბობ, ზოგადი რამეაო. გადავუგზავნე. მერე მთელი კვირა ველავდი, როგორ მოასწრებს, გაზეთისთვის საჭირო მოცულობის ტექსტი დროულად გამოგზავნოს-მეთქი. ამის თაობაზე კიდევ ერთხელ შევეხმიანე. შევძლებო, დამამშვიდა — „წერა ლიტერატურული უფრო მეხერხება, ვიდრე მუსიკალური“.

შემდეგ ბიოგრაფიას უფრო ახლოდან რომ გავცინა, აღმოვაჩინე, მის ცხოვრებაში მუსიკა და ლიტერატურა საოცრადაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან. ე.წ. ბიოგრაფიულ მონაცემებზე აქ არ შევჩერდები, რადგან მკითხველი, ინტერვიუს ერთ ნაწილში, თავად ბატონი რეზოზგან მოისმენს, თან ბევრად საინტერესოდ და ცოცხლად მოთხრობილს. ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვერ მოეხსნო. დილის 4 საათი იქნებოდა, ბოლო ნაწილი რომ გადმოგზავნა, ახლა რომ არ დავიძინო, ხვალ მატარებელზე დამავიანდებო. ვფიქრობ, მაინც საინტერესო და სასესე საუბარი შედგა. მხოლოდ ერთს დავამატებ — რეზო კიკნაძე ანჩისხატის ეკლესიის მგალობელთა გუნდიდან მასხოვს, მაშინ ის ერთადერთი გუნდი იყო, ქართულ ტრადიციულ გალობას რომ ასრულებდა. მას მერე ძალიან დიდი დრო გავიდა და ახლა უკვე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკლესიისთვის უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რასაც ტრადიციული გალობის აღდგენა შეეხება, სწორედ მათგან დაიწყო. ამის შესახებ, ინტერვიუში არაფერია ნათქვამი და ამიტომაც მოვახსენეთ.

— საუბარი ბავშვობით დავიწყეთ, ვინაიდან ბავშვობას თუნდაც ერთ-ორი წიგნისა და შთაბეჭდილების გარეშე, ვფიქრობ, არავისთან ჩაუვლია. თქვენი დამოკიდებულება ლიტერატურასთან კი, დარწმუნებული ვარ, იმთავითვე მნიშვნელოვნად განსაზღვრა ოჯახმა და იმ ლიტერატურულმა გარემომ, რომელსაც მამათქვენი, ბატონი ზურაბ კიკნაძე ნებისმიერ ადამიანს უქმნის. თუ შეიძლება გაიხსენეთ ის წლები.

— ჩემი უადრესი მოგონებები, უფრო სწორად აღქმები, რომლებიც მასხოვს, მაინც ალბათ უფრო აკუსტიკური და ვიზუალური იყო, ვიდრე ლიტერატურული; შუბერტის ექსპრომპტი op. 90 No 4, ან პროკოფიევის I ბიუე ანდ ენდ, მათ ხმოვანებასთან დაკავშირებული ფანტასმაგორიული ხილვებითურთ, ვაცყო, უფრო ინტენსიურ შთაბეჭდილებად ჩამჩრჩნია მეხსიერებაში, ვიდრე არსებულს ლექსი ან ვეფხის დამოყმის ამბავი, კლინიკაში გატარებული თვეების მანძილზე (სულ პატარა ასაკში ექვსი ინფექციური დაავადება ისე წაენყო ერთმანეთს, რომ ჯერ ძლივს გადავრჩენილვარ და მერე თავივე აღამდგამს ვეფხი) რომ მიკითხავდნენ. პლასტმასის ხმალი კი, საწოლთან რომ მეკიდა, სწორედ იმ უარყოფითი პერსონაჟების მოსაგერიებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, რომელთა აღარც სახელები მასხოვს, აღარც არსებობა.

მოგვიანებითაც, ძილისპირულის სმენისას, გადატირებული დინამიკის დისტორცია უფრო ცოცხლად მასხოვს, ზღაპრის მერე იავნანას რომ ახლდა თან, ვიდრე თავად ზღაპარი...

თუმცა, ასაკთან ერთად, ფილოლოგიურ ოჯახში აღზრდის კვალიც მეტად და მეტად დამეტყო. მასხოვს, როგორ მიკითხავდა მამაჩემი ძილის წინ ანტიკურ ამბებს (ნ. ა. კუნის თუ გუსტავ შვანდის წიგნიდან), და როგორ გამომდინდნენ ის გმირები და პერსონაჟები ჩემი ენობი, როცა სახელებს ვირქმევდით და როლებს ვინანილებდით... უნდა გამოგტყდე, კარგა ხანს გამიგრძელდა ეს — ლიტერატურული და, მოგვიანებით, ისტორიული პერსონების სახელთა მითვისება და დარიგება: ინდიელების ტომი იქნებოდა, მეკობრეების ზანდა თუ მერე უკვე „დამოუკიდებელი“ საიდუმლო ორგანიზაცია — სულ ლიტერატურულ პერსონაჟებს, პროტოტიპებს და სტერეოტიპებს ემყარებოდა ხოლმე იმ დღის, კვირის, ზაფხულის თუ მთელი ბავშვობის თავდავიწყებული „გაუცხოება“...

შედარებით ადრე, სრულიად სპონტანურად, მომიწია „ლიტერატურულმა საქმიანობამ“: მიმბაძველური მწერლობა-ნა, აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ გავლენით, არცაა სახსენებელი, მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს ავდექი და, არც ვიცი, რატომ — ქართულად ვთარგმნე ტოლსტოის „Еще в эти дни-дни“! ერთი-ორი მაღალფარდოვანი ლიტერატურული გამოთქმით და ზოგადად ალბათ გულუბრყვილო, მაგრამ გულწრფელი „ნამუშევრით“ დამსახვრებული მოწონების (დედაჩემი გვერდიდან არ მომშორებია, როცა ვწერდი, მამაჩემს კი, გვიან მოსულს ნაუკითხა, როცა მე უკვე მეძინა. მან კი თავისი გამომცხვარი მარილიანი ორცხობილების ნაგებობას მანქანაზე ამობეჭდილი ქების

„
ბოლოს
მაინც
მუსიკამ
იმძლავრა
“



სიტყვები მიამაგრა და ასე დამხვდა დილას!) სიხარული და სიამაყე ახლაც მასხოვს...

— რომელი იყო თქვენი პირველი წიგნები, ვინ იყვნენ ლიტერატურული გმირები, ან რა სახის იყო წაკითხულითა თუ პერსონაჟებთან „ურთიერთობით“ მიღებული შთაბეჭდილებები?

— პირველი წიგნებიდან „ხალხური სიბრძნის“ ხუთ ლურჯ ტომს გავიხსენებდი, მესამე ტომის, „ეპოსის“ უცნაური ისტორიები და ერთგვარი დისკომფორტი მაგონდება, პროზაულ პასაჟებს სალექსო ტაყებში რომ ენაცვლებოდა... „საბავშვო“ და ამგვარი სორტირება არ მასხოვს — რაც მომხვდებოდა, ვკითხულობდი, თუ არ დამაინტერესებდა — დიდად არ ვინუხებდი თავს, არც კი ვარკვევდი, რატომ აღარ ვაგრძელებდი.

უცხო ენაზე წიგნების კითხვაშიც, ადრე დაწყებულმა (შეიღო წლიდან დამაკავის ერთდროულად ინგლისურით, გერმანულთა და — მუსიკით!), დატოვა კვალი. რობინ ჰუდის ამბები, სტივენსონის წიგნები, „უფლისწული და მათხოვარი“ მასხოვს, ნვალებით, სიტყვების გახაზვით, დავიწყებით და მაინც — კითხვის სრული გაცდით, თან რაღაც (წარმოსახვითი) აკუსტიკური თანხლებით, თითქოს ხმამალა მეკითხოს.

მთავარი კითხვა, მიუხედავად პერმანენტული საკითხავი სიტუაციისა, მაინც ქობულეთის ზაფხულის არდადეგებზე მასხოვს. სახლში, სადაც ყოველ წელს ვისვენებდით, შემთხვევით დაგვხვდა არცთუ დიდი თარო, გატენილი საოცარი თარგმნილი თუ ორიგინალური ლიტერატურით. გასული საუკუნის 30-40-იანი წლების ეს სპეციფიური სუნი გაჟღერებული წიგნები იყო ჩემი პირველი „ლილია“, „საიდუმლო კუნძული“ და სხვა თხზულებები მომდევნო რვა ზაფხულის მანძილზე. უფრო ახალგაზოცემულ „აივენსონ“-ზე უფროსების (ზურაბ კიკნაძესთან და თამაზ ჩხენკელთან ერთად ქობულეთში დასვენება წიგნის გადაუშლელადაც ლიტერატურა იქნებოდა) დანახვით ნათქვამიც — ჩვენ დროს აივენსონ იყო, რატომღაც დღემდე მასხოვს...

რომელიმე წიგნის „პირველობა“ არ მასხოვს, ზღაპრებიც და „ნადირობა-მოგზაურობა-თავგადასავლის“ სერიის სხვადასხვა ტომი იმ რაღაც წარსულის „ერთდროულობაშია“ თან გაუჩინარებული და თან, ხანდახან, რომელიმე სახელის ან

სიტუაციის ამოტივტივებით, გულში რჩხის მომგვრელი. ერთი პერიოდც მასხოვს, როგორი პანიკა და მარტო სიბნელეში ყოფნის აუტანლობა განმივითარდა და როგორ მაინც ვერ ვანებებდი თავს ამ „შიშს“, ნიკო ლომოური იქნებოდა, ედგარ პო თუ ემბროუზ ბირსი. ახლაც გამცრის ხოლმე ხანდახან, რომელიმე ფრაზის ან სულაც გამოქართულებული სახელის გახსენებაზე...

ისე — ქობულეთში ქალაქის ბიბლიოთეკაც იყო (ეს დღესაა ბიბლიოთეკები დახურულ-გაპარტახებული) და უკვე ადრე, თინეიჯერობის ხანაში მოხდა დიუმას წიგნების თანდათან ჩანაცვლება კონან დოილით, ამ უკანასკნელისა კი — ჰერმან მელვილით. „ტაიპი“ და „ომუ“ აღარც კი მასხოვს, მაგრამ „მოზი დიკსი“ (მიუხედავად იმისა, რომ პირველ ზაფხულს ბევრ აღწერას გადავახტი, მეორე ზაფხულს კვლავ მივუბრუნდი, მაგრამ კვლავ შედარებით ზერედედ წავიკითხე, მესამე ზაფხულს კი უკვე თითქოს მოზი დიკის გამო მისხაროდა ქობულეთი) სწორედ ის ჩაუქმრალი იმპულსი მომცა, სტუდენტობამდე რომ მიმყვა და ახლაც ხანდახან

კიცედ გადაწყვეტილი. მიხო შულღიაშვილთან დაწყებული მქონდა მეცადინეობა და მიღებული მქონდა ის მთავარი იმპულსი, მუსიკოსად რომ ვქცეულიყავი. 1986 წელს კონსერვატორიაში ჩავაბარე, 1990 წელს მარიკა ლაფაურმა მიმინვია თავისთან ლიუბეკში (სამუდამოდ მაღლობელი ვარ მისი ამ და ბევრი სხვა რამის გამო!) და მერე იქ გავხდი კომპოზიციის სტუდენტი, მაშინ კი ეჭვი აღარ ეპარებოდა არავის, რომ „გზას კი არ ავცდი“, არამედ ჩემი პროფესია და ცხოვრების აზრი ვიპოვე; 1998 წელს კომპოზიციის დიპლომი მივიღე ლიუბეკში, 2001 წელს — მაგისტრის, იქვე. და, წესით შეიძლებოდა დამთავრებულიყო სტუდენტობა, რომ არა 2008 წელს თბილისის კონსერვატორიის დოქტორანტურაში ჩაბარება: ილიას უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორობისთვის აუცილებელი იყო დოქტორანტობა მაინც. დისერტაცია თითქმის დავამთავრე, დაცვა, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი — კონსერვატორიის რექტორობა შემომთავაზეს და, დიდი ფიქრის შემდეგ, მივხვდი, ვერასდროს ვაპატიებდი ჩემს თავს უარის თქმას...

მოკლედ — ამ ხანგრძლივობის სტუდენტობას, თუ „ვეჩნისტუდენტობას“ შესაბამისად ვრცელი ლიტერატურული ცხოვრებაც შეიძლებოდა ხლებოდა თან, ყველაფერი ლოგიკურად რომ ხდებოდა ცხოვრებაში. პირველი, ნამდვილი სტუდენტობა — რა თქმა უნდა, უნივერსიტეტს ვგულისხმობ — ასეც იყო.

ძირითადად რუსულენოვანი — მთლად ვერ უკვე აღარ იყო 70-იანი წლების ბოლოს. კლასიკაც ბლომად იყო თარგმნილი და „ხომლი“ და „საუნჯეც“ ვარგოდა საზრდოდ და იმპულსად, მაშინდელ სტუდენტობას რომ გვასულდგმულვდა. 1978-79 წლებში უჯარმაში შეძენილი უფროსი მეგობრები, სულ ორიოდ წლით უფროსნი, მაგრამ ჩვენზე ასჯერ გამოცდილი, ჭკვიანი და მამაცი, მაშინვე გახდნენ ჩვენი, პირველიდან მეორე კურსზე გადასული „პატარების“ გმირები: შევენატრადი, ეს-წავლობდით მათგან, ვბაძავდით, ჩემს სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა, დამწების, ჯაზის ფორფიტების და „მოზი დიკის“ ქონა რომ შემექვს, სამაგიეროდ კი თომას ვულფი და შერვუდ ანდერსონი „მაპოვინის“, ამერიკული ლიტერატურის გემო გამიხსნეს, თავბრუ დამახვიეს და სტუდენტობის ის აღმადრენა მაგრძობინეს, რომლის გამოც ეს, პირველი, მართლაც მთავარი და განუყოფელი სტუდენტობა დარჩება, კიდევ ბევრჯერაც რომ მომიწიოს სადმე ჩაბარება (ნამუსი, ამ თვალსაზრისით, არც მქონია და არც მექნება არასდროს, თუ წაწვლა დამჭირდა და მომიწინდა — სიკვდილამდე მზად ვარ)...

იმ ხანებშივე იყო: მუსიკით, განსაკუთრებით ჯაზით გატაცებულს, კორტასარის „მდგრის“ წაკითხვამ კორტასარი მაპოვინა და — ჩარლი პარკერიც სხვანაირად მომასმენინა, რაღაცნაირი (ლიტერატურული) ლეგიტიმაცია შესძინა ჩემს ემოციურ და სიტყვიერად მანამდე ვერახსნილ გაგიჟებას ამ მუსიკით.

რუსულენოვანი თარგმანებიდან — მარკესი („Nói šabí i šabí i šabí“ — ამ სათაურს დღესაც რუსულად ვამბობ!) და ლიტვაში გატარებული ის დაუვიწყარი ზაფხული მასხოვს, ჩემი ცხოვრება კიდევ ერთი ნაბიჯით რომ მიუახლოვა იმას, რომელიც დღეს მაქვს.

— გერმანიაში არაერთი წელი იცხოვრეთ, იმუშავეთ, როგორც მუსიკოსმა. უცხოური, კერძოდ, გერმანულენოვანი ლიტერატურული პროცესები, ლიტერატურული ცხოვრება თქვენ თვალწინ მიდოდა.

— სტუდენტობა გრძელდებოდა, მთავრდებოდა, ცოტა ხნის მერე ახალი იწყებოდა, ჩემი წიგნის კითხვაც თვისობრივად იცვლებოდა. მუსიკოსობამ ლიტერატურისადმი დამოკიდებულება მარტო იმით არ შემიცვალა, რომ ნაკლებს ვკითხულობდი: უბრალოდ, მხატვრული ლიტერატურა განიდეგნა ნელ-ნელა და მუშუქნეველად ჩანაცვლდა სპეციალური, ისტორიული, ესთეტიკურ-პოლემიკური, წიგნი — პერიოდული გამოცემებით, ინტერნეტის რესურსებით; მუსიკის ტექნოლოგიური და ელექტრონული ასპექტები ხანდახან ესთეტიკურ და მხატვრულ ვარჯიშზე წინაც დამდგარა.

ამ სიტუაციაში ნებისმიერი შეხვედრა მხატვრულ (უფრო ხშირად — პოეტურ) „ეგზემპლართან“, ხშირად ასევე პროფესიულად განპირობებული, უკვე სულ სხვა

რომ შემქანებს ხოლმე გულს ნოსტალგიურად.

— ზოგჯერ, კარგი ნაწარმოები ადამიანს კითხვის სურვილს უღვივებს, ახალი საკითხავისკენ მიიზიდავს. ასეთი გამოცდილება თქვენც გაქვთ?

— შეიძლება ვცდები, მაგრამ (მარტო ჩემს თავს არ დავკვირვებოვარ) კითხვის სურვილი უფრო პირველადი მაგონია, ვიდრე კარგი ნაწარმოები და მისით გამონეული სურვილი. კითხვის მოთხოვნა იწვევს მეც შემიგრძენია, როცა ყველა სიტუაციაზე ვიყავი თანახმა, რაც კითხვის საშუალებას მომიცემდა: ჭამა, მგზავრობა, აბაზანში ყოფნა, დასაძინებლად დანოლა; ავადმყოფობა ხომ — პირდაპირ მისწრება იყო! სკოლის ნაცვლად — დღისით, როცა სიცხე ნაკლებია — კითხვა დაუსრულებელი, მერე კი, დამე, სიცხეანულზე, წაკითხულის გარშემო ჰალუცინაციები და ბოდა — ისეთივე ნეტარებად მასხოვს, როგორც „მარტინ იდეის“ ერთი პერსონაჟი ტიფთი საავადმყოფოში ყოფნას რომ იგონებს... ერთი სულელები პრაქტიკაც მაგონდება — ფორტე-პიანოსთან წიგნის კითხვა: ბახის ინვენციების დასაკრავად ჯერ ცალ-ცალი ხელით მეცადინეობა მევალებოდა; მალე ზეპირად ნასწავლს, სრულად მექანკურად ვარაკრავებდი ხოლმე, პიუპიტრზე კი სექტონ-თომპსონის მოთხრობების წიგნი მედო და ვკითხულობდი ჩორთმავალ მუსტანგზე, კლდეზე რომ გადაიჩეხა — თავისუფალი... მერე მაგნიტოფონიც გამომიყენებია მეცადინეობის სიმულაციისთვის (ჩავწერდი ხოლმე და ის უკრავდა, მე ვკითხულობდი), მაგრამ დინამიკა სათანადოდ ვერ შევაფასე და თვალთმაქცობას მალე დავესვა წერტილი.

— იმ თაობის წარმომადგენელი ხართ, უცხოურ ლიტერატურას ძირითადად რუსულენოვანი თარგმანებით რომ ეცნობოდა. მაშინ არც იყო დიდი არჩევანი, თუმცა არსებობდა განსაკუთრებული ინტერესი ლიტერატურისადმი და ბევრი წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა.

— სტუდენტობა ისე ადრე დამეწყო (1977 წელს) და იმდენად გამიგრძელდა, რომ სირცხვილიც კია: 1982 წელს თსუ დიპლომი ავიღე კლასიკურ ფილოლოგიაში, მაგრამ უკვე მუსიკოსობა მქონდა მც-

 ძალის კუდზე ხარ გამობმული — ამ უხამსობებს რას დაუსხლტები, ჩემო ცხოვრება!

 თუ სიყვარული აღარ მომელის, მაშ ეს წამები რისი ბრალია? — მე ვენაფები სახეს, რომელიც ალაგ — ბროლია, ალაგ — ლალია... უსამნო ზეცის კარებია, ამ სახეზე რომ თვალბია!

შ ა ნ ს ი
 ბევრი უნიშნო სამარეა პეტრე-პავლეზე, საკვირვლად ბევრი! არადა, შანსი ფიროსმანობის — იქ დაფლულებს აქვთ!

 იჯერა გული ამა სოფლის სისაძაგლენით, მაგრა იჯერა! ახლა პარმალში მიმჯდარა და საჯოჯოხეთოდ ქალამანს ისხამს.

 ახირებული სურვილი ამყვა, უშნოდ ამტეხა; გავტეხე სიტყვა, საქციელი ველარ მოვზომე... შიგანი მიხურს, ლამის გული გადმოვაფურთხო!

P.S.
 პოეტი მახსენდება, ვინც წუთისოფლის გრძელი სავალი ჭყვიშიდან უკვდავებამდე ყველაზე დიდ მოკლეზე მოჭრა.

 ყრმა რომ ქუდს ჩამოიფხატავს, თოფს ამოიჩრის და ქურდს ჩაფრად დაუდგება — ჩათვალე, მამულს შავად აქვს საქმე.

ნოდარ წვერიკმაზაშვილი

გმობლიური მინა
 როგორ მაგრა გიმეტებენ, ჩემო ძირის ძირო — ყველა შენი ნაოფლარის დაუფლებას ცდილობს!... ზოგმა ხელი ხმაღს იკრა და — ანგრია და ლენა, ზოგიც საზღვარს გადავიდა — იქ დაიწყო რენვა, ბევრსაც საქმე მოელია — მხარეთქოზე მინვა... აღარავის ენაღვლება მოუხვნელი მინა!

მკიე 1989 წელი
 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები გამწკრივებულან ვაგზლის ბაქანზე — სააგარაკოდ ეშურებიან... ბიჭები გადავთვალე უნებლიედ.

მე და არქიმედი
 ვარ დაძირული სივრცის ფსკერზე და განწირული ამოდ ვუხმობ ზეამგდებ ძალას... არქიმედეს ბედმა უწყალა!

 ხდება: გულს კენესა ნაცდება უცებ და რა თქმა უნდა მახლობლად მყოფთა მძაფრ ყურადღებას უმაღვე იქცევ — შენ ხომ ლაზღანდარა ხარ!... გინდა როგორმე დაუსხლტე სურათს და კბილის ტკივილს იბრალე ურცხვად.

 როს მოთბო მწუხრი ფერიცვალების არაგველების კრწანისზე წვება და ღვინოსავით მომეძალება გარდასულ ჟამთა ნაჟური ვნება — ველარ ვიმაგრებ ცრემლს და სიხარულს, ველარც სხეულში ვპოულობ ალაგს, ვეცლები ქალაქს, ავდივარ მცხეთას და ანაწურთან ვნებდები არაგვს!

 რამდენ ვაი-ვიშში და შარში უნდა გავება, სამიოდე შაურის გამოსამუშავებლად! ჰოდა, კმარა!... პირობებს ვერც ვინატრებ უკეთესს — ვზივარ ბუხრის პირას და ჩემს ნაჯღაბნებს ვუკეთებ!

აქცია მავზოლუშია
 „უფროსო ძმაო“, არ დამიწყო ახლა ბაზარი, კარგი რჩევისათვის ჩამოესულვარ და მომისმინე: ეს ანტირუსი, ეს მსოფლიო ჭირის ვირუსი, ცენტრალურ მორგში საზეიმოდ რომ გისვენია, ჩქარა გაიტა და ურანის ნარჩენებივით, სადმე ტუნდრაში, ურალს გაღმა ჩაასარკოვაგე.

ცნობრეპაგამრულული
 ცხოვრება თავით ვერ გაიტანა და ვერც ღლაბუცით გააცურა... ახლა მტკერის პირას მიმდგარა და ტანს ატანს ძალას!

 ჭარბასაკოვან შესაუღლებლებს ჯერ ხელუხლები სავენებობით თავმონონების გაქვთ-კი უფლება? მამულს, სწორედაც, გაეხარდება, რომ გააჩალოთ შვილიანობა... ძრწოდეთ აკვნების მოცდენისათვის!

ღილის საარი
 გემოზე მთვრალი, უთენია, ღილინ-ღილინით: (სად არის სხვაგან ახალი ვარაზი?) მივბრანცალებ ჩემი კვარტალის ნახმარი პრეზერვატივებითა და ერთჯერადი შპრიცებით მოვარაყებულ ტროტუარზე!

 ლურსმანი ოქროსიც რომ იყოს — ლურსმანია! მაგრამ ის — „მონა ლიზა“ რომ ჰკიდია?!

 არ ვარ აშული ხარფუხელი, ძმებო, არადა აბანოთუბანს მეც აღვიქვამ, როგორც ბალადას. გადმოიღვენთა ბადრი მთვარე ნარიყალადან და ვერცხლის ქუჩა სულ ოქროსფრად მოავარაყა... ამ ჯამში ჟოქო არ გეგონოთ, სანთლის არაყია! გაჟივდა გული სიყვარულით, გრამი არ აკლია.

ტიპის კითხვას გულისხმობდა და განაპირობებს დღესაც. ამ სტადიაში განცდილი ლიტერატურა და ავტორები უკვე სხვაფორივაც (არა მარტო ლიტერატურულად) უნდა შემოდინდნენ ჩემი ინტერესების არეალში, ტექნოლოგიური და სტილისტური მოლოდინი მუსიკალური, ქორეოგრაფიული და „სხვანაირადლიტერატურული“ მოულოდნელობებით დამიკმაყოფილონ, ვთქვათ, ბეკეტივით მულტიმედირი ნამუშევრით, ხელოვნების ყველა ასპექტს რომ მოიცავს და მაინც — ლიტერატურულადაა კონცეპირებული. ლექსს, თუნდაც კლასიკურს, გოეთესას, უკვე ისეთსავე პარამეტრიზებას ვუკეთებ, როგორც სულ ერთია, რომელიმე სხვა, „არალიტერატურულ“ ობიექტს: ვთქვათ, ისეთ ტექნიკურ, კონსტრუქციულ თუ ფონეტიკურ ასპექტებზე ვამახვილებ ყურადღებას, რომელიც პირდაპირ კავშირშია ჩემს მუსიკალურ საქმიანობასთან და ავტორის სახელი და ცოტათი ლექსის (მხატვრული) შინაარსი რომ არა, შეიძლება და, ამ ლექსის „მოცემულობის“ ნაცვლად რაიმე სხვას დავყრდნობოდი, ვთქვათ — ობიექტების განლაგებას ან მოძრაობას სივრცეში, რომელიმე ობიექტის ზომებს, ბგერების მონაცვლეობას მუსიკოსების სახელებში და ასე შემდეგ.

როგორც ახლა, ამ ლაპარაკში, ისე ცხოვრების ამ ეტაპზე დავშორდი იმ ლიტერატურას, რომელიც უადრეს ბავშვობაში თამაშობდა როლს ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებაში, ვერბალური და ემოციური თვალსაზრისით, და — მუსიკაზე არანაკლებ, თუ მეტად არა; უბრალოდ, ბოლოს მაინც მუსიკამ იმძლავრა, იმიტომ რომ აბსტრაქტული სახეებით ოპერირების უფრო კომფორტული მედიუმი ალბათ, ვიდრე სიტყვა, რომლის შემანტიკური და გრამატიკული არტახები უფრო აძნელებს მის შიგნით თავისუფლების მიღწევას და მისი საშუალებითვე მოაზროვნე საზოგადოების სტერეოტიპების ნგრევას (მუსიკაში ეს პრობლემა, ფაქტიურად, არ დგას, ყოველ შემთხვევაში — დღეს).

და თუკი ლიტერატურასთან შეხება მიხდება, მაშინ მთავარი ინტერესის საგნად სწორედ მისი სტრუქტურული და ფლერადი მომენტი იქცევა ხოლმე, გინდ ტრადიციული პოეზია იყოს და გინდ ჰოელდერლინის ლექსი, თავისი პოლივალენტურობით, გაუგებრობით, ორ და მრავალაზროვანი ინტერპრეტაციის საბაბით; პირიქით, მეორე შემთხვევაში უკვე მოცემულობა გაიძულებს მისი სემანტიკური მხარის უკანა პლანზე გადაწევას ან სულაც იგნორირებას იქამდე, სადამდეც მუსიკალურად გესაჭიროება.

ამის მერე ლიტერატურული მეხვედრები და თავგადასავლები თვისობრივად განსხვავდება იმისგან, როგორც (ჩვენს წარმოდგენაში) ბრამსის თუ შუბერტის მიერ შეიძლება დანერვილიყო სიმღერა; თუმცა სტრუქტურულ-ფორმალისტური ვარჯიში იქაც დიდი დოზითაა იმისთვის, რომ ჰანს პფიტცენერივით არ ვიძახოთ „რა ლამაზია, რა ლამაზია!“ — მუსიკას ყოველ ეპოქაში და ყოველ სტილისტურ საფეხურზე ამოძრავებდა სწრაფვა რაციონალური სტრუქტურული ორგანიზებისკენ და ამ მექანიზმების წვდომით გამონევეული სიხარული უახლესი მუსიკის „მანკი“ არ არის. ალბან ბერგის სტატია პფიტცენერის ემოციური ენამწარეობის პასუხად სწორედ ერთ-ერთ ყველაზე რომანტიკულ პიესას, შუმანის Träumerei-ს დეტალურ თეორიულ ანალიზს მიმართავს და მუსიკოლოგიური ანალიზის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. აი, ეს „ლიტერატურა“ იყო ჩემთვის გერმანიაში, ზოგიერთი პოეტური ქმნილების პარალელურად, იმ შთაგონების და აღმფრენის მომცემი, ასე რომ დამჭირვებია ინტუიტიური მოთხოვნილების გასამყარებლად და დასასაბუთებლად კომპოზიციამში.

— რამდენად არის, ან იყო თქვენი ინტერესის სფერო ქართული კლასიკა?
 — გავაგრძელებ საუბარს ჩემს ახლანდელ, „გამუსიკოსებისშემდგომ“ დამოკიდებულებაზე ლიტერატურასთან; ყველაფერი, რასაც შევხდები და რაც გამიტაცებს, პრინციპში, უკვე მოწყვეტილია

თავის ისტორიულ, ეპოქალურ, „მუზეალურ“ ან სხვა წარმომავლობას; არანაირ სტილისტურ ვალდებულებას მათ წინაშე, ამ თვალსაზრისით, არ ვგრძნობ. მეორე მხრივ — რალაცას კლასიკიდან მხოლოდ იმ მიზეზით არ მივმართავ, რომ თანამედროვე ლიტერატურაში ვერ მოვიძიე ანალიზი; უბრალოდ „მაშინდელის“ დღევანდელ სიტუაციაში ჩაყენება და ამით მისი წარუვალობის („აქტუალობას“ შეგნებულად არ ვამბობ, ცოტაა!) მანიფესტაცია უფრო დიდი ზემოქმედების მგონია. ფრაგმენტებს ილიას პუბლიცისტიკიდან იმიტომ კი არ ვიყენებ 9 აპრილის მოვლენებით ინსპირირებული ნაწარმოების ტექსტად, რომ თვით 9 აპრილი ორატორების სიტყვები ზედმეტად მძაფრი და მტკივნეულია გამოსაყენებლად, არამედ იმიტომ, რომ სწორედ პირველი ახდენს იმის აბსტრაქტიზებას, რაც 9 აპრილს ხდებოდა; საკანში მყოფი ახალგაზრდა ქალის სასონარკვეთილი ფიქრების გადმოსაცემად ასევე მივმართავ, ნაცვლად პირდაპირი ტექსტისა, გალაკტიონის აბსტრაქტული სიმბოლისტური სინტაგმებით აწყობილ, ან სხვათა პოეზიას.

ეს — ე.წ. გამოყენებითი თვალსაზრისით; თუმცა ბავშვობიდან და ახალგაზრდობიდან გამოყოლილი მარგალიტები, ვაჟას „ქუჩი“ იქნება, გურამიშვილის რომელიმე ანბანთქება, თუ ნიკო ლორთქიფანიძის „რაინდები“ — „განვლილი“ და დაკარგული არაა, ყოველ წუთს შეიძლება ამოტივტივდეს და ათქვეც იმპულსად მომეველინოს რომელიმე კონტექსტში, რომელზეც დღეს, შეიძლება, წარმოდგენაც არ მქონდეს.

— გასული საუკუნის ქართულ მწერლობას რა ადგილი აქვს თქვენს „საკითხავში“?
 — გასული საუკუნე — იმდენხანს იგულისხმებოდა ამ სიტყვაში მე-19, რომ ახლაც არ ვიცი, იმ საუკუნეს, რომელშიც დავიბადე და 40 წელი ვიცხოვრე — „გასული“ როგორ ვუძახო... ზაზა თვარაძე, უჯარმის „გმირებზე“ რომ გითხარით, ერთი იმათგანი, 2007 წელს გარდაიცვალა;

„გასული“ თუ რომელიც გინდათ საუკუნის ასეთი ახლობელი მწერალი, ადამიანურადაც და „საკითხავის“ თვალსაზრისითაც, მე არ მყოლია.

სანამ თბილისში „გსტუდენტობდი“, ოთარ ჭილაძეს, ნაირა გელაშვილს და სხვა ავტორებს ვკითხულობდი ჟურნალებში დაბეჭდილს; დაუვიწყარი დრო იყო იმ განუშემურებელი და დღეს წარსულს ჩაბარებული საშუალებით, მთელი დღე, საღამომდე, ვმჯდარიყავი ჩემი ძმის სახელისონში და მეკითხა ქართველი ავტორის რომანი...

გერმანიაში, ამ საშუალების უქონლობის მიუხედავად, სწორედ ასე მთელი დღის საკითავად შემხვდა აკა მორჩილაძე. შედარებით გვიან, საქართველოში უკვე აღიარებული მწერალი იყო, მე კი პირველივე ნაკითხულმა მისმა ნიგნმა, ელექტრონული ფოსტის მისამართით რომ თავდება, „მოიწერეთო“, ყოვლად გულწრფელად მივწერე თავშეკავებული, მაგრამ შთაბეჭდილებით აღსავსე მელი. პირადად ახლახანს გავიცანი, მწერალთა სახლში კითხულობდა საჯაროდ. ხუმრობით ვკითხე, თუ მიიღე მელი-მეთქი... კარგია, რომ ჩვენთანაც მკვიდრდება საჯარო კითხვის საღამოები; საქართველოში პირველად ვმონანილეობდი ასეთ რამეში; გერმანიაში — ორიოდ თვე არ გავიდოდა, რომ ვინმე ცნობილი ან დამწყები მწერლის „Lesung“-ზე არ დამეკრა. იქ ცოტა სხვა დატვირთვაც აქვს ხოლმე მუსიკას; იმპროვიზაციას ვუკრავდი იქვე, ნაკითხულზე რეაგირებით, არა კითხვასა და კითხვას შორის პაუზებში, როცა ისედაც ყველა ხმაურობს...

შეგნებულად, ამორჩევით, ნებით — დროის მონახვა და კითხვა — დიდი ხანია, საოცნებოდაც კი აღარ მახსენდება, ვკითხულობ მაშინ, როცა ეს ჩემი საკომპოზიციო ან საშემსრულებლო აქტივობის კონტექსტში მიხდება. მაინც არ მინდა ვაღიარო, რომ აღარ ვკითხულობ: მჯერა, მოვა დრო და ისევ გავატარებ ხოლმე საათებს და დღეებსაც კი წიგნით ხელში...

იუმორი

— დღეს ჩემს შოუში მაგარი დებატები მექნება, — სიგარეტი გადააფრფლა ახალგაზრდა მამაკაცმა, — შეიძლება დახოცონ ერთმანეთი, — ჩაეცინა და სარკეში თავის ორეულს მიაშტერდა.

თავთან ქალი ედგა, რომელსაც ხელში მსხვილი ფუნჯი ეკავა და სახეზე მაკიაჟს უკეთებდა:

— რა თემას განიხილავთ, ბატონო ზურაბ?

— მეტად აქტუალურს, ლესბოსელებისა და პედარასტების პრობლემებს უნდა შევეხო, ხალხს უნდა დავუმტკიცო, თუ როგორ იცავს სახელმწიფო ერის ატავიზმებს, თორემ ევროკავშირის ოდნავ შეღებულ სარკმელს საბოლოოდ მოგვიჯახუნებენ და მერე დავრჩებით ასე გაღიმებულები, ევროპის გარეშე, — სიგარეტი საფრფლეს დაასრისა ზურაბმა.

ქალმა ამოიხრია:

— არ მინდა ასეთი ევროპა, — სინანულით ჩაილაპარაკა, — ამ ხალხს კიდევ, ოღონდ სერიოზული აყურები, სხვა არაფერი უნდა, თავის ჭუჭყს არაფრად დაგიდებენ, სხვისაში უყვართ ქექვა.

— ასეა, ნატო, შოუს რეიტინგი მისი სიმძაფრით განისაზღვრება, სერიალივით არის, რაც უფრო ჩახლართავ, მით უფრო ყურებადია.

— სტუმრები ვინ გეყოლებათ?

— პარლამენტიდან უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენელი, არასამთავრობიდან — პედარასტების დამცველი ანო და საზოგადოების ღირსეული წევრი — ლაშა, — სახელი გარკვევით წარმოთქვა ზურაბმა.

— რომელი ლაშა?

— ლაშა ტლიკინა, ცხვირი ყველგან რომ აქვს ჩაყოფილი და ყველაფერში ზედმინევენით რომ ერკვევა, — ჩაეცინა მამაკაცს.

— გასაგებია, — თავი დაუქნია ქალმა, შემდეგ წამყვანის სახე აათვალიერა ჩაათვალიერა, წინსაფარი მოხსნა, — მოვრჩი, ბატონო ზურაბ, მშვიდობიან შოუს გისურვებთ, — პარფიუმერიის ხელსაწყობის ჩანთაში ჩალაგებას შეუდგა.

ზურაბი წამოდგა. სარკეში პიჯაკი გაისწორა, ჰალსტუხის ყულფი პერანგის საყელოსთან აიკურა და ოთახიდან გავიდა. სტუდიაში შესულს, მონვეული სტუმრები მაგიდასთან მოკალათებული დაუხვდა. წინ დაწყობილ ფურცლებში თავი ჩაერგო და დებატებისთვის დაწერილ სიტყვას ჩაჰკირკიტებდნენ.

— გამარჯობათ! — წამყვანი რიხიანად წარუდგა რესპოდენტებს, — გთხოვთ, მობილურები გამოვრთოთ! — ოთხივეს გადახედა და სტუდიაში ტექნიკური პერსონალი იხმო, რათა ყურსასმენები და მიკროფონები გაეკეთებინათ.

რამდენიმე წუთში გადაცემა დაიწყო.

— ბატონებო და ქალბატონებო, მოგესალმებით! თქვენ პირდაპირ ეთერში თვალს ადევნებთ „ცხელ შოუს“, მე მისი წამყვანი ზურაბ ლაყავია გახლავართ. დღევანდელი ჩვენი სასაუბრო თემა სექსუალური უმცირესობების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას ეხება. ჩემს სტუმრებს წარდგინა წამდვილად არ სჭირდება, მაგრამ ვალდებული ვარ დაგისახელოთ: ჩემგან ხელმარჯვნივ პარლამენტის უმრავლესობის წევრი, ბატონი დემა გოგია და არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტობა სექსუალური უმცირესობების“ თავმჯდომარე, ქალბატონი ანო მალია სხედან, ხოლო ხელმარცხნივ — პარლამენტის უმცირესობის წევრი, ბატონი ბუტა ფორია და საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბატონი ლაშა ტლიკინა. მინდა სიტყვა ქალბატონ ანოს გადავცე, — წამყვანმა მის გვერდით მოკალათებულ ახალგაზრდა ქალს გადახედა და ანიშნა, დაიწყეთ.

— მოგესალმებით, მადლობელი ვარ სტუდიაში მონაწილეობისთვის და ამ ყველაზე აქტუალური თემის განხილვისათვის. ის, რაც რამდენიმე დღის წინ მოხდა, არის ყოვლად აღმაშფოთებელი და ჩვენი ერისთვის სამარცხვინო საქციელი. რამ-

დენიმე ათეულ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს წინ აღუდგა ასი ათასობით ვითომ მორწმუნე ხალხის ბრბო თავიანთ მღვდლებთან ერთად და პოლიცია რომ არა, არ ვიცი, ეს ინციდენტი როგორ დამთავრდებოდა. მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოებმა ჩვენი ერი, როგორც ველური და განუვითარებელი საზოგადოება წარადგინეს და წარმოგვაჩინეს, როგორც რელიგიური ფანატები...

— ტყუილია! — წამოიძახა დემამ, — ერთ რამეში გეთანხმებით, რომ პოლიციამ დიდი საქმე გააკეთა, რათა ზღვა ხალხს არ ჩაეხოცა ის გადაგვარებული ნადირალები, მაგრამ მე მჯერა და მნამს, რომ მთელი მსოფლიო ისევე ფიქრობს, როგორც ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა...

— ამაში ვერ დაგეთანხმებით, ბატონო დემა! — საუბარში ბუტა ჩაერთო, — ამ საქციელით ჩვენმა ქვეყანამ უკან დიდი ნაბიჯი გადადგა, ძალიან დავკარგეთ დემოკრატიას, „ევრო კავშირის“ კარს საბოლოოდ მოგვიჯახუნებენ და დავრჩებით რუსეთის პირისპირ, შეგვჭამს რუსეთი, — ბუტას სიბრაზისაგან სახე პომიდორივით განითლებოდა.

— გეგბს თუ მოვეფერებით, რუსეთი დაგვიწოდოს და წართმეულს უკან დაგვიბრუნებს? — ჩაიხიბოთა დემამ, — ჩვენ

რეკლამაზე გავიდეთ, — გადახედა მონვეულ სტუმრებს, შემდეგ გვერდით მჯდომ ქალს მიმართა, — გააგრძელეთ, ქალბატონო ანა.

— ანო! — სახელი შეუსწორა რესპოდენტმა.

— უკაცრავად, გააგრძელეთ, — გაუღიმა ზურაბმა.


— მე მინდა, შეგახსენოთ, რომ ჩვენი კონსტიტუცია იცავს ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მათ შორის სექსუალურ უმცირესობებს და მათ აქვთ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, აქედან გამომდინარე, ბატონო დემა, თქვენ როგორც პარლამენტის წევრი, ვალდებული ხართ დაიცვათ მათი უფლებები.

— აუტანელია, თქვენი მოსმენა! — წამოიყვირა დემამ, — სახლში რაც უნდა, ის აკეთონ, ამ თქვენმა უმცირესობამ, მე კბილებით დავიცავ თითოეულ მათგანს, მაგრამ უზნეობის რეკლამირების უფლებას არ მივცემ...

— კარგი, რა! — ხელი აიქნია ბუტამ, — ოცდამეერთე საუკუნეა, რა დროს ასეთები...

— როგორ?! — წამოუნთო დემა, — თქვენი ვაჟი, რომ გათხოვდეს, მოგეწონებოდა? ქორწილში ჩემი დაპატიჟება არ დაგავიწყდეთ!

ბესიკ კეკელიძე



სათაგაშოები

სწორი კურსი გვაქვს აღებული და „ევროკავშირი“ კარს არასოდეს მოგვიხურავს. თქვენი სიტყვებით კი, ჩვენს წარსულს შეურაცხყოფას აყენებთ, სირცხვილია, ბატონო ბუტა, — წყალი მოსვა დემამ, — იმ ნაკაცარებს არავინ მისცემს უფლებას თავიანთი ცოდვის პროპაგანდა აწარმოონ. სახლში რაც უნდა ის აკეთონ, არავინ უვარდებათ, ნუ გავგირყვინან ახალგაზრდობას...

— ბატონო დემა, გთხოვთ, ნუ გამოხვალთ რომის პაპზე უფრო კათოლიკე, თქვენ პარლამენტში ხალხმა აგირჩიათ, მათ შორის, ალბათ იმ სექსუალურმა უმცირესობამაც, — წამოიყვირა ლაშამ, — არ მოგებურდათ ეს ყალბი პატრიოტიზმი?! — რას ეძახი ყალბ პატრიოტიზმს?! — წამოუნთო დემა, — მე როცა აფხაზეთში ვიბრძოდი, შენ თბილ ლოცვაში კოტრიალობდი, ფუქსავატობდი და ქეიფებში დროს ატარებდი! — ხმას აუწია მამაკაცმა.

წამყვანი იძულებული გახდა, მათ საუბარში ჩართულიყო:

— ბატონებო, გთხოვთ, ერთმანეთს მოუსმინეთ, თორემ იძულებული ვიქნები,

სტუდიაში წამიერად სიჩუმე ჩამოვარდა, წამყვანმა ოთხივეს გადახედა, მონვეული სტუმრები მაგიდასთან გლადიატორებივით იხდნენ. სიტუაციის განმუხტვას ლაშა ტლიკინა შეეცადა:

— ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა უკვე დაუშვეს ერთსქესიანთა ქორწინება, ეგ კი არა და, ბავშვის შეიღებების უფლებაც კი დართეს. ჩვენ რაღა მოგვივიდა, ბანანის რესპუბლიკა ხომ არ ვართ?

— თქვე გრანტიჭამიებო, ოღონდაც ვილაცხმე დაგაფინანსოთ და მზად ხართ, სატანას სული მიჰყიდოთ...

— არ გეკადრებათ, ბატონო დემა, — ახლა ბუტა ჩაერთო დიალოგში, — თქვენ როცა უმცირესობაში იყავით, სხვანაირად ჭიკჭიკებდით, ახლა რა მოგივიდათ, ამის მოსმენა პარლამენტარისგან სამარცხვინოა!

— იცი, რას გეტყვი?! — ყელზე ძარღვები დაებურა დემას, — შენი ბიჭი, რომ გაგითხოვდეს, თანახმა ხარ?! — ხმას აუწია.

— დაუკრეფავში ნუ გადადიხართ! — სკამიდან წამოუნთო ბუტა.

ლაშამ მკლავი დაუჭირა, შეაჩერა.

— ბატონებო, დამშვიდდით! — წამოიყვირა ჟურნალისტი. მას აშკარად ეტყობოდა, რომ გარეგნულად სახეზე შეწუხებული გამომეტყველება აკვროდა, მაგრამ შინაგანად უზარმაზარ სიამოვნებას გრძობდა, შოუ ასეთი წარმატებული რომ გამოუვიდა, — რეკლამაზე გავდივართ, არ გადართოთ, რამდენიმე წუთში დაგიბრუნდებათ, — მიმართა ტელემთარგმნელს.

გადაცემისთვის განკუთვნილმა დრომ ცხარე ჯაჯღან-ყიყინში ჩაიარა. ბოლოს წამყვანი ტელემთარგმნელს ერთი კვირით დაემშვიდობა და ეთერიდან გავიდგნენ. რესპოდენტები უხმოდ წამოდგნენ, მიკროფონები და ყურსასმენები მოიხსნეს, სტუდია დატოვეს და გასასვლელისკენ გაემართნენ.

ვარდობისთვის თბილი საღამო იდგა. ანოს ლაშასთვის ხელკავი გაეყარა და თავისი ჯიბისკენ ტანის ნაზი რხევით მიემართებოდა. მათ უკან დემა და ბუტა მიჰყვებოდნენ.

— კარგი ნაშა, ეს ანო, — ჩაფიქრებულმა დემამ გადაულაპარაკა კოლეგას.

— ბიჭო! — შეაჩერა ბუტამ მამაკაცი, — შენს ნათლულს, ჩემს ბიჭს, რა გაუტრავებ საქმე — გათხოვდეს, გათხოვდესო, არა გრცხვენია?

— დაიკიდე, რა, დებატებს ასე სჭირდება, თორემ ჩემს ნათლულ გურამიკოს არ შემოგვევლე?! პედარასტების დედაც მოვტყან, მეზიზღებიან!

— მეც მეზიზღებიან, ძმაო, მაგრამ დიპკორპუსმა ხომ უნდა დაინახოს, რომ მაგათაც ვილაცხმე იცავს.

— მოდი, — დემამ თვალები ეშმაკურად მოჭუტა, — ლაშა და ანო რესტორანში დავპატიჟოთ და ერთი გემრიელად ვიქეიფოთ, ეგ ქალი მაგრად მევასება.

— მერე, გამოვივა რამე?

— რას ამბობ? — შეიცხადა, — ეგ ჩემისა ფულის გულისთვის პედარასტებს კბილებით იცავს და ჩემნაირი კონტა პარლამენტარის საწოლში არ ჩამიგორდება? — სიცილ-სიცილით ჩაილაპარაკა დემამ, — ლაშა! — გასძახა ჯიბთან მისულ წყვილს.

— დიას, — გამოეპასუხა ახალგაზრდა მამაკაცი.

— მოიცადეთ! — მიუხლოვდნენ კანონმდებლები.

— რა გნებავთ? — ნებიერი მზერით შესცქეროდა საზოგადოების წარმომადგენელი ორ ჩასუქებულ მამაკაცს.

დემამ სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა:

— არ განვიმუხტოთ? რესტორანში გეპატიჟებით.

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. სიტუაცია ანოს გადაკისკისებამ შეცვალა:

— სიამოვნებით, ბატონო დემა.

კმაყოფილმა მამაკაცმა ბუტას გადახედა, პაუზა სიგარეტის კვამლის ნელი გამოშვებით შეავსო, შემდეგ ქალს ენებიანი მზერა ესროლა:

— „ფაენტიზმი“ ვიქეიფოთ, გაგონილი მაქვს, ლაშა ბრწყინვალედ თამადადობსო და მინდა, მის შესაძლებლობებში დავგარწმუნოს.

— ისე, ბატონო დემა, დღეს თუ რამე განწყვინეთ, მამაკაცი, — უხერხულად ამოილულულა ლაშამ.

— ნაპატიები იქნები, მეგობარო, იმ პირობით, თუ სუფრასთან სექსუალური უმცირესობების სადღეგრძელო არ დალევ, — სიცილით უპასუხა დემამ.

— როგორ გეკადრებათ, მაგათი დედაც... — ხმამაღლა მედიდდებოდა შეემატა ლაშას, — მე და ანო მათი უფლებების დაცვით ვჭამთ პურს.

— ვიცი, ჩემო კარგო, ვიცი, — ანოს თვალი ჩაუკრა დემამ.

რამდენიმე წუთში გაარკვეეს, თუ ვისი მანქანით წავიდოდნენ რესტორანში და სულ რაღაც ნახევარ საათში ლაშას ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეკავა და ფეხზე წამომდგარი, უფლის დიდების სადღეგრძელს ამბობდა...

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 20 სექტემბერს.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზაძე
სურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com